33.48.

ივერია

1881

№ V'LII, აგვისტო.

თბილისი.
ქქვითიმე ხელაძის სტამბა.
1881

შინაარსი:

I ბაკრატიონების დიდება, (მესტვირეული პოემა) ნ. ფ-ძისა 3

II და და ძმა, (მოთხრობა ლეონ კლადელისა), თარგმანი ელ. ლორთქიფანიძისა 42

III რანი ვიყავით გუშინ? ი. სვიმონიძისა . . . 57

IV ბაზაფხული, (ლექსი) თ. რაფ. ერისთვისა. . . 89

V თელავის სასულიერო სემინარია და პირველი მისი რექტორი ბაიოზ ნაცელიშვილი, ნ. მთვარელიშვილისა 90

VI ახალი წიგნები: (ალ. ჭავჭავაძის ლექსები.— ლექსები თ. ვ. ო-ისა.— ახალი გაძოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართველის ტომის დასაწყისზე) დიმიტრი ბაქრაძისა 118

VII ბანცხადება (უდაზედ).

5-998

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი.

წელიწადი მეხუთე.

№ VIII

საქ. მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук Г

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ალამანის ქუჩაზე.
1881

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Іюля 1881 г.

ბაგრატიონების დიდება.

მესტვირული პოემა.

მოდი და ერთი მოკმართავ
ამ ჩემს ქამანჩა-სტვირსაო
და ვათქმევინებ, რაც ქართველთ
ბაგრატიონთგან სჭირსაო;
რაც ჩვენ მათ ბედში ჩაგვაგდეს,
ვინ ათქმევინებს პირსაო,
და მეტის ბედნიერებით
მთლად ჩვენი სალხი . . . . . .
ეს ბედი სომეხთ აწვიეს
მთლად საქართველოს პირსაო:
ბაგრატიონი ხელმწიფედ
მათ ინებეს ჩვენთვისაო.
სომხებო ღმერთმა იმ ქვეუნად
მოგცეთ თქვენ და თქვენს შვილსაო,
რაცა რომ საქართველოსა
ბაგრატიონთგან სჭირსაო!
მათებრივ უხვი ხელმწიფე
არ ეოფილა ტის ძირსაო:
სამესხე ათაბეგს მისცეს,
ოსი—სოსლანის შვილსაო,

ოდიში—ლიპარტიშვილსა,
სვანი—დადიშკოშვილსაო,
ათსაზი—შარვაშიძესა,
ჯიქი ჩერქეზის-შვილსაო,
გურია გარდანაშვილსა,
ლაზი კობნენის-შვილსაო.
დარჩა ქართული და კასეთი
და მხარე იმერლისაო.
ასეთსა დიდსა ქვეყანას,
ბბა ვინ მოუვლისაო!
ადგნენ და სამად გაუყვეს
სამს ალექსანდრეს შვილსაო.

სამად გაიყვეს სამეფო,
სამჯერ ჭმატებენ ცდასაო
და ძნელად თუ პირი იტყვის
მათს ქვეყნისთვის ზრუნვასაო:
დღე-და-ღამ ზოუსვენრადა
ძილს არ აძლევენ თავსაო,
რომ თავის მოძმის მამული
მისცენ ტეტსლსა და ქარსაო.
მოუოლავად ეძახდენ
უთვალავს მტრისა რაზმსაო,
და ამ მტერს აწყვეტინებდენ
მთლად საქართველოს ხალხსაო...
რადგანაც არ ამუსებდენ
მათს ქვეყნისთვის ზრუნვასაო.
მათი ქვეყნის სიყვარული

რა ენამ უნდა სთქვასაო!
იგი რომ ქვაზედ დაგედო,
გაჭხეთქამდა თვით ქვასაო.
ასე უყვარდათ ქვეყანა,
რომ მოიკლამდენ თავსაო,
თუ რომ ვინ გამოიჩენდა
ქვეყნისათვის ზრუნვასაო,
მაშინვე ტყტხლსა მისცემდენ
ამათს სარჩოს და ყმასაო
და სარზედ ჩამოაგებდენ
მათს ძირში მოჭრილს თავსაო...
რად უნდათ ქართველთ მზრუნველი
ბაგრატის ძე თუ ჭყვასაო?!...
მათებრივ ღვთისა მმოსავი
ხომ არ უნახავს ცასაო!
მონასტრებსა და ბერებსა
სწირავდენ სარჩოს ზღვასაო,
იერუსალიმს და ათონს
აძლევენ ურიცხვს ხალხსაო,
უთვალავს განძსა სწირავენ
ანი სოფიოს ხატსაო...
უდაბურს მინდორს და ტყეში,
ოგელს ვაკეს და მთასაო
აგებენ ძვირ-ფასს მონასტრებს,
საყდარსა და ტაძარსაო;
შიგ ათასობით ჭეზავნიან
სულ ყმაწვილს-ქალს და ვაჟსაო,
რომ ქვეყნის დღე-გრძელობისთვის

უწევდენ ღმერთს ღაღადსაო,
და იმათ ანახვინებდენ
სულ სოფლელ ძუშა-ხალხსაო.
ყოველს მხარეს და კუთხესა,
ყოველს სოფელს და ბანსაო
გაჭრონდა მაღლა ძახილი
ქრისტედმდი წმინდა ზარსაო.
ღმერთიც მათ ერთგულებისთვის
აძლევდა წყალობასაო:
ქვიშასავით აძრავლებდა
იმათს ტომსა და გვარსაო...
რომ თვითონ ველარ აწვდენდენ
თავის ხალხთა ზრუნვასაო,
ყოველს ნაბიჯზედ უჩენდენ
ხალხს მზრუნველსა და თავსაო:
ჭინჭვლის გორებრ აძრავლებდენ
აზნაურს და თავადსაო,
და სულ ამათ ამონებდენ
მთელს თავისუფალს ხალხსაო;
მეტად დიდად ათვასებდენ
ხალხთ თავისუფლებასაო...
ერთმანერთის გასაჟლეტად
ხელს არ უტრიდენ ხალხსაო;
დიდებულს დიდებულს ჭბრძვიდენ,
ტყავი სძვრებოდა ყმასაო...
სამკურნალო სწავლაშია
სჯობდენ თვით ჭიბოკრატესაო;
სიმრთელის თავად ჭსედავდენ

სისხლის გამოშვებასაო,
და ოთველს ქვეყნის კუთხესა
მოჭდგრიდეს სისხლის ღვარსაო.
ტრემლები არა შრებოდა
ქვრივის და ობლის თვალსაო.
ვერ მიხვდენ ის უშვერები
ბაგრატიონთ ზრახვასაო:
ისინი ამ განსაცდელით
ჭეურნამდენ თავის ხალხსაო...

II

დიდი ირაკლი აბძანდა
მამა-პაპისა ტასტსაო.
მამა-პაპაზედ ის უფრო
გასტემდა წყალობასაო:
სომხეთი ლეკებს უბოძა,
არაგვი ქისტის ხალხსაო,
ინგილო კიდაც გაჩნაძეს,
ელისუელს სულთანსაო;
საგურამო და მარტყოფი
ლეკების წუნკალასაო.
სამეფო თორმეტად გაჭეო
და მისცა თორმეტს ვაჟსაო:
ლიახვზედ ძეფედ სხვა დაჭსვა,
სხვა დასვა მეფედ ქსანსაო;
რუისს სხვა მეფე უბოძა,

სხვა უბოძა სურამსაო,
და სუფევლას ამონებდა
დარეკან დედოფალსაო,
და დარეკან იმეფებდა
ორღანოვს ოსეთსაო
და ოსეთა განაგებდა
მთლად სამეფოთა ხალხსაო.
მის ნაცვლად ოსეთ ირაკლის
უხდიდა დიდსა მადლსაო:
ეოველ-წლის თავზედ ჭმატებდა
[illegible]
თვის შორს გაჭრიტით ირაკლი
გააკვირვებდა ხალხსაო,
და ქართველს ხალხსა ცუდს ბოლოს
აარიდებდა თავსაო.
ინგლისთა შემოუთვალეს:
„ნუ ემონები სპარსსაო,
ნუ ეხიზნები რუსებსა,
დაბლა ნუ იხრი თავსაო.—
ჩვენი იმედით იყავი,
ნუ შესჭამ მტრისა ჯავრსაო:
რასაც წამს შეიტყობ,ეგვეთავ,
ჩვენ მოგაშველებთ ჯარსაო...
მაგრა მიეცი მსარ-ზურგი
მთლად კავკასიის ხალხსაო;
კავკასის მთები შეკასრი,
კარგად ახლდე თვალსაო!
ღია ბირს თავს ნუ ჩაუდებ

დამშეულს გველეშაჰსაო.
ნუ დაივიწყებ ასპინძას
და ზურგ-შექცეულს ჯარსაო,—
ეს იყო ჯერედ ეკვილი,
და მოელოდე სხვასაო:
შხამით გავსილი ეკვილი
მოიტანს ნაყოფს შხამსაო!...»
ღვთისა მმოსავი ირაკლი
დიდად იწყესდა მასაო:
«ინგლისის შვილა რად მინდა,
სხვებრ იწერენ პირჯვარსაო!
მათის შვილით გავირისხებთ
მაღლა ღმერთს და ძირს ხატსაო.
მე ღმერთმა რუსთა წყალობა
მომცეს ყოველსა წუთსაო:
ჩვენებრივ ქრისტიანურად
ესავენ წმინდა ჯვარსაო.
რაცა რომ გამიჭირდება
მომაშველებენ ჯარსაო
და ისინი ამომყრიან
ჩვენის მტრებისა ჯავრსაო!»
და ამ პასუხით ინგლისი
მან გაიცილა კარსაო
და რუსებს მოახსენებდა
ინგლისთა საუბარსაო;
და ჭპირდებოდენ ამისთვისა
რუსები წყალობასაო...
სხვა უარესსა განსაცდელს

ირაკლი იკლებს თავსაო:
გამოჩნდენ ღვთისა მტერები,
შესძახეს ქართველს სალსსაო,
შესძახეს: «ეველა ძმები ვართ,
ერთად შეკრებდეთ თავსაო
და ეველნი შეეთვრნეთ
დიდის ირაკლის ხმალსაო!...»
შემოკრბენ იგი ღვთის მტერნი,
იხლნენ მეფეს კარსაო,
იახლნენ ცხარე ვედრებით
და შესთხოვდენ ნებასაო:
იმერეთი შეეერთე
კახეთს, კუხეთს და ქართლსაო;
სამეგრელო და გურია
თვითვე დაგიკრავს თავსაო,
და ჩვენ თვითონ გადავრეკავთ
მეფესა და მთავარსაო...
ირაკლი საწოლს იახლა
დარეკვან დედოფალსაო
და საქართველოს ბედზედა
ჰკითხავდა მას რჩევასაო.
იტეიცა ეს დედოფალმა:
«ვინ მიბედავს მაგასაო!
ჩემის ქალის-შვილს ვუმზადებ
მე იმერეთის ტახტსაო.
იმას სამეფო წართვან,
რალად ვიტოცხლებ თავსაო!
მე ჩემს შვილს ტახტი წავართვა

და მიგცე შენსა ვაჟსაო!
აგრე ბრიყვადა ვინ იცნობს
დარეჯან დედოფალსაო!?...
თუ ამას, მეფეო, გაჭბედავ,
დაგამსობ შენსა სასლსაო,
აგისეე შენსა შვილებსა
და მოლად დაგასხამ თავსაო;
ლეკსა, ოდიშსა, იმერეთს,
გურიას, აჭარასაო
შენს შერეულსა სამეფოს
სულ შემოვარტყამ გარსაო,
და ჩემის შვილის გვირგვინსა,
იმის დიდებულს ტასტსაო,
ტოტხალი თავით არ მიგცემ
შენს ამმოგრებულს ვაჟსაო!...»
მაშინ ირაკლი გარისსდა,
იგლეჯს წვერსა და თმასაო:
«ნათესავთ ერთგულს ირაკლის
ვინ მიბედავთ მაგასაო!
ვითა უნდა ვუღალატო
ჩემსა შვილსა და ძმასაო!
დადიანია მოუვარე,
ტოლად მის ქალი მყავსაო;
იმერთა ტახტი ეკუთვნის
ჩემის სულის ვაჟსაო!
იმათ სამეფო წავართვა,
რა ვუთხრა ჩემსა სატსაო!
გვლავისთვის ნუღარ გაჭბედავთ

ჩემთან მაგგვარსა თქმასაო!»
და «ორა-მკითხე» მრჩეველებსა
უჩვენებს კარის გზასაო.
სხვა მეფის დასასმელად
ჭგზავნის იმერეთს ჯრასაო...

III

საჭურის ალა-მაჭმადი
ავიდა სპარსთა ტასტასაო,
ირაკლის შეშოუთვალა:
«რუსებს რად უჭერ მსაჯრასაო?
რა დაგიშავეს სპარსებმა?
უუვარდი ნადირ-შაჰსაო
კახეთის მეფობა მოგცა
და გაგამეფა ქართლასაო.
ამის სანაცვლოდ ჭეალატობ
მთელის სპარსეთის სალხსაო
და შენი ქცევით უპირებ
მთელს სპარსეთს დამსობასაო.
მაგ გვარის ქცევისთვის ერთხელ
გადურჩით აბაზ-შაჰსაო,
თუ რომ შაჰ-აბაზს გადურჩით,
ვერ გადურჩებით სხვასაო!...»
ირაკლის ესე მუქარა
არც კი შეუსრის წარბსაო:
ის ჩუმად ჩაიღიმებს

და ხელს დაიკრავს ხმალსაო:
«შენ-გვარსა საჯურისებსა
მე ბევრს გავუსმობ თავსაო!
შენ ჩემთან ვერას გაჭყიდი,
რუსი თუ შემწედ მყავსაო!»
რუსთა ხელმწიფეს მისწერა:
«მოამაშველებდე ჯარსაო,
სპარსეთს მოხარკედ გაგისდი,
ხელთ მოგტეხ სპერის ზღვასაო,
დაგაპურობინებ დარუბანდს
და სულ მთელს დაღესტანსაო.»
შეეკრა ყარაბაღის ხანს
და სამს თუ ოთხს სხვა ხანსაო:
„მტერს პასუხს ერთად გავცემდეთ,
ერთად შევურიდეთ ჯარსაო.
ისე მოვეხდეთ ყველანი,
ვითა ძმა უფროსს ძმასაო.
ერთმანერთისა საშველად
ნუ დავზოგავდეთ თავსაო,
მტერისა მოსაგერებლად
ძირს ნუ დავუშვებთ ხმალსაო;
მოყვარეს გავასარებდეთ,
მტერს ავუხვევდეთ თვალსაო,
და ფრთებსა შევაკვეცავდეთ
ძლიერს სპარსეთის შაჰსაო!...“
საჯურისს-ყეენს მისწერა:
«დიდად ნუ იდებ თავსაო,
გიცნობ რაც შვილი ბძანდები,—

საჭურისს ხოჯა ხანსაო;—
შენ უნდა ჭირამ-ხანაში
კეკლუცთა ჭბანდე თავსაო;
აბა რა შენი საქმეა,
რომ ხელსა ჭიდებ ხმალსაო!
და ამას იქით ირაკლის,
ნუ მოსთხოვ მუქარასაო!»
ამძუნდა საჭურის შაჭი,
ნალვერდალს იერის თავსაო,
ადგა და ჭეზანის სანებზედ
თავის უთვალავს ჯარსაო,
«როგორ გაჭბედეთ, ირაკლის
ჩემს სამტროდ ამლევთ მსარსაო!?...»
მოაწვა ჯარი ურიცხვი
განჯას და ერევანსაო;
საუკეთესო სარდლები
დაუშვენებდენ მსარსაო;
მათი მტვრის კორიანტელი
აუწვდებოდა ცასაო...
შეშინებული ხანები
წიგნს სწერენ ერეკლესაო:
«უფროსო ძმაო, გვიშველე
შენის შვილების მზესაო;
თორემ შენს ძმობილს ხანებსა
ტუდი დღე დაგვადგესაო:
ალა-მაჭმადის ჯარები
სულ გაგვადენენ ბრესაო;
ცოლს და შვილს ამოგვიწყვეტენ,

და ჩვენ ჩაგვურიან ბნელსაო.»
ეს რომ ირაკლიმ შეიტყო,
გულში ჩაიცინებსაო:
«ჩემის დიდის სნის განძრახვას
ძლივს შეგისრულებ დღესაო...»
მე მოსკოვიდამ მოველი
რუსის დიდ-ძალს კარებსაო...
ადა-მ:ნ:ბ:ი ადმოთხვრის
სუფველა ამ ხანებსაო.
მე რუსით და ქართველებით
შევმუსრავ სპარსელებსაო
და მასუკან მე დავიწერ
ამ ხანების ქვეყნებსაო.»
ეეენმა ხანთა ქვეყნები
მისცა მახვილს და ცეცხლსაო;
ფველა სოფელს და ქალაქში
ადენდა სისხლის ღვრებსაო.
ემუქრის საქართველოსა,
ძირში ილრეცდა ყბებსაო;
კორიანტელი სდებოდა
მის გაქუცულს სახესაო!...
სულ-გამელილი ირაკლი
გასტქერის რუსის გზებსაო,
მოელის რუსის კარებსა,
გაწყობილს ზარბაზნებსაო.
მოელის, ღამე არ სძინავს,
წლათა სთვლის თითო დღესაო;
კვერით და მწუხარებითა

იგლეჯდა თმას და წვერსაო...
რუსები ჯარის მაგიერად
ჭგზავნიდენ იმედებსაო...
გამარჯვებული ხოჯა
ემუქრის ერეკლესაო:
«ქართველებს სულ მთლად გავმუსრავ,
გადგიწვავ ქალაქებსაო;
სიონის ნაადგილევზედ
ავმართამ მეჩეთებსაო;
შენს ტოლ შვილს შენი ხელითვე
დაგაჭრევინებ უელსაო,
და საჭურისათ წაგიყვან
შენსა შვილის-შვილებსაო!»
გულში ლახვარებრ გაჭვმირეს
ამ სიტყვათ ირაკლისაო:
«რისთვის ვუმტყუნე ხანებსა,
თავი რად მივე ჭირსაო?!
ახლა ისინიც თითონა
უეენს მოსტყემენ ბირსაო
და ჩემს სამეფო გვირგვინსა
სულ დამიმსობენ ძირსაო!»
ადგა და რუსთა ხელმწიფეს
ელჩს-ელჩზედ უგზავნისაო:
«მომხედე შენსა დიდებას,
თორემ ჭკუისა მჭირსაო:
იქ არ მიგხედე ხანებსა,
აქ ვერ ვიმოანებ შვილსაო...
მე შენსა ხმალსა მოვენდე,

შენს ჯარებს დაგეშილსაო.
თუ ეხლა შენ არ მიშველი,
ჩემი მეფობა სჯირსაო:
მძვინვარე ალა-მაჰმადი
ჩემზედ მოიგლავს ყინსაო
და ჩემის გვარის სახელსა
გაანწყობს ქვეყნის პირსაო!»
იმერთა მეფეს მისწერა:
«რას უზამ ირაკლისაო!
შენი სისხლი და ხორცი ვარ,
ვიცავდი შენს გვირგვინსაო
და შენის გამეფებისთვის
ვღვრიდი რუებრივ სისხლსაო;
ნუ მიმცემ ქრისტეს მტერებსა,
ნუ ემუხთლები ღმერთსაო:
ბერებს სულ გაგვიწყვეტამენ,
გადასწვენ მონასტრებსაო,
ჭარამ-ხანაში ჩაჭერიან
ღვთის მმოსავს მონაზნებსაო,
და ვაბ მაშინ ჩვენთვისა
ვიღა შეგვედრის ღმერთსაო?!»
ეტყვიცა იმერთ მეფემ
და შუბლში იცემს ხელსაო:
«ვუი, დედილო! წამსდარვართ!
ცუდი დღე დაგვადგესაო:
ბერებს მთლა გაგვიყლეტამენ,
გადასწვენ მონასტრებსაო;
ჭარამ-ხანაში ჩაჭერიან

ჩვენს წმინდა მონაზნებსაო!
მისთანა ცუდი ამბავი
დაჭმართა ჩვენსა მტერსაო!
მთლად სულით სორციდ წავწუდებით
და გავირისხებთ ღმერთსაო!»
ადგა და წიგნი მოსწერა
დიდს ზურაბს წერეთელსაო:
«აბა, ზურაბო და სული
შესწირე ჩვენს ქრისტესაო!
ადეგ და ჯარი შეკვარე,
მიჭხედე ერეკლესაო;
ათი-ათასი მხედრითა
გადავლე ლიხის მთებსაო,
ჩადი და სპჯრსთა ეეენი
შეიპყარ იმავ დღესაო;
თავი მე გამოიგზავნე
და ტახი ერეკლესაო.»
მინამ ზურაბი შეკვრიდა
იმერეთის ჯარებსაო,
მინამ რუსეთის ჯარები
ჭგზავნიდენ იმედებსაო
და მითი წაქეზებდენ
საომრად ერეკლესაო,—
მინამ საჯურის-ეეენი
დაესხა ქართველებსაო!...
მაშინ ჩავარდა ირაკლი
ბეკუის საგონებელსაო...
ჯარების დასაძახებლად

სწრაფლად ჭგზავნის შვილებსაო...
შვილების კაცთ-მოუკვრება
მოსწონდა თითონ ღმერთსაო:
ისინი კაცის სისხლის ღვრას,
არჩევდენ ეურძნის წვენსაო,—
ადგნენ თელავს და ქიზიყსა
გაებნენ ქეიფებსაო
და თითო ჯიხვისა ნაცვლად
სცლიდენ ათ-ათ ჯიხვებსაო...
მორეკა ალა-მაჭმადის
მიანდეს მალალს ღმერთსაო...
და ღმერთზედ უფრო ძლიერსა,
ვის მიუსევდენ მტერსაო!?...

IV

დაადგა თბილისს მწარე დღე,
მისთვის მზე არ ჭნათებსაო:
ალა-მაჭმადი მრისხანედ
აწყობს რაზმზედ რაზმებსაო,
იმისი ურდოთ ჯარები
მოაბნელებდენ მზესაო:
თავი ნარიყალას ედოთ,
ბოლო განჯის კარებსაო...
ამ უთვალავსა ჯარებსა
მეფე-გმირი დაჭხვდესაო,
სულ სამი ათასი კაცით

სამოცდ-ათასს სპარსებსაო!
სამოცი-ათასს ვაჟ-კაცსა
ომში გამოწრთვნილებსაო,
გამარჯვებით წაქეზებულთ
და უკეთესთ სარდლებსაო,
თოთო-ზარბაზან—ზამბურაკით
გაწყობილ შემკულებსაო!...
მაგრამ ეს მცირე ქართველნი
ჭკვიანენ ლომს და გმირებსაო:
მათთვის შიში და დაღალვა
არ გაეჩინა ღმერთსაო;
ეს სამი-ათასი გმირი
შეებმის თუნდ ხმელეთსაო!...
გავარდა თოთი!... და ასტყდა
ბრძოლა ორთავ მხარესაო,
ბრძოლა სასტიკი, მედგრული,
გააქვს ელვა ხმალებსაო!
გააქვს ქუხილი და გრგვინვა
თოთსა და ზარბაზნებსაო.
სისხლისა ღვარი მებრძოლთა
ედარებოდა ზღვებსაო;
მკვდართა და დაჭრილთ გროვანი
ედარებოდა მთებსაო!
თოთის და ზარბაზნის კომლი
დაბნელებდა მზესაო!
ქშინვა დაჭრილთ და მოქანცულთ
ესმოდა ზეცას ღმერთსაო!...
სამი დღე და სამი ღამე

ჭმუსრავდენ ერთმანერთსაო!...
აბობენ ქართველთ გმირები
სპარსთ უთვალავ რაზმებსაო!
მიდიან მიჭეიყინებენ,
თან აელვებენ ხმლებსაო!
მათ დარეკილი ჯარები
ჭეკავნდენ თხებსა და ცხვრებსაო...
შეაუენეს მკვდართ გორები,
ჭლეარიან სისხლისა ღვრებსაო!...
გაანეს მთელი რაზმები,
თავს დასცემენ ზარებსაო!
აგერ კიდეც შემოერტყნენ
ხოჯა სანის კარვებსაო!...
შეიძრა სპარსთა ურდოი,
ვინ ვისდა გაასწრებსაო!...
მაგრამ მხნე ალა-მაჭმადი
ამიო არ შეშინდესაო:
უძახის ახალ ჯარებსა
და თვით წინ მოუძღვესაო.
უძახის თურქმენელებსა,
სპარსელთა პირველს მტერსაო:
„თქვენ რაც სპარსელთა ჯარი გჭირთ,
ამოიყარეთ დღესაო:
სპარსთ რაზმთა უკან დადექით,
ხმალი აიღეთ ხელსაო,
ვინც ნახოთ უკან სდუღი,
მათ დაუშენდეთ ხმლებსაო!,
თურქმენთ ცხენოსანთ რაზმები

ვით კლდე სპარსთ უკან სდგესაო;
რავდენი სპარსიც გაბრუნდა,
ძაღლივით სჭრიდენ ყელსაო!...
მაშინ ცა რისხვით მობრუნდა
საქართველოს მსარესაო:
სპარსნი ჭინჭვლის გორასავით
მოადგნენ ქართველებსაო;
ოთხ-კუთხივ ალყა მოარტყეს
მთლად გარშემო არესაო...
თვით ცამაც მოიქურუშა,
თვით ღმერთიც გადგეიდგესაო;
ისე ჩამოწვა ღრუბელი,
რომ დღე ჭვავს ღამეს ბნელსაო
ავდარი კოკის პირულად
მოჭქონდა პირ-ქარებსაო
და შიგ თვალებში ასხამდა
საბრალო ქართველებსაო...
და მაინც არა ტყდებიან,
მტერს ზედ აიტვრეკენ ხმლებსაო,
არც ერთს ნაბიჯსა მიწასა
არ ანებებენ მტერსაო.
„ძმანო, ქართველთა ვაჟ-კაცნო,
ვით შეეუშინდეთ მტერსაო!
ვიბრძოლოთ, ვიდრე კიდევლა
ბული გვიცემდეს მკერდსაო!
ვით ვათქმევინოთ ჩვენს მტრებსა:
ჩვენ ვჯობდით ქართველებსაო!...
ჯაბანნი ცოცხლად რას ვაქნევთ

თავებს შერცხვენილებსაო?!...
გამხნევდით, აგერ მოველით
გიორგის, მეფის ძესაო:
ის მტრისა შესამუსრავად
მოგვაშველებს ჯარებსაო.
რუსის ჯარებიც მოგვიყვენ,
მოგვცემენ ზარბაზნებსაო.
იმერთა ძმებსაც მოველით,
მოგვხედვენ თავის ძმებსაო,
და მაშინ ხოჯა ყეენი
აქ ჩაჭერის თავის ძვლებსაო!“
მოისმა შორით ნაღარა;
საყვირი მაღლად სცემსაო...
დიდი ხმა, დიდი კიაინა!...
ქართველთ შეჭსედეს ღმერთსაო.
„ის იმერელთა ხმა არის!
ჩვენ გვითენდება დღესაო!
ერთიც მხნედ კიდევ ვეკვეთნეთ
ამ ჩვენის სისხლის მსმელსაო!“
ამ ამბით გამხნევებულთა
ხელი გაიკრეს ხმლებსაო,
დაუწყეს ყლეტა მტრის გუნდთა,
ერთმანერთს ეფარესაო!...
მაგრამ სად არის იმერი?
რად არ დაესხმის მტერსაო?
ქართველთა ჯაგრი სადღა აქვს
მათს სარდალს წერეთელსაო!
ეს რომ თბილისში შემოვა,

ჭნასავს მის სიმდიდრესაო,
ითიქრებს: „ამის ბადალსა
რას დავრჩე სპარსელებსაო!
სპარსელები რომ გავრეკოთ
მე რას შემმატებს ესაო?!
შევალ და ქალაქს ავიღებ —
უპატრონოდ ქე დევსაო!—
წავუსსამ სარჩო სიმდიდრეს
და წავალ იმერეთსაო!“
იქ რომ იმედით ქართველნი
ეხოტებოდენ მტერსაო
და ჭღვრიდეს თავის სისხლისას
უკანასკნელსა წვეთსაო,
აქ იმერლები ეძგერნენ
სასლებსა და ღუქნებსაო,
ისე აიკლეს ქალაქი,
ალარა გაუშვეს-რაო;
რაც დარჩათ, ამასაც ტეტხლი
აიღეს და მისცესაო...

უკუიხედეს ქართველთ გმირთ,
ელდა ეცათ გულებსაო:
ცამდის ლაპლაპი გაჭქონდა
თბილისიდგან ტეტხლებსაო.
„ეს რა ღვთის რისხვა გვეწვიჭ,
იქ რა უნდოდა მტერსაო?!
თითქო მტერს კრიჭას ვუდექით
და არ ვაძლევდით გზებსაო,
უკან ის როგორ მოგვექცა

და ვინ ჩაგვყარა ტყეცსლსაო?!...
ვაიმე ტოლო და შვილო,
ჩაცვივნულო მტრის ხელსაო!"
მთლად დაუდუმდათ ხელები,
მთლად მოჭეთათ მუსლებსაო,
პირში გაუშრათ ნერწყვები,
და თვით ამტკრევდენ ხმლებსაო...
მძვინვარე სპარსთა ჯარები
დაეგვანენ ათორებსაო:
ბილებითაც კი ჭეღეკავდენ
დახოტილს ქართველებსაო!...
სამი ათასი გმირები
გასწყდენ სულ იმ ერთს დღესაო.
გადიწვა თბილის ქალაქი,
ქვა-ქვაზედ აღარ დევსაო...
ირაკლი მთაში წაბძანდა,
გიორგი ქიზიყს წევსაო:
დღეში თითო ზაქსა სჯამდა
და თითო ზაქის წვენსაო;
შორიდამ სეირს უცქერდა,
ვით ყლეტდენ ქართველებსაო
და მამაზედა ჭეთქავდა
სიმამრის ბრაზს და გესლსაო...
რუსთა ხელმწიფის ჯარები
მოსკოვს არ გასტილდესაო:
მშვიდობის ამბავს ჭეითხავდენ
იქიდამ ერეკლესაო...
იმერთა ჯარი შემოჭყვა

ქართლის ვაკეს და მთებსაო,
ვისაც მოასწრეს — წარტყვევნეს
და სარჩო მოსტაცესაო;
რასაც თან ვერ წაიღებდენ,
უძლიერებდენ ცეცხლსაო.
ისე გადასწვეს მთლად ქართლი
და ისე ზიგლესაო,
რომ სოფლის ნაადგილევებს
ძლივს ჭეშ-ულობენ დღესაო.
ათი-ათასი ქართველთ ტყვე
მიჰყიდეს ოსმალებსაო...
ისე გაიგსენ სარჩოთი,
ძლივს მივლენ იმერეთსაო,
და ნადავლს უნაწილებენ
თვისს გამგზავნელს მეფესაო;
და ამ ნადავლით მათ მეფე
ჭმართავდა მონასტრებსაო...

V

გარისხებული ირაკლი
ქმახის ერთგულს უმებსაო,
დასწერავს ეპისტოლესა
და ჩაუდებს უბესაო.
უბძანებს კასელს გარსევანს
დიდსა ჭაკჭავაძესაო:
„წადით და ცრემლით დამვედრეთ

დიდს რუსთა ხელმწიფესა,—
მათებრივ ჩვენცა ვლოცულობთ
ჩვენთვის ჯვარცმულს ქრისტესა,—
ადგეს და მოგვცეს ჯარები,
რომ მუდამ აქ იყვესა,
ჩვენს მტერსა ჩვენთან ნიადაგ
იგიც ბასუხს სცემდესა;
და ჩვენ ამისა სანაცვლოდ,
მივცემთ, რაცა ჭსურდესა.“
ეს რომ გარსევანს შეესმა
სიხარულითა სტეკვსა:
«მე კარგად ვიცნობ რუსებსა,
გაგებულნიერდი დღესა!...“
რუსთა ხელმწიფის კარებზედ
ქართველი ელჩები სდგესა.
ხელმწიფემ ელჩნი წყალობით
მიისვა თავის გვერდსა,
მრავალი მისცა წყალობა,
ხალათებს აცმევს გძელსა,
წყალობის სიტყვებს უბძანებს,
რომ თავს ახვევდა რეტსა.
შემდგომ უბძანა მინისტრებს:
«გაბარებთ ამ ელჩებსა.
თქვენ ამათ ისე უვლიდეთ,
ვით თქვენს ჩინებს და ჯვრებსა,
ჩემად წყალობად მისცემდეთ
ენერლის პარიკებსა...
სულ ბუზმენტებით ურთავდეთ

ბრწყინვალე მუნდირებსა...
უჩვენეთ მაგათ ჩვენს ხელში,
ვით ჭნახვენ კეთილ-დღესა;
რომ საქართველო უჩვენოდ
ვერ მოიგერებს მტერსა ...
ტებილ საუბარსა მინისტრნი
მოუუვნენ ქართველებსა:
«თქვენ ჩვენსა ხმალსა მოენდეთ
და ჩვენს მძლავრს საფარველსა.
ისე მოგივლით, როგორც რომ
დედის-ნაცვალი გერსა,
ოუსულს ლაშქრებს გასწავლით,
როგორც რომ თავა-ბზესა...
თქვენსა მთებსა და ვაკესა
დავმართავთ ციხეებსა,
შიგ ჩავაყენებთ ჯარებსა,
დავუწყობთ ზარბაზნებსა;
ერთის ციხიდამ ,ხვეგბამდის
გავიყვანთ შოსეს გზებსა;
შავსა და სპერიის ზღვებში
შეკიყვანთ ხომალდებსა;
დიდს და პატარა ქალაქში
დავხსნით შტაბ-კვარტირებსა;
მთელს საქართველოს გარშემო
მოვარტყამთ ყაზახებსა;
თითოს კარებზედ მცველადა
დავუსხამთ ჟენდარმებსა,
ოოველსა სასამართლოში,

სამსჯავრო ადგილებსაო
შეგიტანთ რუსულს ენასა
და ღერბის ქალაღდებსაო.
მოსამართლებად დაგისვამთ
ისეთნაგნი-კაპიტენებსაო;
მეფურსა ძალას ხელთ მივსცემთ
დიამბეგ-პრისტავებსაო...
ისეთს ჩაგაგდებთ გონშია,
ვედარ ჭხედავდეთ მტერსაო...
სასწავლებელში შეგიტანთ
საიქიოს ენებსაო.
რომ თავის მიღებულ სწავლას
შეაგონებდენ მკვდრებსაო.
თქვენსა გაზდილსა შვილებსა
ჩავაცმევთ მუნდირებსაო,
მუნდირებს გარსა მოვუვლებთ
სულ ოქროს ბუზმენტებსაო,
ოქროსვე ეპოლეტებით
მათ დავუმშვენებთ მხრებსაო,
უველა ქართველის კაცისთვის
მათ გავხდით სანატრელსაო,
ისეთს ჩაგაგდებთ დიდებას,
რომ სთაკილობდეთ ძმებსაო...
პატიოსნებით გავავსებთ,
ვითა ნიკოლაძესაო;
ძეგაუვარებთ მამულს, როგორც
თარხნიშვილს იოსებსაო,
ვით გრუზინსკებსა მოსკოვში,

და თბილისს ერეკლესაო,
ვით ბებურიშვილს ნახლნიკს,
სუდიას ბერიძესაო;
ქალებს ისე დაგინათლებთ,
ჩაგიცმეგთ სარაფნებსაო;
ისეთს მიგიცემთ სწავლასა
ველარა სცხობდენ.
გვერდიდამ არ იშორებდეს
ეროენი კავალრებსაო;
ახალ-მოდურად ლამაზად
უკიდებდენ ეხებსაო;
„ჩანჩურს“ „ჩანჩურს“ ეძახდენ,
იგმეხავდენ ტუჩებსაო;
მთელი დღე «ოკოშკას» უსხდენ,
ელოდენ «ყენიხებსაო»
სწავლის თავადა ხედავდენ
პოლ-კოკის რომანებსაო;
დღისით მთელი დღე ეძინოთ
და ფხიზლობდენ ღამესაო;
ფორტოპიანოს ყლარუნით
დაგიტეგბობდენ ეურებსაო;
სარჩო—სამეოთეის შოვნაზედ
არ იმტვრევდენ ხელებსაო,
გაკვირვებით ეეურებდენ
ეოველსა ოთლის მღვრელსაო,
ეკვირდეთ, რატომ ჩოხის წილ
არ იცმენ მუნდირებსაო...
ეკლესიებზედ დავიდებთ

დიდრონ რუსულს ზარებსაო,
შიგ რუსულად დავუმართავთ
წირვებსა და ლოცვებსაო...
. . . . . .
. . . . . .
ნაფარეულს და მუგუზანს,
ლოგინს და წისანდელსაო
ჩვენის ბეჭდით და ღრამატით
მივცემთ ჭაჭავაძესაო,
და სხვა ელჩთაც არ მოვაკლებთ
ჩვენს მრავალს წყალობებსაო..."
ეს რომ მინისტერთ აუხსნეს
მეფის ერთგულთ ელჩებსაო,
ისინი გახარებულნი
უწერენ მინისტრებსაო:
«საქართველო სამუდამოდ
რჩება რუსთ სელმწიფესაო,
და საქართველოს მეფენი
წამლობძანდენ რუსეთსაო!...» *)

*) ერთმა პატივ-ცემულმა სანდო პირმა, რომელიც მოკლედ იცნობდა ფარნაოზ ბატონიშვილს, გვიამბო, რომ გარსევან ჭავჭავაძე, როცა კვდებოდა, დაიბარა თავისთან ქართველი ბატონიშვილები, სხვათა შორის იულონ და ფარნაოზ მეფე ირაკლის შვილები და ითხოვა ბოდიში, რომ მოღალატე ვარ, გაგყიდეთ და შემინდეთ სიკვდილის დროსაო. ამახვე მიამბო, რომ, როდესაც ნიკოლოზ ჩუბინოვი, რომელიც იყო ქართულის ენის დრაგომანი უცხო ქვეყანათა კოლეგიაში (Иностр. коллегія), ჰკვდებოდა, უცებ დაიწყო მაღლა ლაპარაკი და შფოთვა, რომ საქართველო გაჰყიდა მეფე გიორგიმაო.

ეს რომ ირაკლიმ შეიტყო,
ბუბოს იგეთებს გძელსაო,—
თავის გაწყობილს სამეფოს
აძლევს თორმეტს მეფესაო
და თვითონ განსასვენებლად
მიდის სასუფევველსაო...

VI

მაშინ თორმეტნი მეფენი
ესივნენ ერთმანერთსაო:
იულონ ვახტანგს ებრძოდა,
ვახტანგ ალექსანდრესაო,
ალექსანდრე ოვარნაოზსა,
ოვარნაოზი სხვა ძმებსაო,
და სუფევლანი ერთადა
მეფეს— ზაქის-მეფეს ...
ადგა და ზაქი-ულაპიც
გაუდგა მამის გზებსაო,
და თავის სამეფოს მოვლას
დაჭვედრიდა რუსებსაო...
შეიქნა არეულობა
ქართლ-კახეთის არესაო:
არაგვი ქსანსა ებრძოდა,
ფრონენი ლიახვებსაო,
თელავი გრემის ქალაქსა
და ერწო თიანეთსაო;

თუში ებრძოდა ფშავლებსა,
ფშავლები ხევსურებსაო;
და ხმას გერავინა სცემდა
შემოსეულს ლეკებსაო...
მოვიდა რუსთა ჯარები
მოაქნეგენ შტიკებსაო,
დასცალეს ზარბაზანები,
აუვირებენ ბუკებსაო,
მსიარულს მარშსა უკრამენ,
ზედ ჩადიან ბუქნებსაო:
«საქართველო იმარხება» *)
ოერანგის პატრი ბძანებსაო.
რუსის ჯარს ქართველთ მემკვიდრე
ლვიოთვე წინ მოუძღვესაო,
და რუსებთან აბეზღებდა
თავის ერთგულ სარდლებსაო.
რუსებმა გასცეს ბძანება:
«რად ჭყლეტავთ ერთმანერთსაო?
საქართველო ჩვენი არის,
ხელი არვის აქვს მეტსაო...
საქართველოს დიდებულნი
შეიყრიდეთ თავებსაო,
მიდით და ერთად შეჭკრბენით
სიონისა კარებსაო
იქ უველას გამოგიცხადებთ

*) ალარ მახსოვს, პატრს ფილიპეს თუ პატრს ნიკოლას ეთქვა ამ შემოსვლაზედ: «ბარაბანი დაჭკრეს, საქართველო იმარხება.»

დიდს და ბევრს წყალობებსაო...»
ხელმწიფის წყალობისათვის
ვინ არ გაანძრევს ხელსაო!
საქართველოს დიდებულნი
შეჭურიან ამალებსაო,
ვინ ვის გაასწრებს თბილისსა,
ჩაუსწრან წყალობებსაო:
ზოგი ღვინერლობას ელის,
ზოგი დიდრონ სოფლებსაო...
სიონში რომ შეჭრბებიან,
სთხოვენ მტირე რამესაო,
სთხოვენ ნებით აიხსნიდენ
თავის ალალ ბებსაო:
«ჩვენ ყველას ასე ვურიგებთ
უშრობელს წყალობებსაო...»
ეიარალო თავადნი
ეურიან მუხლს სატებსაო,
და სულ ცრემლით შეკედრიან—
შეუსმენდენ აჯებსაო,
უხვად გაამეტებინებდენ
რუსებსა საჩუქრებსაო...
იქ რომ ლოტვებში თავადნი
ელოდენ წყალობებსაო,

[illegible]

ტებილის სიტყვითა ეტყვიან:
„ხანს ნუ ახანებთ ბევრსაო:
უნდა ამ დიდსა ტაძარში
ფიცი დაუდოთ ღმერთსაო,

რომ ამ ინ უკუნისამდე

-ჭეოთ მეფეს თქვენსა
და ერთგულებას გაუწევთ
რუსეთის ხელმწიფესა!...»
შეჭხედეს ქართველთ დიდებულთ
შემორტყმულს ზარბაზნებსა;
გარს შემორტყმული რუსთ რაზმი
ჭვავდა ქვით-კირს და ყლდესა,
მზეზედ ლაპლაპი გაჭქონდა
მატულივით ხშირს შტიკებსა;
პირები ვეშაპისავით
ელჩინათ ზარბაზნებსა;
წინ ლენერალ-ათიცრები
ატრიალებდენ ხმლებსა,
გრენადერები დიდ-გულად
იგრეხდენ ულვაშებსა!...
ადგნენ და ჩვენი თავადნი
მოწმად ძალეკენ ღმერთსა,
რომ შვილით უკუნისამდე
ვუერთგულებთ რუსებსა!»
მაშინ რუსებმა უბძანეს:
«წაბძანდით თქვენს სახლებსა,
სადაც რომ თქვენსა იტეოდეთ,
ნურც დაივიწყებთ ჩვენსა!»
გახარებულნი თავადნი,
რა ჭხედვენ თავებს მრთლებსა,
ამ გვარსა უხვსა წყალობას
შეჭკვეხდენ შინ ცოლებსა!...

მაშინ რუსები ჭეშმარიტნიან
აქედ-იქით ბოლოებსაო,
წინააღმდეგობად აძლევენ
სულ მთლად ქსნის ერისთავებსაო;
[illegible]
[illegible]
[illegible]

„ჩავუსტეთ თბილისს რუსებსა,
ნუ ვათქმევინებთ ბევრსაო,
ვუთხრათ, თუ: იქვე წაბძანდით,
სითაც მოსულხართ ჩვენსაო,
თუ არა დაგანიავებთ,
ვით ზესა-ქარი ბზესაო!...“
მიდიან, მიაშურებენ,
თან ჭეერავენ მაყრებსაო,
სულ ცსკრის დუმითა ჭქონამენ
წელ-გადაზნექილ ხმლებსაო...
მიდიან, გულს შუძტს იცემენ
და თან იქნევენ სელსაო:
«ვაი დედი-ჩვენის ღმერთსა!
ჭხედავთ თქვენ ამ ამბებსაო!!...
სულ კორიანტელს ავადენთ
მოუწვეველს სტუმრებსაო!...»
მცხეთას რომ ჩაბძანდებიან,
დაჭკარგამენ თავსებსაო;
ერთი როტა ინვალიდი
იქ მახლობლად იდგესაო.
შენს მტერს დაადგეს იგი დღე,
რაც ამათ დაადგესაო:
სულ «ბლადორროდის» ეძახდენ,
უთვალო სალდათებსაო!
რუსებმა ჭკითხეს: «რა გინდათ
თქვენ ამ თბილისის გზებსაო?
თუ გულში ცუდი რამა გაქვთ,
ეხლავ დაგლადრით ყელსაო!»

— არა, ჩვენ გუდოვიჩს ვეძებთ,
ჩვენსა დიდს მწყალობელსაო,
გვინდა რომ თვისი წყალობა
ჩვენზედაც გადმოსცესაო!—
„გუდოვიჩს თქვენ ვინ გიჩვენებთ,
ვიღაც ყარტლიანებსაო!
თუ რამე სათხოვარი გაქვთ,
წერილით მოხსენდესაო
და იგი თავის წყალობას
ქალაღდით გამოსცემსაო...“
დაფიქრდენ მეფეთ ერთგულნი:
„რა გუთხრათ მმართებელსაო?
თუ რასმე საწყენს ჩავუწერთ,
ჯარებს მოგვისევს ბევრსაო,
ისე გაგვიხდის საქმესა,
ზურგზედ აგვადგენს მტერსაო!
ბა შეჭსედეთ მაგ რუსებს
და მაგათს შტიკებს გძელსაო!
ჯერ ეგენიც გულს გვიხეთქენ,
რას გავუხდებით სხვებსაო!!...
იულონს უნდა მეფობა,
წაბძანდა იმერეთსაო,
და იმის გულისთვისა,
რად შევაკვდეთ რუსებსაო?!...“
ადგნენ და სთხოვეს ხუცესსა,
თუ ვიღაც მწერსა ბერსაო:
„შენ მწიგნობარი კაცი ხარ,
შენ დასწერ უველაფერსაო,

შენ მიგვიწერე მმართებელს:
„ვეკედრით მაღლა ღმერთსაო
რომ მტერზედ გაგიმარჯვებდეს
შენ ჩვენსა მწყალობელსაო!...“
ჩაუჯდა წმინდა შამაი,
ხანს არ ახანებს ბეკრსაო
სულ ოქროს კალმით სწერავდა
ქვეყნის მაშვენს სიტყვებსაო,
სულ ჩართული ხელითა სწერს,
უკეთებს ჩუქურთმებსაო,
ცხრა ადლს გამოქნილს ხბოს ტყავზედ
ამ ცხრა სიტყვასა სწერსაო...
ამ ცხრა სიტყვას მეფეთ ბურჯი
ათასი ხელს აწერსაო.
დაბეჭდეს წიგნი მძიმედა,
ზედ დაასმენ ბეჭედსაო...
მაგრამ მიეცნენ დარდებსა
ასლა უარესებსაო:
ჰფიქრობენ, რა სარისხი აქვს
გუდოვიჩ მმართებელსაო?
რომ ზეკიდამ დავაწერეთ
ამ დიდს ეპისტოლესაო.
ზოგი იძახის დავწერეთ:
„მის ბოლოროდიესაო,“
ზოგი იძახის დავწერეთ:
„მის ჯვრებსა და ჩინებსაო!“
ვინ «იანარალს» იძახის,
ვინ «მუნდრის ათიცარსაო!»

ადგნენ და სახლში დაბრუნდენ,
რა ვერა გაიგეს-რაო.
ის მძიმედ ნაწერი წიგნი
დღესაც მცხეთაში დევსაო...
დაიძრა რუსთა ჯარები,
წავიდა იმერეთსაო...
იმერთა მეფე ჩოქვითა
გარს უვლის დიდს ტაძრებსაო,
აურაცხ სარჩოს აძლევდა
ბერებს და მონაზნებსაო
და უბრალო ნიშებსაც კი
უნთებდა კელაპტრებსაო,
მთელს სოფლებს და ქალაქებსა
სწირავდა მონასტრებსაო,
და თან მხურვალე ლოცვითა
ჭღვრიდა ცხარე ცრემლებსაო,—
და მით თვის გვირგვინის დაცვას
ანდობდა მაღალს ღმერთსაო...
ის რომ ხატებს ლოცულობდა
და მუჯს იტემდა მკერდსაო,
შველას მაღალ ღმერთს შესტირდა,
ძირს შესტირდა ხატებსაო,—
რუსები ზურაბ წერეთელს
გულზედ ჭიდებენ ჯარებსაო,
აძლევენ ღალატობასა,
აძლევენ დიდს ჯარებსაო.
წერეთელი სასწრაფოდ
მიესევა მეფესაო,

შეიშურობს და ტუვედ გაჰგზავნის
ნარიყალის ციხესაო.

ამით გათავდა, რაც საქმე
ბაგრატიონთ სთესესაო.
ბაგრატიონთ ძე და ქალი
გადაბძანდა რუსეთსაო,
საქართველოს ერთგულება
მისცეს დადიანებსაო,
მისცეს კახეთს ჭავჭავაძეთ
ქართლში — ერისთავებსაო,
ათხაზეთში შარვაშიძეთ,
იმერეთს წერეთლებსაო,
მისცეს სულ პირველ თავადებს,
ქართველთ თვალის ჩინებსაო:
„რაც ჩვენ ქართველთ ვერ მივეცით,
თქვენ შეუსრულეთ ესაო!“

ა. ფ.

1879 წ. ივლისს.

„და და ძმა.“

მოთხრობა ლეონ კლადელისა.

(ორგმანი ელ. ფორთქიფანიძისა.)

— მოქალაქე ისიდორის ცოლი გახლავთ.

ეს ერთი კვირაა, რაც სენატორს ეუბნებიან, თქვენი ნახვა უნდაო და არც ერთხელ არ აღირსა თავისი ნახვა.

— ისევ ისა!— წამოიძახა სენატორმა — კიდევ არ მეშვება ეს დედა-კაცი! რა უნდა, ვინ არის, სადაურია, არა იცით-რა მაგისი სმბავი?

— წუხელისაც მოგახსენებდათ სასტუმრო ოთახში, საცა გრაფი კოზინი და ბატონი ოლკენდორფი ბძანდებოდენ, რადგან აქამდის არა ღონისძიებით არ მინახულა სენატორმა, მე სხვათერივ მოვახერხებ, როგორც იქნება, იმის ნახვასაო, და აი დღეს უშოვნია ორიოდ ბარათი თქვენთან მოსართმევი და ამითი მოსულა.

— აბა, ეგ ბარათები სად არის? მომეცით აქა.

— აგერ გასლავთ!

— ვნახოთ!— სენატორმა გაშალა და წაიკითხა:

„უმორჩილესად ვსთხოვ ჩემს პატივ-ცემულს მეგობარს

სენატორს ბარონ ჰ. ფ. ლოიზს ინახულოს მოქალაქე ისიდორის ქვრივი.

ჭანრი, ჭერტოგი დე-ლა-რომ
ეგიულიონი, სენატორი.“

— მეორე? შინაარსი თითქმის იგივეა და ზედ-წარწერით:
„ე. ასპაშენ.“

— ეს ვიღასია?

«ძალუარ სულლი,
უმთავრესი რედაქტორი ჟურნალისა
«ფერანგი.»

— დაგწყევლათ ღმერთმა! შემოიყვანეთ ვიღაც არის ეს დედა-კაცი.

როდესაც მძიმე ნაბიჯით, ამაყად შემოვიდა მაღლა თავაღებული მთხოვნელი ქალი, ფილენჯის ქარით სნეული სენატორი ბარონ ლოიზი ბუხარ-წინ იჯდა მშვენივრად ოქროთ და ვერცხლით მოჭედილს სამწერლო სტოლთან და ქაღალდებს განგება შლიდა და ჭეშტდა, ცდილობდა, რომ მოსაქმე კაცის სახე მიეღო.

— სენატორი ბარონ ლოიზ თქვენა ხართ?— ჭკითხა შავს ტანისამოსში ღარიბულად მოსილმა მოქალაქე ისიდორის ცოლმა, რომელიც ოთახში შუაზედ გაჩერდა.

ამის ხმაზე სენატორი ცოტა არ იყო, შეკრთა, აცახცახდა და შეჭხედა ქალსა.

თავიდამ ბოლომდის გადაჭხედა ქალმა და კიდევ ჭკითხა:

— თქვენა ხართ სენატორი, ბარონ ლოიზ?

— მე ვარ,— ძლივს წარმოსთქვა მოსუცმა. საზარელი შეხედულობის სახე ჭქონდა ამ მოსუცს, რომელსაც საფერანგეთის ხელმწიფეე ნაპოლეონმა ჭერტოგ ოტრანის ღირსება მია-

ნიჯა. თვალები ორბის მსგავსი ჭქონდა, სახე ისეთი მახინჯი, რომ შეხედვა შეგეზარებოდათ.—სწორედ მე ვარ ბარონ ლოიზ, სენატორი.

— ჭმ! მაშ თქვენა ხართ!— წარმოსთქვა მოქალაქე ისიდორის ქვრივმა. მარჯვენა ხელი გადისვა სქელს ჭაღარა თმაზე, გაისწორა შავი ტულის თავსახურავი, მდუმარედ მივიდა სელისკენ და ზედ ჩამოჯდა; ტუჩებზედ ცივი ღიმილი ეტუობოდა.

— რა მშვენივრად გქონიათ გამართული აქაურობა!—დაიწყო ხნიერმა მანდილოსანმა—საუცხოო სახლის ავეჯი, წიგნები მშვენიერ ოქროს ყდებით გადაკრული! სულ ოქროთი და ვერცხლით მოჭედილია ოთაღი ნივთი. საითაც მიიხედავ, ჭერისკენ თუ ფანჯრებისკენ, ოთაღიგან თქვენი ღერბებია! კარგს მოხერხებულს მუშა-კაცს რომ მათუსალასავით ცხრაასი წელიწადი ეცოცხლა იმდენს ფულს მაინც ვერ შეაგროვებდა, რომ ასე მშვენივრად მოერთო სახლი.

ლოიზი განცვიფრებით უცქერდა ამ ქალს და გული თან-და-თან უშფოთდებოდა.

თუმცა დედა-კაცი ოთხმოცის წლისა იყო, მაგრამ სულ არ იყო წელში მოხრილი; ტანადი იყო და მაღალი, თვალები უელვარებდენ, სახეზედ კი სიმშვიდე ეტუობოდა. თავი ისე მაღლა და ისე ამაყად ეჭირა, რომ ვერავინ იფიქრებდა თუ უბრალო მუშა დედა-კაცი არისო. ორივესთვის რომ ერთად შეგეხედნათ, საკვირველ განსხვავებასა ნახავდით. ორივე ხნიერები, თითქმის ტოლები იყვნენ, მაგრამ ბარონ ლოიზის სახე სიბერისაგან დამჭკნარი და გატვეთილი იყო. სახეზედ ეტუობოდა სულისა და ზნეობის სიმდაბლე, ფარისევლობა და სიმხდალე. მოქალაქე ისიდორის ტოლისათვის რომ შეგეხედნათ, იმას

პატიოსნება და სიმართლე აჩნდა სახეზედ. მიხვრა-მოხვრა ისე თი თავისუფალი ჭქონდა, მტკიცე და მოხდენილი, რომ ზოგიერთ ქალს განგებ რომ უნდოდეს, ვერ მოახერხებს და ამ გვარ მუშა-დედა-კაცს კი ეს თვისებადა ჭქონდა.

— ძლივს არ მეღირსა მე ამ მიუწდომელს ბუნაგამდე მოღწევა.—წარმოსთქვა ქალმა და გადაავლო თავის სწორე და სიმართლით სავსე თვალები.

— დიაღ, ბატონო სენატორო, აქ ისე ვერ შემოდის კაცი, როგორც პატიოსანის კაცის სახლში!

ზეზე წამოვარდა ლოიზი, სტოლიდამ ყურის მისაგდები ტრუბა აიღო და ყურზედ მიიდვა.

— ეჰე! სხვა სიკეთესთან ეგ სიკეთეცა გვჭირებიათ! ერუცა ეოთვილსართ? მადლობა ღმერთსა, მე შემიძლია მაღლა ხმით გელაპარაკოთ, ეკირილიც კი შემიძლიან.

— რასა ბძანებთ, ქალ-ბატონო?

— დაბე, ქალ-ბატონოს მიმახის!— წარმოსთქვა მანდილოსანმა და თვალი თვალში გაუყარა— მე იმას ვამბობ, რომ თქვენისთანა ერუ კაცებს ძალიან კარგად ესმით, რაცა იმათი უფროსი უბძანებს რასმე; ასე ამბობენ და მეცა მჯერა.

ამ სიტყვებზედ სენატორი ის იყო ზარის დარეკას აპირებდა მოსამსახურეების დასაძახებლად, მაგრამ ხელი აუცახცახდა და წაიბუტბუტა:

— მე არ მესმის, რად მიგზავნის ჭერტოგი დე-ლა-რომ ეგიულიონი ამ გვარ ადამიანებს....

— ასე პირ-და-პირ მოლაპარაკეს.—დაატანა ქალმა და ზიზღით შეხედა.

— მითხარით ერთი ვინა ხართ თქვენ და რა გინდათ ჩემგან,—გაჯავრებულმა წამოიძახა სენატორმა.

კედლებზედ მშვენიერის ჩარჩოებით სახელმწიფოში გა-
თქმულ კაცების სურათები იყო ჩამოკიდებული.

დედა-კაცი მოდიმარე, სასაფე უცქერდა იმათ, და და-
ცინვითა ჰკითხა:

— რაღა ერთად მოგიგროვებიათ ამ მზსახარა კაცების სურა-
თები? კი მოუვიდათ, კარგი სალი ეგენი იყვნენ. რასა ჰგვა-
ნან, ვინ არიან, ლაქიები არიან განა?

წამოდგა ხვამიდამ სენატორი, ხელები გაუშვირა და
უთხრა:

— ბევდრებით, ჩუმად ილაპარაკეთ.

— თურმე კარგად ესმის და მე კი ურუ მეგონა. — თქვა
ქალმა.

ამ სიტყვებზედ წამოდგა მაღალი, მშვენიერი, მედიდუ-
რი დედა-კაცი და დაიწყო:

— თქვენამდის მოღწევა ისე მეძნელებოდა, რომ თქვენის-
თანა დიდ-კაცებს მივმართე თხოვნით, ბარათი დაეწერათ
თქვენთან მოსართმევი, რომ მიგელეთ. ბევრი გაჭირება გა-
მოვიარე და რის ფოფით ვიშოვნე იმათი ბარათები. ახლა
ძლივსა ვარ თქვენს წინაშე. მე ვინა ვარ, თქვენა მკითხავთ? ნუ
გეშინიანთ, გეტყვით; რაც მინდა თქვენგან, იმასაც გეტყვით.
ბევრი არათერი. მე მინდა გითხრა შენ, ოჰ, უკაცრავად, თქვენ,
რაც გულზე მაწევს. ნუ შეფოთავთ, ასეა თუ ისე, ერთხელც
არის უნდა გაიგონოთ ჩემი ლაპარაკი; ამისათვის მადირსეთ
ხომ მიღება, რომ ჩემი ლაპარაკი მოისმინოთ. — მაშ, აბა,
დაბძანდით კერა, თქვენისთანა მოხუცისათვის ფეხზე დგომა
ძალიან ძნელია, ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი, ამასთანავე
სწორედ დგომა გეძნელებათ, მე ვიცი. სისწორე ზოგიერთ
ადამიანისათვის—დიდი ხნის დაკარგული ჩვეულებაა! კითხოვთ,

წელში მოიხარეთ. ვგონებ ძალიან ძნელი არ იყოს თქვენთვის წელში მოხრა; თქვენ ხომ ყოველთვის დიდ-კაცებში ყოფნასა სართ დაჩვეული! მე კი, რადგანაც უბრალო დედაკაცი ვარ, თქვენ სრული ნება გაქვთ არა მცეთ პატივი, არა გთხოვთ მე ამას, თქვენ უნდა მიმიღოთ სკამზე მჯდომმა, ან დივანზე წამოწოლილმა და აბა მაშ წამოწექით, ნუ შეწუხდებით ჩემის გულისათვის!

ეს სიტყვები სენატორს საშინლად სწყინდა, არ იცოდა როგორ ეჩვენებინა თავი, რომ ვითომ არათერად აგდებს ამ ლაპარაკსა; დაიწყო ხელმწიფისაგან ნაბოძების ჯვრის სწორება და ბევრდით მოუჯდა მანდილოსანს.

— ჭო, მართლა, ეგ თავის გამოჩენის ჯილდოა, — განაგრძო ქალმა—მე ძალიან კარგად ვიცი, რომ იცით, თავის გამოჩენა როგორ უნდა.

ამ შეურაცხ-მყოფელმა სიტყვებმა ააშფოთა სენატორი. აპირებდა წამოდგომას, მაგრამ ვერ მოასწრო, მუხლები ეკვეთებოდა და ისევ დაჯდა სელზედ.

— უბედური!— სთქვა დაცინვით ქალმა — რა ნაირად არის აშფოთებული—და განაგრძო ლაპარაკი:

— დარწმუნებული ვარ, თქვენ არ მელოდით მე, მოქალაქე ისიდორის ცოლსა. იქნება თქვენ მოჩვენებაც გეგონოთ! ეს ჩვენი ნახვა უკანასკნელი იქნება, ამას იქით უფრო გამიძნელდება თქვენი ნახვა! თქვენც, რასაკვირველია შინ არას დრეს არ დამიხვდებით! მე იმისათვის კი არ მოვსულვარ, რომ მოგილოცოთ თქვენი გამარჯვება ლუქსემბურგის სასახლეში, რომ დასაც მჯეარ-მეტყველური სიტყვა წარმოსთქვით. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ თქვენ განთქმული მჯეარ-მეტყველი ხართ, მშვენივრად გამოხატეთ ეთილ დღეობა ჩვენის ხალხისა, თქვე-

ნისთანა დიდ-კაცებისაგან გაბედნიერებულისა... მშვენიერადვე და მოხერხებულადვე წარმოგვიდგინეთ თქვენ 1793 და 1848 წლები!! ვგონებ თქვენ ყველანი დიდი მადლიერი ხართ ამ საშინელის მოვლინებისა?! უმაგისოდ თქვენს წარმოთქმულს სიტყვას რა ძალა ექნებოდა! თქვენი სიტყვა იმ განცხადებით დაბოლოვეთ, რომ დრო არის ყველას დავუმტკიცოთო, რომ შვიდი მილიონის საფრანგეთის ხალხისაგან ამორჩეული კაცი უუდიდესი და უგანთქმულესი კაცი არისო და მხოლოდ ამ კაცს შეუძლიან და ვალდებულია თავის ქვეყანა განათავისუფლოს თოფ-იარაღისა, ხმლისა და ხანჯლის შემწეობით, მაზასის საშურობილეში ჩამწყვდევით, ლამბესაში გადასახლებით და კაიენაში დაკარგვითაო!!... მშვენიერად ილაპარაკეთ, პატიოსანო ბარონო! თქვენი მიცვალებული მეგობრები — სენტანტუანი და მორნი, თქვენი თანაშემწენი 1851 წელს, ამ სიტყვებისათვის სისარულით შეიძვრიან თავის სათლავებში. ცოცხალი თქვენი მომხრეებიც, რასაკვირველია, გაბედნიერეთ მაგ თქვენგან წარმოთქმული სიტყვით. თქვენ გაბედნიერეთ აგრეთვე თქვენი კეთილ-სინდისიანი მეგობრები, რომელთაც ორს დეკემბერს უშრომლად გაიმარჯვეს და ბევრიც შეიძინეს! ამ გვარ სიტყვების წარმოთქმისათვის, რასაკვირველია დიდ თულს იძლევიან, განა, ბარონო? თქვენ არ მოგწონთ ეს უცნაური კითხვა, მაგრამ იცით, რა გითხრათ. მე ერთი რამ მინდა გკითხოთ თქვენა, მითხარით, რომელი ისეთი დიდის-კაცის შვილი თქვენა ბძანდებით, ან რომელი დიდის შთამომავლობისა, ასე უწყალოდ რომ გინდათ მდაბალის ხალხის უფრო დამდაბლება, დასჯა და მიწასთან გასწორება? ძალიან მინდა ამისი პასუხი გავიგო, შეგიძლიანთ მომცეთ ეს პასუხი?

მრისხანედ უყურებდა მოქალაქე ისიდორის ცოლი ამ დიდ-

ვაცს, რომელიც ისეთს მდგომარეობაში იყო, თითქო მრისხანე მსაჯულის წინ მდგარიყო, როგორც დამნაშავე. ძლივს აიღო მაღლა თავი, შეხედა თვალებში ქალს და აცახცახდა. ქალმა შენიშნა ეს.

— დიაღ, ჩვენ არა ვცდებით.— სთქვა იმან და წამოდგა. სენატორმა უკან დაიწია; დედა-კაცმა თავის ჭაღარა თმები გადიგდო და უთხრა ჩუმად:

— მე ვარ, მცნობ თუ ვერა?

პასუხს არ იძლეოდა სენატორი.

— რას გაჩუმებულხარ?

სენატორი თავ-ჩაღუნული იდგა და თავის აწევას ვეღარ ახერხებდა.

— როგორც ვატყობ შენს აშფოთებას და შენს დაკრთომას, სჩანს, გიცვნიავარ, თუმცა სიბერემ ძალიან გამოშცვალა; აგერ სამოცდა-ათი წელიწადია ხმა არ გაგვიცია ერთმანერთისათვის; დღეს არის თუ ხვალ დავიხოცებით ჩვენა, მოვშორდებით ამ წუთის-სოფელს, გვეყო მგონი ამდენი ცხოვრება, ახლა დრო შენ ანგარიში მოგკითხო. მე არ მინდოდა ისე მოვმკვდარვიყავი, რომ არ მეკითხნა შენთვის ესა, შე ფლიდო, გამცემო!

სენატორი თავიდამ ფეხებამდე ათრთოლდა, ქაღალდსავით თეთრს პირზე ცოტა რამ სიწითლე მოადგა და ძლივს წარმოსთქვა:

— გამიგონე, გამიგონე!...

— გაჩუმდი, როცა მე გავათავებ, შენ, თუ შეიძლებ და გინდა, მაშინ ილაპარაკე. მგონია სამართალი მოითხოვს, რომ ჩემის პირით სალხი გამოგელაპარაკოს შენა და შენზედ, როგორათაც შენ ელაპარაკები ეს ორმოცდა-ათი წელიწადია

ხალხსა და ხალხზედ. რაც მე მინდა გიამბო, დიდის ხნის ამ-ბავია, მე კარგი მესსიერება მაქვს და არა დამვიწყებია-რა. ასლა შენ უნდა მოგაგონო, აბა უური დამიგდე! 1794 წელსა 10 ტერმიდორს, აბელ ლოიზს, ანტუანის უბნის ჯონსა, იაკობი-ნების საუკარელ მოდაპარაკეს, ორატორს და იმათ მეგობრებს, კომუნას და კონვენტის წევრებს, ის იყო თავის მოკეთას უპირებდენ, მაგრამ ბოლოს აპატიეს და იმის მაგიერად რომ რობესპიერთან, კუტონთან და სენჟუსტთან ერთად მომკვდა-რიყო, ის მოკვდა მესამე წელიწადს სუბრანთან, რომთან და სხვა მონტანიარებთან. სელი რომ ამოსდიოდა, წამოიძახა: «რესპუბლიკას გაუმარჯოს, გაუმარჯოს თავისუფლებასაო!» ამითი ის თავის სიცოცხლის მიზანს აცხადებდა. ორი ობო-ლი დარჩა, ქალი ელენე, რომელიც 1795 წელს შვიდის წლისა იყო, და კაი ცხრა წლისა; დედა უფრო ადრე მოუკვდათ. ეს ორი ობოლი ერთმა იაკობინელთ სახლობამ შვილად აიყვანა. ელენე იმპერიის დროს ერთმა მუშა-კაცმა შეირთო, მარსელის უბანში. ამ გლეხს თავის სამშობლო თავის-თავს ერჩივნა. რუსეთის ტყვიამ მოუღო ბოლო და რაც აბელ ლოიზმა სიტ-ყვა სთქვა სიკვდილის დროს, იგივე სიტყვა ამანაცა სთქვა მკვლელების წინ. ერთმანერთი რომ ენახათ ამ გლეხს და აბელ ლოიზს, ძალიან შეუყვარდებოდათ. ელენე, ასული სრულიერ დასჯილ აბელ ლოიზისა და მეულლე თავისუფლებისათვის მომკვდარ ჰექტორ ისიდორისა, დარჩა ორი პატარა კაეთ-უმცროსი ძუძუსა სწოვდა, მამა რა მოუკვდათ. რაც იცოდა, ყველა შვილებს გადასცა დედამ. ამისათვის 1830 წელს, მაქ-სიმილიანი, უფროსი კაი ელენესი პირველთაგანი შეკარდ ტიულრიის სასასლეში არეულობის დროს და როგორც იმის-მა პაპამ და მამამ 1814 წ. მოკლულმა, თავისი უკანასკნელი

ვალი ამანაც მოიხადა. ახლა მკათათვის სვეტ ქვეშ არის და-
მარხული და იმის სახელი გამოკვრილია სპილენძის ფიცარ-
ზედ. ღმერთმან აკურთხოს ეს სახელი! დედამ ღირსეული შვი-
ლი გამოიტირა! «როგორც მამა, ისეთი შვილია,» ნათქვამია
და ნამდვილადაც იმას კეთილნის ეს ენდაზა. დედამ რომ ის
შვილი გამოზარდა, იცოდა კიდეც, რომ გამარჯვებულს დაჭ-
არგავდა! თავის უმცროსს ძმაზე უფრო ბედნიერი იყო ისა:
ქალი, მეორე შვილი ელენესი, რესპუბლიკის ერთგული იყო,
როგორათაც მთელი იმისი სახლობა. 1848 წელს დასკვრეს
არეულობის დროს და 2 დეკემბერს 1851 წელს ისიც მოკვდა.
ელენე, მწუხარე, უბედურად მარტო დარჩა. მოშორდა იმათ,
ვინც სულითა და გულით უყვარდა. ერთიღა იმედით სცხოვ-
რობდა ეს ცოლი იმ კაცისა და დედა იმ შვილებისა — თავის-
უფლობის დაცვისათვის რომ თავი გადასდეს. ერთი ის იმედი-
ღა დარჩა, რომ საუკუნო თავისუფლება ელის იმის ბეთილსა
და საუკარელს სალხს, რომლის გულისათვისაც დაჭკარგა მთე-
ლი ერთგული პატიოსანი სახლობა, გარდა ერთის წყეულისა!
ეს თვრამეტი წელიწადია იმ იმედით არსებობს ეს დედა-კაცი,
რომ ერთხელაც იქნება მოვა ისეთი დრო, რომ სალხმა გაი-
მარჯვოს უფლების დამჩემებელზედაო. იმ დღეს, თუმცა ელე-
ნეს შვილები აღარა ყოფან რომ შესწირონ სამშობლოს გან-
თავისუფლებას, თვითონ მაინც წარდგება საბრძოლველად და
თუ თვითონ ვერ შეიძლებს ბრძოლას, იმათთან მაინც მოკ-
ვდება, ვინც შესძლებს. საფლავამდის თავისუფლების ერთგული
დარჩება ელენე, ასული აბელ ლოიზისა, რომელიც მესამე
წელიწადს მოკვდა საფრანგეთის რესპუბლიკისათვის. რაც შეე-
ხება მეორე შვილს აბელ ლოიზისას, იმის საქმე სულ სხვაა.

— ელენე!—უცბად წამოიძახა სენატორმა, ბარონ ლოიზმა და უკუდგა, თითქო შეეშინდაო—ელენე, ელენე!

დედა-კაცი არ გაიძრა და განაგრძო:

— მე და ჩემი, ძმა გავიზარდენით ჩვენს ასალს დედ-მამასთან და ისე ვიუავით, როგორც იმათი საკუთარი შვილები. ჭკვიანი და გამჭრიახი ბავშვი იყო, მაგრამ პატარაობიდამვე გამოიჩინა ჩემმა ძმამ მარგ ფერმენ ლოიზმა სიფლიდე და ორპირობა; მამა ყოველად სვინიდისიანი და პატიოსანი გეუავდა, მაგრამ თვითონ ადრე დაიწყო მზადება სისაძაგლისა და უსინიდისობისათვის. მთელი იმისი სიცოცხლე ამითრა სავსე. უსინიდისოდ გასცა ორი მეგობარი, უდე და მალე; უსინიდისოდ მიუტანა ამბავი მთავრობას, რომ იმის წინააღმდეგ «ლურჯის ძმების» საზოგადოების წევრები, თავს იურიდენ სოლმე იქა, სადაც ჩვენ გავიზარდენით და შვილადა ვეუავდით აუვანილი. ამისათვის დაასაჩუქრეს ლოიზი.

— ოჰ, სირცხვილო! იმპერიის დროს პოლიციის ჯაშუშად გახდა! ამ გვარი სიფლიდე, გამცემობა, ფარისევლობა, მოწონა ფუშეს და მისცა იმას მურალი, ჭუჭყიანი თანამდებობა, თავისთან სეკრეტრობა. რა იქნა მარგ-ფერმენ ლოიზი ვატერლოოს შემდეგ. რა დაემართა, ელენემ არა იცოდა-რა. მხოლოდ 1830 წელს, 29 ივლისს, ელენემ დაინახა რომ ლუვრის სასახლის წინ შედგა კარეტა, ჩამოვიდა იქიდამ ერთი უმაწვილი-კაცი ჯვრებით და ჯილდოებით მოსილი, შიშისაგან საცოდავად გაცრეცილი; ხალხი გაგლეჯას უპირებდა, მაგრამ ორი სალდათი მიეშველა ამ გამცემს ფარისევლს და სულელურად გასწირეს კიდეც იმისთვის თავი; ეს იყო მარგ-ფერმენ ლოიზი, პოლიციის ჯაშუში! ამ უსინიდისომ სამართლიანს სასალხო სასჯელს თავი დაალწია, ლონდონში გაიქცა და უშიშ-

რად თვალს იქიდან ადევნებდა, რაც საფრანგეთში სდებოდა. როდესაც საფრანგეთში ფილიპე ეგალიტეს კაკი, ლუი ფილიპე, ჭერცოგი ორლეანისა, მეფედ დამკვიდრდა და იმ რესპუბლიკელ პირთ ბოლო მოუღო, რომელთაც საფრანგეთის განთავისუფლება უნდოდათ და საფრანგეთს ჯაჭვები და ბორკილი შეუყარა, მაშინ ამ ხელმწიფეს მოჰყვნენ თან სულ-მდაბალი, ორ-პირი, თარისეველი, ფლიდი მონები და მოსამსახურეები; იმათ შუა იყო პოლინიაკის ჯაშუში, ერთგული და პატიოსანი ყმა მეფისა, რაინდი ლოიზ. როგორ ფიქრობ დიდ-კაცო, კაი ბუმბერაზი იყო ლოიზი თუ არა?!! დამაცადე! ჯერ არ გამითავებია, ასე კი არ თავდება ამ საუცხო გმირის საქმენი და ოინები! იმან მიაღწია თავის წადილს ბორტობით, ორ-პირობით, უსინდისობით, გამტყუნობით, თარისეველობით, ფლიდობით, სულ-მდაბლობით... ლოიზი რომ გიზოსთან ერთად მსახურებდა, იმის შეძწეობით საფრანგეთის პერობა მიიღო, დიდ-კაცობა. იმის ფიქრით მაშინ ხალხი კეთილ-დღეობაში იყო, დაშვიდებული, მაგრამ 1848 წელს 22 თებერვალს ხალხი აჯანუდა და ლუი-ფილიპეს შიშის ზარი დასცა. იმის მომხრეები ცდილობდენ უშველათ როგორმე და პირველი ამ მშველელთაგანი იყო ჩვენი რაინდი ლოიზი; ის ურჩევდა მეფეს: «ყველა ეს ოხრები გაგაყლიტოთ თოფ-იარაღითაო.» ცოტა რამ ჯარით უნდოდა ხალხისაგან ამორჩეულ პირების, დეპუტატების გაუქმება, როგორც 1789, 1792 და 1793 წელსა; ყოველს ღონისძიებას ხმარობდა მონტანიარის შვილი, რომ სასელმწიფო ტახტისათვის ეშველა როგორმე. მაგრამ ამაო იყო! რამდენისამე საათის განმავლობაში ხალხმა გაიმარჯვა. როგორც 1830 წელს, «გაუმარჯოს რესპუბლიკასო» ეკერრდა ხალხი და იმათ რიცხვში მშვენიერი მაღალი ბანით

მარსელიეზას იმღერდა ახლა ისევ ხალხის მომსრედ გადმოსული ბარონ ლოიზი. ის ისე იმღერდა ახლა ამას, როგორც უწინ «პარიზიენას». გუბერნატორობაც მისცეს, რა შვილი ამოარჩიეს!! ყველას ერთ-ნაირად უწოდებდა «მოქალაქეო», ყველას ძმურად და უბრალოდ, თანაბრად, ეკიდებოდა და ისე მხურვალედ ვერავინ ახერხებდა ამ წმინდა სიტყვების გამოთქმას: «ძმობა, ერთობა და თავისუფლება», როგორათაც ისა. მაცდურობით აპყრობდა თვალებს ზეცას, გულზე ხელს იდებდა და თითქო დიდი მოწიწებით ამბობდა ამას. ისე უბრალოდ ეკრა თავი,—თავის სახელს რომ სწერდა სადმე, «ბარონობასაც» ეი ალარსად ახსენებდა. ხალხის მოსაწონი სიტყვები კიდევ მალე გადაექცა ხელმწიფის მოსაწონ სიტყვებად. გადუდგა სალსს და ისევ ხელმწიფეს მიუდგა. როდესაც გამოაცხადეს, რომ სალხი ისევ ხელმწიფის მფლობელობაში შეკვეთ და «ერთობა, ძმობა, თავისუფლება» ირღვევა, მაშინ იმან დიდი ჯილდო მიიღო, სენატორობა და გარმეორებით ბარონობა. აი აგერ შვიდმეტ წელიწადზე მეტია, რაც ეს დარბაისელი სენატორი, ბარონ ლოიზი, ხალხს წინ უდგება, ლანძღავს და ჭიცხავს, რაც შეუძლია, რესპუბლიკას 1851-ში დაღუპულს და აქებს, ადიდებს იმის დამღუპველს მეფეს. აი მოკლედ აწერილი საქმეები და ნაწარმოები მარკ-ტერმენ-ლოიზისა, უსინიდისო და უსირცხვილო ადამიანის ამბავი.

ქალი გაჩერდა და თვალი გაუშტერა მიწასთან გასწორებულს მოხუცს.

—ახლა რომ გავათავე, ესთქვი რაც მინდოდა და ალარა მრჩება-რა სათქმელი, ისლა წაბძანდით ბარონო! თქვენ გიცდიან თქვენი ფეხთა-მტვერი მოხები, ფარისევლობით და ფლიდობით სავსე მთხოვნელნი, წაბძანდით იმათთან; ისინი, რა-

საკვირველია, გაოცებულნი არიან, რომ თქვენ ასეთმა დიდმა-კაცმა ამდენს ხანს აღირსეთ ლაპარაკი ვიღაცა უბრალო დედა-კაცს. დაჩქარეთ იქეიფოთ იმათთან, იქნება უკანასკნელი-ღა იყოს ესა; გეყოფათ ამდენი განცხრომა და შორს აღარ არის თქვენი შავი დღე. მშვიდობით, საუკუნოდ, ბარონ ლოიზ! ელენე ლოიზი, მოქალაქე ისიდორის ქვრივი, გეთხოვება შენ. საუკუნოდ მშვიდობით, იუდავ!

ამ სიტყვებით დაბოლოვა ღარიბ მგლოვიარე კაბით შემოსილმა დედა-კაცმა, მადალმა და მედიდურმა და კარებისკენ გასწია. ელვარე თვალებით და შესაზარად გადაჭედა კიდევ შერცხვენილს და მკვდარსავით გაჩერებულს მოხუცს. გადმოხედვაზე, თითქო დანით დაჭრესო, აკანკალდა, დაეშვა მუხლებზე, აიფარა თავისი ცოდვილი ხელები და ეკედრებოდა:

— ელენე, ღვთის გულისათვის, მომიტევე, გეკედრები!!

ელენე მშვიდობიანად გაჩერებული იყო, თითქო კანონს ასრულებდა რასმე.

— მე ელენე არა ვარ, მე შენი და არა ვარ,— წარმოსთქვა მან ბოლოს—მე ისა ვარ, ვისაც ადრე იქნება თუ გვიან, სიტყვას მოუსმენენ,— მე ვარ ჭეშმარიტება!

მოხუცი მდუმარედ თავ-ჩაღუნული, მუხლ-მოდრეკილი იყო, თითქო ხანჯალი დასცეს თავზეო და საშინლად აცახცახებდა. ქალმა ხმა-ამოუღებლივ გვერდით გაუარა, გადახედა და გავიდა.

— ელენე, ელენე!—მაგრამ იმან ხმა აღარ გამოსცა და აღარც მოჭხედა. სინიდისით დატანჯული, დათრგუნვილი, მიწასთან გასწორებული ლოიზი, თითქო ოთახის იატაკზე დაულურსმავთო, მუხლებზედ იდგა და ღია კარებისკენ შერჩა თვალი. პირველად იგრძნო დღეს ამ მოხუცმა, რომ მთელი თავისი

სიცოცხლე გაუტარებია ბოროტებით, უსინდისობით, თვრა-სეკლობით, თლიდობით და ორ-პირობით. ნანობდა ამას, და-დად სწუხდა და იტანჯებოდა!

მშვენიერად დალაგებულს და განათლებულს ზალაში, ორ-პირად მდგომარე მდიდრად მორთულ მოსამსახურეებს შუა, მრავალ მორთულ და მოკაზმულ ხალხის წინ, ნელის ნაბი-ჯით, ამაყად და მშვიდად მიდიოდა ღარიბულად მოსილი პა-ტიოსანი და მოხუცის გამამტუნებელი მოქალაქე ისიდორის ქვრივი—მთელის ხალხის წარმომადგენელი.

რანი ვიყავით გუშინ?*)

შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა.

გრ. ორბელიანი.

I

ქართველების შესუსტება, გულის გატეხა, უკან ჩამორჩომა ამ უამად შეადგენს იმისთანა აშკარა მოვლენას, იმისთანა ცხად ჭეშმარიტებას, რომელსაც ბევრად, თუ ცოტად, ყველა გრძნობს, ყველა ამჩნევს, არამტ თუ განათლებული, არამედ უკანასკნელი უმეცარიც.

ბევრნი თუ არა, ზოგიერთნი მაინც, ამ უკან დახევის, უკან წასვლის მიზეზს ეძებენ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იყო ჩვარდნილი საქართველო წარსულ საუკუნის დამლევს. ჩვენის აზრით ამ გვარი სჯა სრულიად უსათუოდ ცოტა და მსხვილს შეცდომილებას შეადგენს. ეს შეცდომილება დიდად მავნებელია ჩვენთვის ორი მხრით: ჯერ ერთი ესა, რომ მეძიებელს უბნევს გზასა და სენის მიზეზს უჩვენებს სრულიად სხვა დროში და სხვა ადგილას, და ამითი ნამდვილ

*) ეს ისტორიული წერილი შემოკლებით დაბეჭდილი იყო შარშან «დროებაში»; ახლა ვბეჭდავთ მას მთლად, ერთი-ორად შევსებულს და განვითარებულს.

მიზეზის გამოკვლევას, ბოვნას და მოსპობას უშლის; მეორეს მხრით იმითია ცუდი, რომ სრულიად ახალს, მოსარჩენს სენს რაცხს ძველს სენად, სთვლის დიდის ხნის სევდად, ხრონიკულს თვისებას აწერს მას და განკურნების იმედს თითქმის სრულიად უკარგავს მამულის შვილსა.

საიდგან წარმოსდგება ეს მავნებელი შეცდომილება?

უმეტეს ნაწილად იქიდგან, რომ ჩვენის სამეფოს სახლის, ბაგრატიონთა გვარის, დაწვრილმანებას, გაფუქსავატებას და დაუძლურებას მიაწერენ მთელს ერსა, გადააქვთ მთელს ხალხზედ და კერძო წულულს რაცხავენ საზოგადო სენად, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს შეცდომაა.

მართალია თვით მეფე ერეკლე მეორე, საუკეთესო წარმომადგენელი, ვასტანგ მეექვსის შემდეგ, ბაგრატიონთა გვარისა მეთვრამეტე საუკუნეში, წინ-აღუდგა დასავლეთის და აღმოსავლეთის საქართველოს შეერთებას, რომელსაც ერთ-პირად და მხნედ თხოულობდენ იმერნი და ამერნი და, ქვეყნის საუბედურად, ჩაშალა ეს ბრძნული წადილი ერისა იმ ეგოისტურ წვრილმან მიზეზის გამო, რომ თავის შვილის-შვილისათვის არ ეწუენინებინა და არ მოეკლო იმერეთის ტახტზედ თვრთვაშობასა. ისიც ჭეშმარიტია, რომ თვით მემკვიდრემ საქართველოს ტახტისამ გიორგიმ, უბრალო უსიამოვნებისა გამო მამასთან, საშინელ განსაცდელის ჟამს არ მოაშველა ერეკლეს ქიზიყიდგან ჯარი სპარსელებს წინააღმდეგ და შეიქმნა მიზეზი თავის ქვეყნის ოხრებისა აღა-მამად-ხანისაგან; აგრეთვე ცნობილია ბეკრისათვის ისიც, რომ გიორგი მეფე თითქმის მთელ თავის დროს ატარებდა ერთი მხრით ზაქის ხორცის შეძცევაში და მეორე მხრით ხატების მოხვევაში და ბერულ ჩხირკედელობაში მაშინ, როდესაც ყოველის მხრით მის

სამეფოს მრავალი მტერი აქედ-იქითგან უწყვეტდა ილაჯსა, გლეჯდა და ანგრევდა. ისიც ნამდვილია, რომ მემკვიდრე გიორგი მეფისა, დავით, გენერალ-ლეიტენანტი რუსის ჯარისა, იმის მაგივრად, რომ არეულს და აშფოთებულს ქვეყანას პატრონად ასჩენოდა, თავის რეგენტობის უფლებას წვრილმან, პირველ ჯავრის ამოსაყრელად სმარობდა და ამასთან საუფრობილეში ჭურიდა შორს გამჭვრეტელს მამულის-შვილებს, რომელნიც კარგად ჭხედავდენ, რომ ის, უგუნურ ესავსავით, ოსპის შეჭამადზედ სცვლიდა თავის-უფლებასა და ღუპავდა ქვეყანასა. ბოლოს ისიც ბევრსა აქვს შეტყობილი, რომ სამეფოს სახლის წევრნი, საუბედურად ქვეყნისა, მეტად გამრავლებულნი, ერთმანერთის მტრობაში, ჯიბრში და ქვეყნის ღალატობაში ირთმევდენ სულსა, შემოჭყავდათ საქართველოში მისი მოსისხლე მტრები, აქლვინებდენ მას და მოკლებულნი იყვნენ საზოგადო სიკეთეზედ და ინტერესებზედ ზრუნვასა, საპოლიტიკო აზრებს და წადილებს.—ყველა ეს ფაქტები და მრავალნი მათ გვარნი სრულს ჯეშმარიტებას შეადგენენ, მაგრამ ყველა ეს რას ამტკიცებს? მხოლოდ მას, რომ ბაგრატიონთა გვარი აღარ იყო ამ დროს წარმომადგენელი ქვეყნის სიკეთისა, იმის დროშაზედ აღარ ეწერა ბედნიერება საქართველოსი, ის ყველაფერზედ მომეტებულად, ყველაფერზედ უწინ ზრუნავდა თავის წვრილმან სარგებლობაზედ, პიროვან სიამოვნებაზედ და მას მსხვერპლად სწირავდა ერის სარგებლობას, ხალხის ინტერესებსა.

II

სრულიად სხვა სურათს, სხვა სანახავს წარმოადგენდა თვით საქართველოს ერი. თუმცა იგი დიდის ხნის განმავლობაში იყო სამხედრო შერჩევის ქვეშა, რომელიც საუკეთესო მამულის ვაჟ-კაცთა ყლეტავს ბრძოლის ველზედ უჩამამავლოთა და გვარტომობის აღორძინების ასპარეზზედ ბურთსა და მოედანს უტოვებს ჩათლას ეგზემპლიარებს ერისას, თუმცა შეუწყვეტელ და დაუსრულებელ ბრძოლის გამო ყარებელ მტერთან საქართველო ბევრგან იყო დაგრეული და შესუსტებული და თუმცა ბევრი მკაცრი გარემოება აწუხებდა გარედანაც და შიგნიდანაც, მაგრამ ორგანიზმი ერს სნეული არა ჰქონდა, ჯანი და ღონე კიდევ ბლომად მისდევდა და უკეთესის მომავლის იმედი გულში უღვივოდა. თავისი ღვაწლიანი მარჯვენა ბევრგან ჰქონდა დაკოდილი და დასისხლებული, მაგრამ მითი ჯერ კიდევ მაგრა ეჭირა დროშა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, ჯერ კიდევ მტკიცედ იცავდა პირველს ადგილს კავკასიის სალხთა დასში, ჯერ კიდევ ერთად-ერთი ლამპარი იყო ცივილიზაციისა მთელს მცირე აზიაში.

ამ გვარ დასკვნამდის მივა ჩვენის ერის შესახებ ყველა, ვინც კი უურადღების დამყარებით ჩაუკვირდება საქართველოს მაშინდელს მდგომარეობასა და შეიძლებს დასერილის ქერქის ქვეშ გაარკვიოს სული გული და მთელი, მომავლიანი შინაარსი.

დავიწყოთ თუნდა იქიდგან, რომ დაუსრულებელ ხიფათთაგან, აუარებელ დაკირებათაგან საქართველომ ისე გამოიტანა თავი, რომ სახელმწიფო ვალი სრულიად არ დაიდო. მარ-

თალია, გარეგანის ვალის აღება თითქმის შეუძლებელი იყო მაშინდელს დროში და მდგომარეობაში, მაგრამ შინაგანის ვალის სესხება კი ყოველთვის მოხერხდებოდა. თითონ სალხშიაც ძერძო ვალი იშვიათს მოვლენას შეადგენდა... შემძლებელნი სახლობანი თვით გლეხთა შორის ბევრნი იყვნენ და ჭირნახულის გარდა თულიც ბლომად ჰქონდათ, თუმცა თული მაშინ ერთი-ათად უფრო ძვირი იყო, მანამ ჩვენს დროში. ამას, სხვათ შორის, გვიმტკიცებს ის ფაქტი, რომ წინადაც ბლომად ჰპოულობდენ და ასლაც სან-და-სან ჰპოულობენ მიწაში თულით სავსე ქილებსა, ჩვენს წინა-პირთაგან ჩათლულებსა. ძველებური დოვლათი ეხლაც ნატვრის საგანს შეადგენს სალხში. საჭმელ-სასმელი, ტანთ-საცმელი თუმცა მარტივი იყო, მაგრამ თითქმის ყველას საკმაოდ ჰქონდა. მაშინდელი სიიაფე ყველაფერისა ასლა ჩვენთვის თითქმის საოცარკო და დაუჯერებელ ამბავს შეადგენს. საკვირველიც არ არის: ყველაფერი ნივთეულობა ცხრა მთას იქიდგან როდი მოდიოდა ახლანდელსავით. არამც თუ ქალა ებსა, თითქმის ყველა სოფელს ჰყვანდა ხელოსნები, რომელნიც აკმაყოფილებდენ სალხის მოთხოვნილებათა. მაშინდელი საფეიქრო ები, მაგალითად, რომელნიც მოფენილნი იყვნენ მთელს საქართველოში, უხვად უმზადებდენ სალხს სამოსელსა, მერდინებსა, შალებსა და სხვა მატერიებსა. სხვა – გვარი ხელოსნობაც მაღლა იდგა. ერთის რუსის გენერლის, გვარად სლიეიცკის, მოწმობით, წარსულის საუკუნის დამლევს გამოჩენილი ხელოსანი ქართველი იკანე ზოტიშვილი აკეთებდა და ჰყიდდა აბაზათ თითოს იმისთანა სამარილეებლებს, რომელთაც «არცა ერთი ნაკეთი ევროპაში არ შეედრება». შესანიშნავია, რომ 1827 წელს, როდესაც სლიეიცკის, ჩვენს ქვეყანაში დაბ-

რუნებულს, მოენდომებინა ამ გვარიგვ სამართებლის ყიდვ, ეს ხელოსნობა სრულიად ამოფხვრილიყო თბილისში. ოქრომჭედლობა, მხატვრობა, არსიტექტურა ქართველებში გავრცელებულნი იყვნენ და თვითეულს ხელობას ჰყვანდა გამოჩენილი და სახელ-განთქმული ხელოსნები, როგორც მაგალითად: გლახა ზაზიაშვილი, ჩინებული არხიტექტორი, ეკლესიების მშენებელი, გაბრიელ მასხალოვი, ოქრო-მჭედელი, ნიკოლოზ მხატვარი, აბხაზი და სხვ...

მეურნეობა, შუა საუკუნოებში აყვავებული, არ იყო სრულად შეჩერებული გაუკეთესების გზაზედ, გარეგანის შეკეთების გამო და ცოტათი მაინც წინ მიდიოდა წარსულ საუკუნეშიაც. ამას, სხვათა შორის, გვიმტკიცებს ახალის არხების გაყვანა უდაბურ ადგილების მოსარწყავად; ვახტანგ მეექვსის საფლავის ქვაზედ, სხვათა შორის, ვკითხულობთ შემდეგს სიტყვებს: «ქსნის რეი ხუნანს წაგიღე, გაღმითაც მოვრწყე ველანი, მაშავრის რუ ტბას შევრიე, შიგ თევზი ჩავსვი ყველანი...» მრავალი ქვით-კირის ნასასლარები, ნაადარბაზეები, რომელიც ამ ოცის წლის წინად ყველა სოფლებში ბლომად იპოვებოდა და ახლაც იპოება, ქვითკირის ვეებერთელა ციხეები, აგებულნი წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში, ამტკიცებენ, რომ სალხი შემძლებელი იყო და კარგს მდგომარეობას შეჩვეული. ძველებური გულიანი ლხინი საქვეყნოდ კაცებისა და ქალებისა, რომელსაც ჩვენგანი ყველა მოსწრებია ბატარაობაში და რომელიც ახლა თითქმის სრულად განქრა, მეტადრე ქალებში, ცხადად გვიჩვენებს, რომ მაშინდელ ცხოვრებას ქართველებისას არ აკლდა ჯეშმარიტი სიხარული, თუმცა გარეგანი ხიფათი და გაჭირვება ხშირად ადგა კარზედ.

«საქართველო ერის ქვეყანა, სადაც მეტის-მეტი სიამოვნებით ცხოვრობენ, თუმცა ამავად კი ისმენ ამ სიამოვნებას», ამბობს მსოფლიო მოგზაური დელაპორტი, რომელმაც საქართველო დაიარა 1768 წელში. «ეს ქვეყანა სავსეა პურით, ბალეულობით და ხილით. აქაური პური და ხორცი მეტად გემრიელია. ღვინო მოჭყავს ძალიან კარგი და ქართველებს სმაში ვერავინ შეედრება. ქალები საქართველოში ისეთი მშვენიერები, ისეთი ლამაზები არიან, რომ განუცვიფრელად მე მათ ვერ შევხედავდი. მამა-კაცები არიან ამაყნი და ამპარტავანნი და ისე სძულთ სომეხნი, როგორც ჩვენ ურიები, რადგანაც სომეხნი კადრულობენ ყოველ-გვარს დაბალს საქმეს, ოღონდ კი ფულის გამორჩენა შეიძლონ. თუ კარგად გავშინჯავთ, არა ერთს მზგავსებას ვიპოვნით ქართველთა და ფრანცუზთა შორის.»

ყველა ესსიგეთე იყო შედეგი უმთავრესად სამის სასარგებლო სამეფო დაწესებულებისა. ჩვენი სახელმწიფო სრულიად მოშორებული იყო იმ სამს უმთავრესს ,სენსა, სამს მრავალთავიანს ხვიხვსა, რომელნიც ყველგან ხალხის დოვლათს ჩანთქამენ, ულაპვენ, აღარიბებენ ერსა და პირში სულსა ხუთავენ. მე ვამბობ ბურჟუაზიაზედ, ბიუროკრატიაზედ, და სამუდამო ჯარზედ. ვაჯარი მაშინ ჩვენში ბურჟუად, ხალხის სისხლის მსმელ წურბელად ვერ გადაიქცეოდა, რადგანაც ეშინოდა დაიარაღებულის ხალხისა და თავის მხეცურს ინსტინკტებს თვითონვე ლაგამსა სდებდა. სამართალი ჩვენში იყო სიტყვიერი და საქვეყნო მისი წარმოება იყო წაუვანილი უკანასკნელ სიმარტივემდე, — განცელარიას, ურიცხვს ჩინოვნიკების ორ-კეტ, სამ-კეტიან ჯამაგირს ისე ვიყავით მოკლებულნი, როგორც ეურძნის ნაცარსა. სამშობლოს მტერთაგან იცავდა საერო მილიცია, რომელიც მშვიდობიანობის დროს თავის გამრჯელი

მარჯვენით სიმდიდრეს იძენდა და ლაშქრობის დროს ხმალს ამღელვარებდა. ამიტომ სასულმწიფო სარჯი იყო ისეთი მცირედი, რომ გლესი მის გადახდას ვერც კი იტყობდა. თამამად შეიძლება სთქვას კაცმა, რომ რაც ჩვენმა გლესობამ მარტო ორლოვსკის ღუბერნატორობის დროს გაიღო სარჯი, იმოდენა იმას არ გამორთმევია მთელის მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში. რაც შეეხება სამხატორო სარჯს, ისიც საგრძნობელი არ იყო, რის გამოისობით, ამას მკითხველი რავდენსამე სტრიქონის ქვემოდ შეიტყობს.

მაშინდელი საქართველო ჩვენს გონებაში იხატება როგორც ათხრებული ქვეყანა, მეტად თხლად დასახლებული და მცხოვრებთა რიცხვით ძალიან შემცირებული. ისტორიულის ფაკტების გაცნობა ამ შესედულობასაც სრულიად აცრუებს. მართალია, ჩვენი პატივ-ცემული მეისტორიე ბ. ბაქრაძის გამოკვლევით, მარტო ერთს შემოსვლაზედ შახ-აბასმა კახეთში გასწყვიტა 60—70 ათასი სული და ტფილისში წაასხა 100,000 მეტი; ისიც მართალია, რომ ლეკებმა ჩვენგან წასხმულ ტყვეებით ცამეტი სოფელი დაასახლეს დაღესტანში; აგრეთვე ჯეშმარიტია, რომ წარსულის საუკუნის დამლევს ბევრი სოფლები, კახუშტის კარტებში მოხსენებულნი, სრულიად გაგერანებულნი იყვნენ; მაგრამ მაინც მაშინდელი რიცხვი მცხოვრებთა ბევრით აღემატებოდა ახლანდელსა. აი ამისი მტკიცე საბუთი. თბილისის აკლების შემდეგ სპარსელებისაგან მეფე გიორგიმ მოასდინა კახეთში მცხოვრებთ აღწერა და აქ აღმოჩნდა 42,000 კომლი კაცი. თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იმ დროს ქართველები სცხოვრობდენ დიდ-დიდ ჯალაბობით და თვითო ჯალაბში იქნებოდა არა ნაკლებ ათის სულისა, მაშინ ჩვენთვის აშკარა იქნება, რომ კახეთში ამ დროს

ყოფილა ოთხი ათასი სული. ეს რიცხვი ბევრით აემატება კახელების ახლანდელს რაოდენობასა.

როგორ ხდებოდა ესა? რატომ არ ვერანდებოდა ქვეყანა, რომელიც თავის ძეთა დას-დასობით ჭკარგავდა სიკვდილით ბრძოლის ველზედ და ტყვეთ წაყვანით სპარსეთში, ოსმალეთში, დაღესტანში და გადასახლებით რუსეთში? რის მეოხებით მრავლდებოდა ასე შეუშოვრად ჩვენი ერი? ეს ხდებოდა იმიტომ, რომ, როგორც წინად მოვიხსენეთ, ნივთიერობითი კეთილ-დღეობა ხალხისა, მისი ქონება, მისი დოვლათი იდგა იმდენად მაღალ ხარისხზედ, რომ სიკვდილს ავად-მყოფობისაგან ხდიდა იშვიათსა და უოველ-წლიური პროცენტი სიკვდილისა იყო, რაც კი შეიძლებოდა ნაკლები. და ეველამ კარგად ვიცით, რომ სიღარიბე და ავად-მყოფობა ერთი ათად და ოცად უფრო მომეტებულს ხალხსა ჭყლეტს, ვიდრე თვით ხან-გრძლივი და უბედური ომი გარეშე მტრებთან.

III

ამ სწორედ საკვირველს მოვლენას, დოვლათის სიუხვის გარდა, სხვა მიზეზებიც ჰქონდა. დიდი ხანია ნათქვამია: კაცი არა მარტო შურით იქმნების ცოცხალიო. ქართველს ერს, გულ-ჩვილს, გულ-წრფელს და მგრძნობიარეს, მარტო კუჭის სიმაძღრე ვერ აატანინებდა ისე ადვილად ხშირს სისხლის დენას ძარღვებიდგან, თუ სხვა-გვარ სიკეთესაც არ ეცხოვლებინა მისი ხიფათიანი არსებობა. ეს სიკეთე მდგომარეობდა იმაში, რომ დამჩაგვრელს უფლეს მონაობისას მოკლებული იყო და სარგებლობდა იმისთანა განწყობილობით წოდებათა შორის,

რომელიც სალხს ამხნევებდა და ადვილად ატანინებდა გარეგან გაჭირვებათა. ბატონ-ყმობის სამაგელს სენს მაშინდელს დროში სრულიად სხვა ხასიათი და თვისება ჰქონდა. თავად-აზნაურნი მაშინ ფუფუნებით ცხოვრებას როდი იყვნენ მიჩვეულნი. როგორც პირველ რიგის მამულის-შვილნი, ისინი მუდამ შეიარაღებულნი იდგნენ ბრძოლის ველზედ, მარტივს, სპარტანულს ცხოვრებას მიჩვეულნი. მათი მოთხოვნილებანი თითქმის ერასფერით განირჩოდენ გლეხთა მოთხოვნილებათაგან. ამიტომ ბატონები მაშინ ყმებისაგან იღებდენ მცირე გადასახადსა. ამასთან გლეხის ერთგულობა, სიყვარული, მადლიერის მიუცილებელს საჭიროებას შეადგენდა. რადგანაც ორივე მხარე ერთს ტალვაში იწოდა. გლეხნი ამლევდენ თავად-აზნაურთ მხარსა, იყვნენ მათი მცველნი, საზოგადო მხნეობით იგერებდენ მტერსა და ერთმანერთს უყოფდენ ჭირსა და ლხინსა. გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის ჩამოძდგარი არ იყო არარაიმე ქუსაძე, უცხო ძალა რომლის შეშფოთებით და დახმარებით უკანასკნელთ შესძლებოდათ დაეჩაგრათ გლეხნი. იმასაც კეთილი გავლენა ჰქონდა ამ გვარ განწყობილებაზედ გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის, რომ სპარსეთი და ოსმალეთი, სადაც ჩვენებს ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ხან ნებით და ხან უნებლიეთ, სრულიად მოკლებულნი იყვნენ ბატონ-ყმობის სენსა, უთანასწორობასა ერთსა და იმავე სარწმუნოებისა შვილთა შორის. არისტოკრატიულ სიბრიყვეს მაშინ ჩვენში ადგილი არა ჰქონდა. თავად-აზნაურობა შემკული იყო კაჟ-კაცობით, მხნეობით, გულადობით, სამშობლოს წინ დიდი სამსახურე მიუძღოდა და სათაკილოდ მიაჩნდა გვარეულობით, ჩამამავლობით ეამაყნა. კაცი ჩამამავლობით მხოლოდ მაშინ ამპარტავნობს, როდესაც მოკლებულია კაცურ თვისებათა, ადამიანურს

სიკეთესა, და ჩვენი თავად-ასნაურობა იმდენად რაცხდა თავის თავს მაღლა მდგომარედ ამ ნაკლულევანებაზედ და იმდენად იმედი ჰქონდა თავის პიროვნობითის ღირსებისა, რომ ვგონებთ, თითონვე გამოსთქვა ანდაზა: «თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარი-შვილობა.» ბატონი ხშირად იყო პატრონი, მოსარჩლე და მფარველი თავის ყმებისა და არა მათი ტკივილის ამომწოვი. იმას სასიქადულოდ მიაჩნდა თავის ყმების კეთილ-მდგომარეობა, მათის დოვლათის სიუხვე და ბედნიერება. მარტო ამ სათნოიან განწყობილებით ბატონთა და ყმათა შორის აიხსნება ის ფაქტი, რომ ტყვეობიდგან დაბრუნებული გლეხები, რომელნიც ერეკლეს ბძანებით ყმობიდგან სრულიად განთავისუფლებულნი იყვნენ, თითონვე ეძებდენ ბატონებს და თავის ნებით უბრუნდებოდენ მათ «რათა არა დარჩენილიყვნენ ღვთის-ამარა, უპატრონოდ და უმფარველოდ». რასაკვირველია, ბატონ-ყმობა, როგორც ბუნების წინააღმდეგი და ადამიანის ღირსების დამამცირებელი დაწესებულება, მაშინაც საძაგელს სენს შეადგენდა, მაგრამ, ვიმეორებთ ეს სენი მოკლებული იყო თავის გამრუვნელს და დამამსობელს თვისებასა.

მართალია, საქართველოს ფეოდალებს შორის იშვიათად არა ჩნდებოდენ პირნი, რომელნიც, როცა, თავის საკუთარს ინტერესს, თავის გულის წადილს ვერ მიეწეოდენ ხოლმე, საკუთარის ძალით, «გულ-გრილად მიმართვიდენ საქართველოს დაუძინარ მტერთა და მათის აურიცხველ ჯარებით შემოესეოდენ თავიანთ სამშობლოს და აოხრებდენ მას», მაგრამ ეს ფაქტი ამტკიცებს მხოლოდ სისაძაგლეს, სიმახინჯეს პიროვნულს თავ-მოყვარეობასა და მხეცურს შეუბრალებლობას ზოგიერთა თავად-ასნაურისაგან და არა მთელის წოდების საწამ-

ხდრეს და ღალატსა. ამ გვარი ღალატი ქვეყნისა დიდს ვნებას აძლევდა არა მარტო გლეხთა, არამედ თავად-აზნაურობასაც. შემოსეულს მტერს ებრძოდენ, თავს აკლავდენ არა მარტო გლეხნი, არამედ თავად-აზნაურნიც, რომელნიც ყოველთვის პირველ დასში იბრძოდენ წინააღმდეგ მტერთა და მოღალატეთა... ვერც ერთს ერს ვერ დაასახელებთ ვერც ძველს ისტორიაში და ვერც ახალში, რომელიც მოკლებული ყოფილიყოს ამ გვარს შინად გამცემელთა. ათინელებზედ ნიჭიერი და დედაქვეყნის მოყვარე ერი დედა-მიწის ზურგს ჯერედ არ აღუზრდია, მაგრამ გადაფურცლეთ ამ საკვირველის ერის ისტორია და მთელს გუნდს შეხვდებით მოღალატეთა და გამცემელთა. ზოგნი მათგანნი აქებებდენ თავის მშვენიერს და ბედნიერს სამშობლოზედ სპარსთა, ზოგნი სპარტელთა, ზოგნი მაკედონელთა და სხვათა. მარტო ალკიბიადის ღალატმა იმდენი ვნება მიაყენა ათინასა, რავდენიც ვერ შესძლეს სპარტის ყველა სარდალთა, და ისე მიასუსტა, რომ შეიქნა ერთი უმთავრესი მიზეზი ათინის დამხობისა სპარტისაგან. მაგრამ ესა და ამ გვარი ფაქტები რას ამტკიცებენ? ნუ თუ მას, რომ ათინის ერის დაწინაურებული წოდება, რომლისაგანაც გამოდიოდენ მამულის მოღალატენი, იყო გარეგნილი, დამახინჯებული და სამშობლო ქვეყნის მტერი? ამ გვარს დასკვნამდის არავინ არ მისულა და არც არავინ მიგა ათინის არისტოკრატიის შესახებ. ამიტომაც დიდს უსამართლობას ჩავდიგართ, როდესაც ჩვენ, ზოგიერთნ თავად-აზნაურის მოღალატობის გამო, მთელს წოდებაზედ ვამბობთ: «ისეთი სასტიკობა, მხეცური დაუნდობლობა, როგორიც ჩვენმა თავად-აზნაურობამ გამოუჩინა თავის სამშობლოს არსად და არავის არ გამოუჩენიაო.»

ჩვენის აზრის შერყევა არ შეუძლია იმ ფაქტსაც, რომ

ძველის კანონის ძალით თავადის მკვლელს უნდა გადახდომოდა ორმოცი ათასი თეთრი და უბრალო მონის მკვლელს კი მარტო ოთხასი. ჯერ საჭიროა დამტკიცდეს, რომ ეს კანონი მოქმედი კანონი იყო და არ ეკუთვნოდა ძველის საუკუნოების მკვდარ კანონებსა, რომელთა ძალა გაუქმებული იყო ცხოვრების და ისტორიის მიმდინარეობით. ამ გვარი მკვდარი კანონები, შუა საუკუნოებიდგან დარჩენილნი, ახლაც ბევრნი მოიპოებიან ევროპის ყველა სახელმწიფოებში. ინგლისში, მაგალითად, აქამდის გაუქმებლად არსებობს ქალალდზედ სტიკი შუა საუკუნოების კანონი ბეჭდვის შესახებ, მაგრამ ნამდვილად კი ბეჭდვა სრული თავისუფლებით მოქმედებს. ბევრი გარემოება, წინედ ნახსენები და შემდეგ მოსახსენებელი, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ მკვლელობის შესახებ ჯარიმის დიდი განსხვავება ჩვენში ეკუთვნოდა უმოქმედო კანონებსა, უძლურს ძველ დაწესებულებათა.... მაგრამ, ვსთქვათ, რომ მოხსენებული კანონი გამოდგა მეტ-ნაკლებობით მოქმედი და არა მკვდარი დაწესებულება,—ეს გარემოებაც ჩვენს აზრს ვერ დაარღვევს, ეს კანონი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ჩვენს წარსულს ცხოვრებას, როგორც ევროპის ყველა სახელმწიფოებისას, არისტოკრატული დაწესებულება ჰქონდა; მაგრამ განა ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ჩვენში თავადი ბატონი არ იყო და გლეხი ყმა? ჩვენ მხოლოდ იმაზედ ვდგეავართ, რომ ჩვენის ქვეყნის მდგომარეობა, პოლიტიკური გარემოებანი იყო იმ გვარი, რომ ბატონ-ყმობის ულელს ამსუბუქებდა და შეჰქონდა მასში სათნო ელემენტი, ადამიანური ურთი-ერთობა გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის.... ნამდვილი დამყავებული პატრიოტობა იქნება—სთქვას კაცმა, რომ არა სხვა ქვეყანას არა ჰყოლია იმისთანა დაწლიანი თავად-აზნაურობა, როგორიც ჰყავდა ჩვენს

საქართველოსაო. მეორე მხრით არა უკეთესი უკიდურესობა მოსდით მათ, რომელნიც ჰქადაგობენ, რომ ჩვენისთანა მხეცური, დაუნდობელი და ქვეყნის მოღალატე თავად-აზნაურობა არავის და არას დროს არა ჰყოლიაო. ეს აზრი უსამართლობას შეადგენს არა მარტო თავად-აზნაურობის, არამედ გლეხების წინაშეც. ვაჟო, თუ ასეთი უსაძაგლესი და უმავნესი რამ იყო ჩვენი თავად-აზნაურობა, რატომ გლეხობა არ აკანყდა მის წინააღმდეგ და არ ამოუღიტა? ნუ ვინ იტყვის, რომ გლეხობას არ შეეძლო ეს მოეხდინა. იგი შეადგენდა დიდს უმრავლესობას ერისას, იყო დაიარაღებული, ბრძოლაში გამოცდილი და ამასთან თავად-აზნაურობაც მოკლებული იყო მოსარჩლე ძალას: სამუდამო ჯარი, რომელიც ყველგან არისტოკრატიას შველოდა და გლეხობას ხელს უკრავდა, ჩვენში არ არსებობდა და მეფის უფლებასაც აკლდა ძალა და ღონე. «თუ რომელიმე უფლება ხალხზედ არის მისთვის მძიმე და ამასთან იგი უსარგებლოა მისთვის, ხალხი დიდ-ხანს არ დაანარჩუნებს ამ უფლებას შეუმუსვრელსა», ამბობს ერთი საფრანგეთის მწერალი. ჩვენი ისტორია სრულიად არ წარმოადგენს იმისთანა მაგალითსა, როგორც გლეხების ბრძოლა არისტოკრატიის წინააღმდეგ საფრანგეთში დიდის რევოლიუციის დროსა და გერმანიაში მეთექვსმეტე საუკუნის განმავლობაში. ჩვენის თავადაზნაურობის და გლეხობის ურთი-ერთობითი განწყობილობა უფრო მოგვაგონებს ინგლისსა, სადაც არისტოკრატია დასლოებული, დაკავშირებული იყო ხალხთან და მასთან შეერთებული იბრძოდა მეფის უფლების წინააღმდეგ... იმ ფაქტიდგან, რომ ჩვენი ისტორია არ წარმოადგენს გლეხობის აკანყებას, ბრძოლას, ომებს ბატონების წინააღმდეგ, გამოდის შემდეგი აუცილებელი დასკვნა: ან ჩვენი გლეხი იყო მთლად უგუნუ-

რი, სრულიად უძლური, გაუბედავი, ოთვალ პროტესტის ძალას მოკლებული და პირუტყუულის მოთმენით ზიდავდა მონების უღელს, რომლის მოშორება მას ადვილად შეეძლო და მაშასადამე მკვდარს ელემენტს წარმოადგენდა, ან თავად-აზნაურობა არ იყო მოკლებული შებრალებას, სათნოებას და ადამიანურს განწყობილებას გლეხებთან. ჩვენ მეორე დასკვნას ვადგევართ და უარს-ვყოფთ პირველსა არა მარტო იმიტომ, რომ იგი უსაფუძვლოა, არამედ იმიტომაც, რომ იგი უნუგეშოა. ჩვენის ქვეყნის მომავალი დამყარებულია გლეხობის წარმატებაზედ, მის აღორძინებაზედ. მაგრამ რა იმედი უნდა გვქონდეს მისი, თუ იგი ათასის წლის განმავლობაში წარმოადგენდა გონებით, ზნეობით და ფიზიკურის მხრივ მხოლოდ უძლურებასა, არათრობასა?!... არათრიდგან თავის დღეში არათერი არ გამოსულა. თუ ჩვენი წარსული ცხოვრება ერთის მხრივ წარმოადგენდა მხეცურს ულმობელს მჩაგვრელებსა და მეორეს მხრით მიწასთან გასწორებულს მონებსა, რომელნიც პირუტყუულად, ხმა-ამოუღებლივ ითმენდენ არა ადამიანურს მდგომარეობასა, მაშინ მომავალზედ სრულიად უნდა ხელი ავიღოთ და მკვდრთა თანა ჩავირიცხნეთ. რატა ამ გვარს აზრს ჩვენის წარსულის შესახებ ქადაგობენ იმისთანა ჩინოვნიკები, როგორც ბერეკ და მის ამქრის ვაჟ-ბატონები, ეს სრულიად საკვირველი არ არის, რადგანაც მათ სურთ დაიმსახურონ ჩვენის გამომხსნელების სახელი და ბუდამ საუკეთურის საბუთი ხელში ეჭიროთ. მაგრამ არ შეიძლება არ განცვიფრდეს კაცი, როდესაც მთელი დასი ჩვენის ინტელიგენციისა ამავე აზრს ადგია და ამ გვარს მსჯელობას აკრცელებს: წინედ არაფერნი ვყოფილვართ, ახლაც არაფერნი გახლავართ, მაგრამ შემდეგში კი ბრწყინვალე მომავალი გვქონია. ჩვენ კი იმ აზრისანი

ვართ, რომ უწინ ჩვენც რანიმე ვეოფილვართ, ჩვენც გვქონია მნიშვნელობა, ჩვენცა ვრეულვართ ერთა დასში, და თუ ახლა ძლიერ უკანა ვართ ჩამორჩომილნი და დავრდომილნი, რაიმე მნიშვნელობას მოკლებულნი ამის დამნაშავენი არიან ახალნი გარემოებანი, რომელთა ცვლილების. შემდეგ ჩვენი მდგომარეობაც შეიცვლება და მტკიცედ დავადგებით პროგრესის გზასა. ამ ცვლილებაზედ არის დამოკიდებული, როგორც ეროვნული წარმატება, ისე სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესობა *).

---

*) ის აზრები შესახებ უწინდელ თავად-აზნაურობის მავნებლობისა, რომელთაც ჩვენ ვეწინააღმდეგებით, გამოთქმულ იქმნენ, სხვათა შორის, ბ. ხუდადოვის ორ შესანიშნავ წერილში, სახელად «უსაფუძვლო წადილი», რომელნიც დაბეჭდილნი არიან «ივერიის» ივნისის და ივლისის წიგნებში. მკითხველი ძალიან მოსტუუვდება, თუ იფიქრებს, რომ ჩვენ ავტორის სხვა აზრებსაც უარს ვეოფთ. წინააღმდეგ ამისა, ჩვენ მას ვეთანხმებით თითქმის ყველა სხვა მსჯელობაში, და მეტადრე იმაში, რომ მოსავლის მეოთხედის ძლევა და ტუე-საბალახოს გამოწირვა გლეხთაგან შეადგენს უმთავრესს დაბრკოლებას მათის კეთილ-დღეობის დამყარების გზაზედ... თუ მკითხველს არ წაუკითხნია ორი წერილი ბ. ხუდადოვისა, დიდი დანაკლისი მოსვლია. თავ-დაჭერილი, თავაზიანი კილო, რომელიც ისე უხდება ყოველ ლიტერატურულს ნაწარმოებს, ლოგიკური მიმდინარეობა შინაარსისა, მარჯვე დაპირდაპირება აზრებისა და ბოლოს მსუბუქი, კანონიერი ქართული ენა—ყოველივე ეს ხდის ამ წერილს სასიამოვნო და სასარგებლო საკითხველად. ავტორი, როგორც სჩანს, ეკუთვნის განვითარებულ და მოაზრე პირთა, რომელნიც ჩვენს მწერლების დასშიაც, სამწუხაროდ, ძალიან ნაკლებად მოიპოვებიან. დიდად სასურველია, რომ ამ პირველს სტატიას ბ. ხუდადოვმა სხვა სტატიებიც მოადევნოს და შეიქმნეს მოღვაწე ჩვენის ლიტერატურის ასპარეზზედ, რომელზედაც ხშირად ბურთი და მოედანი რჩებათ უენო და უაზრო მჯღაბნელებსა.

რასაც ეხლა ვხედავთ მტრულს განწყობილობას, საშინელს სიძულილს ყმებსა და ბატონებს შორის, ტვინის ამოწოვას გლეხებისას ბატონების მხრივ, წუვეტას და ულეტას ბატონებისას გლეხების მხრივ— ოოგელივე ეს დაიბადა ამ საუკუნეში, როცა ბატონსა და ყმას შუა ჩამოსდგა შტიკი და შუბი, რომელთა მოხმარება გლეხების წინააღმდეგ ადვილი იყო, როცა თავად-აზნაურობამ დასტოვა ღვაწლიანი არსებობა, მარტივი ოოგა-ცხოვრება და მიეცა ტუდაობას და ბირუტყვულ ფუფუნებას, როცა მან მოინდომა გლეხების ოფლით არისტოკრატიული სადგომი გაეკეთებინა, მოერთო ძვირ-ფასს ევროპიულ მებელითა, ზედ ჩაეცვა ინგლისის მაუდი, ჭოლანდიის ტილო, ვარშავის წაღები, ხშირად ესვა შამპანიის ღვინო და ლიონის აბრეშუმეულობით, პარიკის მოდებით მოერთო თავისი ქალ-ბატონები, ... როცა მოაკლდა უწინდებულ ვაჟ-კაცურთ თვისებათა და დაიწყო ამაყობა, ამპარტავნობა არისტოკრატობით, გვარიშვილობით, რომლის იქით აღარაფერი გაჩნდა.

კიდევ უფრო მომეტებულად ამსუბუქებდა ხალხის ცხოვრებას, ავსებდა მას ნუგეშით, კაცურ თავ-მოყვარეობით და ადვილად ატანინებდა მრავალს გარეგან ხიფათს და განსაცდელს განსაკუთრებითი თვისება მეფის უფლებისა ჩვენში. საოცარია და მეტად მანუგეშებელი მამულის-შვილისათვის ის ისტორიული მოვლენა, რომ, ჩვენმა ერმა, აზიის კუთხეში მცხოვრებმა, გარეშემო აზიურ ხალხებით და დაწყობილობით შემოზღუდულმა, მეფის უფლებას მისცა ნამდვილი ევროპიული თვისება, ხასიათი. ჩვენში მეფე სრულიად არა ჰგვანდა სპარსეთის, ინდოეთის და ჩინეთის დესპოტებს, განმარტოე-

ბულებს, მიუკარებლებს, რომელთა პირის ხილვაც კი თითქმის მიუტევნელ ცოდვას შეადგენდა. ჩვენში მეფე იყო თავის ერისათვის არა რაღაც მრისხანე, უწყალო, უზენაესი არსება, არამედ მზრუნველი და მოსიყვარულე მამა, რომლის სასახლის კარი ღია იყო ყველასათვის: «მდიდართა, მოკლებულთა, სნეულთა, მშიერთა, ობოლთა და ქვრივთათვის. ყველას ჰქონდა ნება და კადნიერება მიეპარა მეფისადმი და ეთხოვნა სამართალი, შეწევნა და ნუგეშის-ცემა. მეფე ხშირად იყო ძვირფასი სტუმარი არა მარტო თავად-აზნაურების სახლებისა, არამედ გლეხის დარბაზისაც და ქვრივ-ობერის ქოხისაც. ხშირად მას გულითად მეგობრებათ ჰყავდენ გლეხთაგანნი, როგორც, მაგალითად, მეფე გიორგის იოანე კვეზერელი, მუდამი მისი მესაუბრე, მის სადილზე განუშორებელი, რომლისათვის მეფის კარი ღია იყო მარადის.»

ამ გვარ კალაპოტზედ ჩამოისხა თავ-და-პირველადვე მეფის უფლება ჩვენში და ბოლოს ყამამდის არ შეუცვლია თავისი განსაკუთრებითი თვისება, წინაღმდეგ აზიურ მაგალითების გავლენისა. სხვათა შორის მრავალი ანეგდოტები თამარ მეფეზედ ცხადად გვიხატავენ თვალ-წინ იმ მოუკრძალს სიახლოვეს, რომელიც ძველადგანვე არსებობდა ჩვენს ერსა და თვით დიდებულთა ხელმწიფეთა შორის. ეს სიახლოვე მეფისა ერთან მის უფლებას არამც თუ არ ამცირებდა და არ ასუსტებდა, უფრო აძლიერებდა და ამტკიცებდა, რადგან ქართველების ნაკლულევანებათა შორის ადგილი არა ჰქონდა იმ სიბრიყვეს, რომელიც პატივსა სცემს მხოლოდ უცნობელს და შორეულს და აბუჩალაკად იგდებს ცნობილს და დაახლოებულს. ამ მამა-შვილური განწყობილობით მეფესა და ერსა შუა აიხსნება ის ფაქტი, რომ მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ,

თუმცა სამეფო სახლის განსკუთქილებამ და უკულმართობამ ბოლოს-ხანს მეტად ჩაშხამა ხალხს სიტოტხლე, მაინც არც ქართლს და არც კახეთს მეფობის მოსპობა არა სურდათ და, რადგანაც მემკვიდრე დავითი, მომლოდინე რუსეთიდგან ნებართვისა, დაგვირგვინებას აგვიანებდა, ალარ მოითმინეს: მეფეთ იულონი ალიარეს და ამ ღირსებით იხსენიებდენ მას უველა ეკლესიაში.

ამ მეგობრულ სიახლოვით დაბალის ხალხისა მაღალ წოდებასთან და თვით მეფესთან აიხსნება ის მეტად შესანიშნავი ფაქტი ჩვენს ცხოვრებაში, რომ გლეხობაც ლაპარაკობდა და ახლაც ლაპარაკობს, თუმცა უფრო ნაკლიანად, იმავე დარბაისლური, განვითარებული, თავაზიანი წმინდა ქართული ენით, რომელსაც ხმარობდენ მაღალნი წოდებანი და რომელიც აქამდის შეადგენს აშკარა შერის საგანს სხვათრივ ოლბლიან სომესთათვის. ამ მხრით ჩვენებურს ქოხსა და სასახლეს შუა სრულიად არ არსებობდა ის თითქმის გაუზომელი მანძილი, რომელიც ძევს რუსის მუჟიკის უგვანო ყარგონის და წმინდა რუსულ ენის შუა... სიწმინდე გლეხების ენისა აუ შედეგი მის გონების გახსნილობისა და ზნეობითის სიმაღლისა. ვის ჩვენგანს არ შეუნიშნავს ამ ოტის წლის წინად ის ფაქტი, რომ მოხეტებულნი გლეხნი აშკარად განირჩოდენ უმაწვილისაგან მართებულობით, მეტუველობით, დარბაისლობით, კაცური ღირსეული ოთხა-ქცევით. ვარანცოვის დროს რუსის ჩინოვნიკები ჩვენს ხალხთან ძალიან დაახლოებულნი იყვნენ: იცოდენ მისი ენა და ხშირად ნათელ-მირონად უხდებოდენ გლეხებსა. არა ერთს მათგანს გულ-წრფელად უღვიარებია, რომ ქართველი გლეხი ჭკუით, ზრდილობით, ცოდ-

ნის-მოუკარებობით მართებულობით ბევრით მაღლა სდგას რუ-
სის გლეხზედაო.

მაგრამ ჩვენის გლეხობის ენის სიწმინდეს და გონების
გახსნილობას ჰქონდა სხვა უფრო დიდი მიზეზი: ახლანდელი
გლეხი გამოჰყოფს თუ არა სოფლიდგან თავს, თითქო უც-
ხოეთში გრძნობს თავის-თავსა. მისი ღვიძლი ენა, მისი მეტ-
უველება ადარაფერშია გამოსადეგი. მაღალ საზოგადოებას მი-
სი ან სრულიად არაფერი ესმის, ან თუ ესმის, არ ჰკადრუ-
ლობს მის ენას, აბუჩალაკად იჭერს მას. უველა სასამართლოდ-
გან იგი გამოდევნილია და უფლება ჩამორთმეული. გლეხი
სრულიადაც რომ აღჭურვილი იყოს ქართულის მჭევრ-მეტუველ-
ობით უველა სასამართლოში, დაბალში, გინდა მაღალში, ისე-
თივე უძლურია. როგორც მუნჯი. სხვისი მას არაფერი ესმის,
სხვებს მისი არაფერი ეუურებათ. . . . . ერთის სიტუვით
გლეხი თავის სოფლის გარედ თავის-თავს გრძნობს რაღაც
ბირუტუვად, რომლისას უველაფერს ფასი და უფლება მოკ-
ლებული აქვს. ამიტომაც ჩვენი გლეხი, თუ საშინლად არ
გაუჭირდა, თავის სოფლიდგან არ გამოდის. ეს გარემოება
მეტად ავიწროებს გონებასა, და უღარიბებს ენასა! ახლანდე-
ლი მოქრთამობა მოხელეებისა და უწყალო ტვინის წოვა ღა-
ტაკის გლეხებისა შემძლებელის გლეხებისაგან არის ბირ-და-
ბირი ნაყოფი ჩვენის გლეხის ამ გვარის გაკვლურებისა.

უწინ ეს ასე არ გახლდათ. ქართველი გლეხი მოელს სა-
ქართველოში ჰგრძნობდა თავის-თავსა, როგორც საკუთარს
სახლობაში, შინაურობაში. უველგან მისი ღვიძლი ენა გაის-
მოდა, უველა სახელმწიფო დაწესებულებაში იგი სუფევდა,
უველას გლეხის საუბარი ესმოდა, უველას ბაასს, ლაპარაკს შეგ-

ნებით მოისმენდა. ყველგან თავის-თავს კაცად იცნობდა, ღირსეულს ვინმედ რაცხავდა. უკანასკნელის მოხელედგან დაწყობილი თვით მეფე-დედოფლამდის ყველა გლეხს აგრძნობინებდა, რომ იგი იმ გვარიგე არსებაა, როგორც სხვანი, და თუ განირჩევა—ხარისხით, რაოდენობით და არა ვითარებით, შინაარსით. მაშინ გლეხს თავის სოფლის დატოვება რადი ეკვვრებოდა, ხშირად მას დავლილი ჰქონდა მთელი საქართველო, არა იშვიათად ხედავდა გარე-შემოზღუდულს უცხო ქვეყნებსაც და ხანდისხან ჰქელავდა იმისთანა შორეულ ქვეყნების მთებსა, რომელიც აგვანისტანია. აი რისათვის მაშინ გლეხის ჰორიზონტი იყო ფართო, გლეხი იყო მდიდარი სხვა-და-სხვა ფერის ჩაბეჭდილებით და გამოცდილებით და ამიტომ შედარებითბ ეკრით მაღლა იდგა ამ დროინდელ გლეხებზედ ბონების გახსნილობით, ენის მეტყველობით და ადამიანური თვისებით.

გამოკვლეულნი სახელმწიფო დაწყობილებანი შეადგენდენ გამაცხოველებელს წყაროს, საიდანაც ჩვენი ერი შესვავდა იმ შნეობის ძალას, რომლის მეოხებით იგი არ ეპოებოდა მრავალთა უბედურობათა, არ ეჩაგვრინებოდა ხშირად შავს ბედსა და გულ-გაუტეხელად ებრძოდა აუარებელ განსაცდელთა. ეს თვისება ჩვენის ერისა, ეს შეუპოვრობა წინაშე დაუსრულებელ ვაი-ვაგლახისა, ერთობ რიტორიულად, მაგრამ გარკვეით აქვს გამოხატული მეფე გიორგის ცხოვრების ავტორს ერთს ტირადაში, რომელსაც საინტერესოდა ვრაცხთ მოვიყვანოთ აქ: «დიდი იყო დროთა ამათ (მეფე გიორგის გარდაცვალების დროს) ამბოხი და შფოთი და მასთან დიდი ლხინი და შექცევა დიდთა და პატარათა; არ ეკვირვებოდენ ამას მრავალნი

და არცა გრძნობდენ ამას უშვერად და ჭირსა და ლხინსა აერ-
თებდენ. ესრედ იყო მაშინ და ესრედვე არის დღესა (?). ქარ-
თველთა ენა ძველი და მრავალთა ჭირთა და შეიწროებათა
მნახველი, ადვილად მიიღებდა მწუხარეებასა და ადვილად გა-
ნიკურნებდა თავსა, ვითარცა ჭირ-ნახადი. გაველილი ტეტხლსა,
ვითარცა ბრძმედსა შინა ოქრო, იყო ნათლად და წმინდად
საჭვენებელი; ქსერსისაგე დროს 400 წლის წინედ ქრისტესი
შეეჩვია სპარსთა უფლებასა და ჭქელოვდა მათითანა ერთად ეგ-
ვიპტისა და ატტიკისა მთათა და ბართა, ვითარცა ღერდოტი
ამბობს. ხმალი ქართველთა ღელავდა ომსა და ბრძოლასა პი-
რის-პირ მაკედონელთა დროსა გმირისა მათისა მეფისა ალექ-
სანდრესა. შეჩვეული არაბთა უფლებასა ვერ დამორჩილდა მათ
სრულებითა მონებითა. მორჩილი ქრისტეს მცნებათა, იყო
ურჩი ბერძენთა ანუ ვიზანტიის იმპერატორთა, რომელნიც
იპურობდენ ზღვისა შავისა პირთა, მისცემდენ მეფეთა ქალთა
და წარიყვანდენ მეფისა ქალთა თვისთა სასძლოდ. ჩინგიზი და
თემურლენგი უმცეკვდენ ქართველთა მეფობასა და ქართველნი
კვალად გარეშლდებოდენ. მიმინებულნი მტერთა და უცხოთა
ნათესავთა დასხმისაგან კვალად განიღვიძებდენ. პოლიტიკა შარ-
ბაზისა ამოფხვრისათვის ქრისტიანობისა ქართველთა შორის
დაშთა უნაყოფოდ. ხმალი ქართველთა ტრიალებდა ავღანის
ტანისა მეებზედ, ვაჟკაცობა მათი და გმირობა განვფერფე-
და სპარსთა და ოსეთა. თვით ეკეანი მოუწოდებდა ქართველთა
მეფეთა დასასჯელად მაამბოხეთა ავღანთა. თურქნი, მეზობლად
მოკრულნი ქართველთა, იშიშოდნენ შემოსვლასა შინა ქართლსა
და კახეთსა შეუვალსა. ქართველთა ესრეთ მრავალ საუკუნოებ-
თა გამოცდილთა და ტეტხლში, ვითარცა პური, გამომცხვარ-

თა, ვერ ერეოდეს ვერც შინაგანი, ვერც გარეგანი მწუხარება. გაღელვებული თავისუფლებითა და განლაღებული მთებითა

ინოდა ბედსაცა და უბედობასაცა.»

მართალია საქართველო იშვიათად არ იყო გარეგან დამოკიდებულების ქვეშა; მაგრამ ეს დამოკიდებულება განისაზღვრებოდა ცოტაოდენი ყოველ-წლიური სარგით, რომელიც უსიამოვნო საგანს შეადგენდა მხოლოდ მეფის თავ-მოყვარეობისათვის. შინაგან მართველობას იგი თითქმის არ ეხებოდა. ერი მის გავლენას სრულიად არა გრძნობდა და ყოველ შემთხვევაში დამჩაგვრელ თვისებას მოკლებული იყო. კაცსა, ერსა სჩაგრავს სისტემატიური უსამართლობა, შინაგანი ბრიყვობა, ყოველ-დღიური ულელი, რომელიც კისერში აწევს ხალხსა და ქედს ძირს ახრევინებს. ქარიშხალივით დაცემა მტრისა, რომელიც დამარცხდება, თუ გაიმარჯვებს, ორივე შემთხვევაში სტოვებს ქვეყანასა და ბრუნდებაწ თავის სამშობლოში—მხოლოდ დროების ხიფათს, წამის უბედურებას შეადგენს, რომლის კვალი მალე სრულიად ჭქრება ხალხის ცხოვრებაში. ამას გარდა უფრო მახლობელი ჩვენი მეზობელი და უფრო საშიში—სპარსეთი იშვიათად არ იყო გულ-წრფელი და გულითადი ჩვენი კეთილის-მოსურნელი. ბევრი ცუდი ნაკლულევანება ჭქონდათ სპარსელებს, მაგრამ პოლიტიკურს იეზუიტობას, სიკეთის დაუნახავობას და უმაგალითო უმადლობას კი მათში ვერ ჭპოებდით. ისინი ავ-კარგიანები იყვნენ. თუ მტრობას გვიხდიდენ მხეცურის დაუნდობლობით და შეუბრალებლობით, სამაგიეროდ სიკეთისათვის იცოდენ უხვი მოუკრობა ‌ თავდაუზოგველი მეგობრობა. მოგიგონოთ, მაგალითად, განთქმული სარდლის ნადირ-შახის ანუ თამაზ-ხანის მოქმედება შესახებ ჩვენის ქვეყნისა. მის ძლევა-მოსილ ჯარში დიდ-ძალი ქართვე-

ლობა ერია და მათის შემწეობით და კახეთის მეფის თეიმურაზის დახმარებით შახმა საშინლად დაამარცხა ოსმალეთი, დაიმორჩილა აკგანისტანი და ხარჯი დაადო თვით ინდოეთსა. ეს სიკეთე ქართველებს და საქართველოს მან ერთი სამად და ოთხად გადაუსადა: შეაერთა ერთს მთავრობას ქვეშე ქართლი და კახეთი, დამორჩილებულ ქვეყნებში დიდ-ძალი მამულ-დედული დაურიგა ქართველებსა, საქართველოში გამოაცხადა შეუხებლობა შინაურის მართველობისა, თავისუფლება სარწმუნოებისა, სპარსეთში ბევრი უმთავრესნი სახელმწიფო თანამდებობანი ჩააბარა ქართველებსა და თავის გვერდით ღვიძლი შვილივით გამოუზარდა საქართველოს თეიმურაზის შვილი სახელოვანი მეფე ერეკლე... აღსაზრდელად ამოირჩია არა გადამბირებელი მიმართულება და სპარსელები, არამედ ერთგული გზა და სპარსეთში მყოფი ქართველი პატრიოტები.

IV

ვაჟ-კაცობა, გულადობა და მამულისათვის თავის დადება შავთა დროთ ვერ შეეცვალათ და უწინდელსავით ღვიოდენ ქართველების გულში. წარსულ საუკუნეში რუსეთის ჯარზედ მამაცი მთელს ევროპაშიაც არ მოიპოვებოდა, მაგრამ ქართველებმა არა ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი მამაცობით და შეუპოვრობით უკან არ ჩამოურჩებოდენ სუვოროვის სკოლაში გაწვრთნილს თანა-მორწმუნე გმირებს. ამ მხრით მეტად შესანიშნავი არის ასპინძის ომი და აღა-მაჰმად-ხანთან ბრძოლა. 1769 წელსა რუსეთის იმპერატრიცამ, ეკატერინემ, გამოუცხადა ომი ხონთქარსა. ამ დროს ხონთქარი მეგობრული განწყობი-

ლობით იყო ერეკლესთან და უფრო დაახლოებულს კავშირს ეძებდა. ერეკლესთვის ამ გვარი განწყობილობა ხონთქართან ძალიან გამოსადეგი იყო, რადგანაც ყეენი მტრულად უცქერდა მას იმ მიზეზისა გამო, რომ საქართველო დამოუკიდებელი იქმნა სპარსეთისაგან. ეკატერინემ გამოუგზავნა ელჩი და სთხოვა ერეკლეს გამხდარიყო მისი მოზავე, დაერღვია მშვიდობიანობა სულთანთან, გამოეცხადებინა მისთვის ომი და რუსეთის ჯართან ერთად ემოქმედა ოსმალოს ჯარის წინააღმდეგ. ერეკლეს მავნებლად მიაჩნდა თავის სამეფოსათვის ეკატერინეს სურვილის ასრულება, მაგრამ ქართველურად სათრი ვერ გაუტეხა, დაჭყვა ნებას და მიიღო დაშქრობაში მონაწილეობა. 1770 წელს ასპინძასთან შეხვდენ ერთმანერთს ერთის მხრით ქართველ-რუსის ჯარი და მეორეს მხრით ხვანთქრის რაზმები და ლეკთა ჯარი. რუსის ჯარის უფროსმა, გენერალმა ტოტლებენმა სწორედ ბრძოლის დაწყების წინედ ომზედ უარი განაცხადა: „მე მიკიღე ბძანება იმპერატრიცისა, რათა დაუყოვნებლივ შეკწყვიტო ბრძოლა სულთანის ჯართან და დავბრუნდე ახლავე რუსეთში, რადგანაც ზავი უკვე ჩამოვარდნილა ჩვენსა და ოსმალეთს შორის“, სთქვა გენერალმა, გასწია უკან თავის ჯარით და დასტოვა გაოცებული და გაბრაზებული ქართველები პირის-პირ მრავალის მტრისა. თვით განთქმულის ჯარისათვის, თვით ნაპოლეონის ვეტერანებისათვის სათაკილო არ იქნებოდა ამისთანა შემთხვევაში ომის მორიდება; მაგრამ ერთი მუჭა ქართველი ჯარი არამც თუ უკან არ მოიქცა, არამედ გმირულად შეება ოსმალეთის მრავალთა რაზმთა, ევროპიულად გამოწვრთნილთა და სრულიად დაამარცხა ბევრით თავისზედ უმრავლესი მტერი.

„ეი ასპინძის გმირები, ღირსებით თაყვან-ცემულნი,
რომელთ შეღებეს მტრის სისხლით მტკვრის ზვირთნი აღლ-
ვებულნი.»

«მეორეს დღესა მიმავალმან საქართველოდგან იმერეთსა
ბაღდადის გზით გენერალმა ტოტლებენმა სცნო დიდი გამარ-
ჯვება ერაკლისა ოსმალოს ჯარზედ და სირცხვილეული დაე-
შურა და მალე გადავლო მთა.»

ეგრეთვე გმირული თავ-დადებულება გამოიჩინეს მამული-
სათვის ქართველებმა, სხვათა შორის დუბროვინის მოწმობით,
ალა-მაჰმად-ხანთან ბრძოლაში, რომელიც მოხდა 1795 წელსა.
გაბრაზებული ერეკლეს კავშირით რუსეთთან 70 ათასი ჯარით
სპარსეთის შაჰი მოადგა თბილისს, სადაც ერეკლე მხოლოდ
ხუთი ათასი კაცით იყო გამაგრებული. «ვფიცავ ჩემს ღმერ-
თსა, რომ ჩემს მტრებში ჯერ ამისთანა მამაცი და შეუშინებელ-
რი მეომარნი არ მინახავს», წამოიძახა ალა-მაჰმად-ხანმა, დუბ-
როვინის მოწმობით, როცა დაინახა, რომ ერთმა მუჯა ქარ-
თველმა ჯარმა პირველი შეტევით მუსრი გაავლო მის უმრავ-
ლესს ჯარს, გააპო იგი შუა და მტრის საშინელის ულეტით
მიატანა თვით სპარსეთის სულმწიფეს. როგორც სხვა დროს,
ამ ბრძოლაშიაც გლეხთა გამოიჩინეს ისეთივე თავ-განწირული
ვაჟ-კაცობა და მაღალი სიყვარული მამულისა, რომლითაც იყო
შემკობილი თავად-აზნაურობა. მშვენივრად აქვს გამოხატული
„სადღეგრძელოს“ ავტორს ვაჟ-კაცური თავ-დადებულობა მა-
მულისათვის ასმას არაგველ გლეხისა:

«ეი ასმასნი გმირები, დუშეთით თბილისს მოსულნი
მეფის შეწევნად და მის წინ, მისთვისვე შეფიცებულნი:
«თუ გაგვიწყრება ღმერთი ჯ ვერა განვჰსდევნეთ მტრის ძალი,

იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან შინა წავიდეს ცოცხალი!»
ღ გარდიწერეს ბირჯვარი, ვაჟ-კაცებრ ხმალი იშიშვლეს,
ღ შავარდენებრ მიგარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს!
შესძრეს, გაჭეანტეს... მარამ ზედ თავიც თვისი დაკარგეს!
ფიცი ვაჟ-კაცთა წმინდა არს, მათცა სიკვდილით შემოწმეს!...»

მართალია, ომი უბედურად გათავდა ქართველთათვის, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ თვით სამაგალითო სიმამაცეც ყოველად შემძლებელი არ არის და სამსჯედრო ისტორია არ წარმოადგენს იმისთანა მაგალითს, რომ ხუთასს კაცს დაეძლიოს სამოცდა-ათი-ათასი ბრძოლაში დახელოვნებული და ძლევამოსილი ჯარი.... ლეკნი კარგნი და ყოჩაღნი მეომარნი, ყოველთვის დამარცხებულნი რჩებოდენ, როცა კი ქურდულად და მოულოდნელად არ დაესხმებოდენ ხოლმე ქართველებსა. მოგვეავს ერთი შემთხვევა ჩვენის მალალ-ნიჭიერ პოეტის სიტყვებით:

«რა ტეტხლი გაჩნდა გალმა მხარს, რა გრგვინვა მოდის ბრძოლისა?
მთლად დაღესტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა!
ოცდა-რვა დღეა, რა ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა!
გაჭირდა, ციხე მისუსტდა, სად არის ხელი მხსნელისა?
ორასი მხედრით სოლომან, ოთარი და რატიშვილი,
ნოდარის ძენი და ბოსტა, დაკით და ბებურიშვილი
გაჩნდენ, დაჭკივლეს... ხმალ-და-ხმალ შუა გაჰხეს ლეკთ ძალი,
და გამოიხსნეს მბრწყინავი კახეთის თვალი ყვარელი!»

ყველაზედ შესანიშნავი და იმედის მომტანი ის არის,

რომ ამ ძვირ-ფასი თვისებით შემკულნი იყვნენ მაშინდელი ქართველი ქალებიც. მათის მამულის ერთგულობას, ერთგულების სიყვარულს, მაღალს ჯგუფს და კეტურ გულს თვალ-წინ ცხადად გვიხატავს ჩვენის პოეტის ბარათაშვილის სოფიო, მათი წარმოსადგენელი, მათი ტიპი. თუ პოემიდგან ისტორიაში ჩავსულავთ, იქაც შეგვხვდებით ამ გვარ მაგალითებს: 1777 წელსა, მეუღლე გიორგი მუმგვიდრისა ქეთევანი, ოცდა-ათი წლის ქალი, ასული ანდრონიკაშვილისა, თბილისიდგან მუსრანს მიდიოდა სტუმრად. თან ახლდა მას სამასი ცხენოსანი. ღართის-კარის ვიწროებში რომ მივიდა, გზა სრულიად შეკრული დაუხვდა; სუთასი ლეკი სამ გზით იყო ჩასაფრებული ამ ძნელად გასავლელს ადგილსა და სრულიად შეუძლებელს ხდიდა გზის გაკეთებასა. გულად კაჟ-კაცსაც კი უკან გამოაბრუნებდა ამისთანა უძლეველი დაბრკოლება; მაგრამ ქეთევანი მას არ შეუშინდა. იგი თვითონ მამაცურად მიუძღვა წინ თავის ცხენოსანთა, გარღვია სამ-გზით გამაგრებული ლეკნი და ჭეშნა სახელოვანი ძლევა.

«უკუმცეული შემდგომად ერთის თვისა მუხრანით, მიიღო ერეკლე: გმირი რამალი, თვისი თბილისსა დიდისა დღესასწაულობითა, ზარბაზნის ტიხიდამ სროლითა და ჩირაღლითა.»

მაშინდელ ქართველების კაჟ-კაცობა და მამაცობა ევროპაშიაც კი საუურადღებო საგანს შეადგენდა. თვით ფრიდრიხი, სამხედრო გენიოსი, ძლევა-მოსილი მებრძოლე მთელის ევროპისა, თავის კარს ქართველების მამაცობას მაგალითად უდებდა და ეუბნებოდა: «იბრძოლეთ ისე შეუპოვრად, როგორც იბრძვიან ერეკლეს ივერნიო!»

V

თუმცა საქართველოს მდგომარეობა დიდ ხანს იყო ამ გვარი, რომ ითხოვდა მხოლოდ ხმლის მღელვარების ხელოვნობას და სრულიად არ უწყობდა ხელს პოლიტიკურ აზრების აღზრდასა, მაგრამ მაინც მეთვრამეტე საუკუნის დამლევს საქართველოს ჭეკანდა შვილნი, რომელნიც იყვნენ შემკულნი შორს-გამჭვრეტელობით და ნამდვილ სახელმწიფო ჭკუით. ამ მამულის-შვილებს ერთის მხრით კარგად ესმოდათ დიდი მნიშვნელობა და სარგებლობა პოლიტიკურის კავშირისა რუსეთთან, მეორე მხრით ნათლად ჭქონდათ გამოთქმული, რომ ეროვნების გზის დატოვება, ნაციონალურთა ძალთა უარ-ყოფა, გადაბირების გზაზედ დადგომა, თვით - მმართველობის გაცვლა შინაგანს და გარეგანს დამოუკიდებლობაზედ ერს აუენებს დაუძლურების, დაწვრილმანების გზაზედ, მიჭყავს იგი უკან ყოველის მხრივ, და თუ დროით მან არ უშველა თავსა, არ გამოვიდა ამ ბუნების წინააღმდეგ მდგომარეობიდან, არ მოიპოვა სრული თვით-მმართებლობა, არ დაისაკუთრა შინაური ბატონობა და არ მიეცა ნაციონალურ ძალთა და ღონეთა გაძლიერებასა და აღორძინებასა, უსათუოდ გამობირდება, გაფუქსავტდება, დაეცემა, დაჭკარგავს გონების და ზნეობის ძალას, მოაკლდება თავისუფლებათა, დედულ-მამულიდგან დაჯდება ცალიერი და გარდაიქცევა პროლეტარიის ნახირად, რომლის სახსენებელიც კი ადრე, თუ გვიან ამოიფხვრება დედა-მიწის ზურგიდგან. ვის არ წაუკითხავს ჩვენგანს «ქართლის ბედში» ის საკვირველი ბასსიერეკლეს და სოლომონ ძსაჯულის მორის, სადაც ეს უკანას-

კნელი მამულის-შვილი წინასწარმეტყველური შეუცდომლობით უსატყვს მეფეს საქართველოს მომავალს ბედს, როგორც მიუცილებელს შედეგს იმ წინ-დაუხედავ პოლიტიკურის წადილისას, რომელიც მას განუზიარა ერეკლემ! მგონი მკითხველისათვის მომეტებული იქნება დაკვირთო, რომ სოლომონ მსაჯული არის ისტორიული პირი და ამასთან წარმომადგენელი, ტიპი ერთი დასის მამულის-შვილებისა და არა ქმნილება პოეტის ფანტაზიისა. ზოგიერთა ამ პირებს შეკხვდებით ძველად, აქ კი საჭიროდ ვრაცხთ გაკაცნოთ უკანასკნელი ისტორიული მოქმედება მოხსენებულის მამულის-შვილისა, რომელიც საკვსე იყო მაღალი ჯკუით, მხნეობით, შეუცდომელ შორსგამჭვრეტელობით და მხურვალე პატრიოტულ გრძნობით. სოლომონ ლეონიძე უკანასკნელად მოქმედებდა მეფე გიორგის სიკვდილის დროსა, როდესაც ჩვენის ქვეყნის გარემოება განძრახს მომეტებულად არივ-დარიეს, რომ უფრო უკეთესად დაეჭირათ თავზი ამღვრეულ წყალში. სოლომონ ლეონიძე, „ვითარცა ლომი გარემოცული მტერთაგან„ იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის“, თვალებს უხელდა დაბრმავებულთა, ეფხიზლებდა მიძინებულთა, გონზედ აყენებდა მოტყუებულთა და შეარიგებდა მეამბოხეთა. შეადგენდენ თუ არა კრებას დავით მემკვიდრის წინააღმდეგნი, რომელთაც მტრობის გულისათვის იგი მეფედ არა სურდათ, ლეონიძე მაშინვე დაიბადებოდა იქ და ეუბნებოდა: «ლექსი «მეფე» დადუმდა აქა? ბატონებო, იყავით ფრთხილად! ეკარგმულის მადლმა იღუპება ქვეყანა უშველებლად, იქით სარდლები იწევენ, აქედ მეფის ძენი, მელიქი და სომხობა გველურად იქცევიან! მოდით გონსა, დაფიქრდით და შედით საქმის ბჭობაში. დავითის მემკვიდრის მტრობისათვის, რად უნდათ შეექმნათ მტერნი ქვეყანასა; ნა-

შესაბამად უნდა ვიყვნეთ ქვეყნისათვის და მეფობისათვის. და-
საწყობელად საქმეთა და შინა აღრეულობათა კმარა რუსის ვა-
რი და ტრაქტატი მეფის გიორგისა.» უიერო კიდევ მხნედ და
დაუძინებლად მოქმედებდა შესახებ დავით მემკვიდრისა: «მღვი-
ძარენი დაუკარგველობისათვის მეფობისა — ვკითხულობთ მეფე
გიორგის ცხოვრებაში, — მეფის ძენი იოანე, ბაგრატ, თეიმუ-
რაზ და მისეილ, სარდალი იოანე ყაფლანიშვილი, ეგნატე
იოსელიანი, შეიუ თარხნიშვილი და მათ უბრძენესი და ნათლად
მხედველი მეობადისა და მომავალისა სოლომონ ლეონიძე,
დიდი მტერი, მოძულე ლაზარეკისა, სთხოვდენ და ევედრე-
ბოდენ დავითს წარვიდეს მცხეთას და დაგვირგვინდეს მეფედ.
დავითმან ეს არ ინება, ელოდა სამეფოთა ნიშანთა რუსეთი-
დან, და მიიღო მოსვლამდე ბრძანებისა მხოლოდ წოდება, ნაც-
ვლად მეფისა, რეგენტობისა, ანუ სამეფოისა გამგისა. მაშინ
წავიდა სოლომონ ლეონიძე და მოახსენა დავითს: დასამშვი-
დებლად მეფობისა და აღრეულობისა დასაცხრომელად მიიღეთ
ზომა მტკიცე, ჭქმენით, რაც არის საქნელი, აჩვენეთ ძალი და
ძლიერება თქვენი; გმართებთ აქ გმირობა. დუმილი თქვენი და
სისუსტე აძლიერებს თქვენთა მეტოქეთა; დაეც შიში და ზარი
მტერთა, ესლავ უბრძანე, დაიფიცონ მორჩილებაზედ, ნუ ჭკარ-
გავთ მეფობასა და ნუ ჭლუპავთ ქვეყანასა. ვინ არის მოტილე
მეფობისა? რუსეთმა ადრეგე აღგიარა მემკვიდრეთ და პირმშო-
თა, გაქვს უფლება მიიღო კვერთხი მეფობისა!» პატრიოტუ-
ლი სიმხურვალე ლეონიძისა იყო ისეთი გავლენიანი, რომ გა-
დაედო თვით სარდალს იოანე ორბელიანს, დავით მემკვიდ-
რის მტერსა, დაავიწყებინა მას პირადი ბოროტება, მიიყვა-
ნა დავითთან და მოახსენებინა შემდეგი რჩევა: «ბატონიშვი-
ლო და ბიძავ! ნუ ჭკარგავ მეფობასა. მიბრძანე და გამოგუტ-

სადგებ რუსის აქ ჯარსა წარვიდეს რუსეთად . . . . დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოთ მეფობითი სახელი ჩვენი. რაგორც გვიმეფნია, ისევე ვიმეფოთ!» მაგრამ რაცა დავითმან, ხელზედ დახვეულმა გენერალ ლაზარევის მიერ, არ შეისმინა ბრძნული რჩევა თავის მეგობრისა და იოანე სარდლისა და განაგრძელებდა თავის უგუნურს, წინ-დაუსედავს მოქმედებასა, მაშინ ლეონიძე გადუდგა მას და სურდა სხვა გზით და სხვა პირების დახმარებით და შუამავლობით ეშველა ქვეყნისათვის: ამის გულისათვის იგი იქმნა ჩაგარდნილი საპყრობილეში. მაგრამ საპყრობილიდგანაც ისეთივე შეუპოვრობით და გავლენით ღაღადებდა მამულის მოღალატეთა წინააღმდეგ, რომ მისნი მტერნი, შიშის გამო იძულებულნი შეიქნენ საქართველოდგან სრულიად გაეძევებინათ და გადაეგარგათ იმერეთსა. . . . . .

«ვუწოდებ მას, პატიოსნებისა გამო მადლისა დროთა ამათ, თვბრიციოთ ქართველთა» ამბობს ლეონიძეზედ ავტორი მეფე გიორგის ცხოვრებისა, «და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი, იქმნა ნამდვილ ქართველთა ერისა და ისტორიისა კატონად.»

Iაკობ სვიმონიძე.

(დასასრული მეცხრე ნომერში.)

გაზაფხული.

—

თოვლი ატირდა ლანქერად, ადიდდა ჩვენი წყლებია,
ბალღებს უხარიათ, დარბიან, ბაბას გაუთბა ძვლებია,
მიმჯდარა ბერი მუდრუზე, ყავარჯენს მისჩერებია...
ქვეყანამ გამოიღვიძა, სიცოცხლე მოსწყურებია!...

—

წერილებს ვხედავ ცაშია, დამწკრიალდენ როგორც ისარი,
წინა უკანას ხმას აძლევს, უყვირის როგორც ციცარი,
არ სცილდებიან ერთმანერთს, ვით ძმა ძმას შენაფიცარი,
მიფრინავენ ჩრდილოეთისკენ, იმათი წესი ის არი...

—

აგერ მერცხალმაც ჭაერში რა ცელქად შეინავარდა,
ბუზს იჭერს კამარაშია, ელვაებრ ფრთები ამარდა,
აგერ წყლის სარკეს გაეკრა, მაგრამ შიგ კი არ ჩავარდა,
იამაც სანი მოგვფინა, რა ზამთარს სული გავარდა.

—

სულ-ყველა ხარობს და გალობს, სირი იმზადებს ბუდესა,
ანანიას-აკვეთსა სწვერავენ, ბოსტანს უვლებენ ზღუდესა,
ბუნებაც ჭეკვის მრავალ-ფერად, დეე ციცს ზამთარს ჭშურდესა...
ამ გვარი ძალა, სიცოცხლე, ვინ არის რომ არ სწყურდესა?!...

თ. ნიფ. ერისთავი.

თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი.

(1746—1819).

არა არს-რა ესრედ ტკბილი,
ვით მამულის სიყვარული. *)

გაიოზ.

საგვირველი სალხი ვართ ქართველები. მაშინ, როდესაც სხვანი ყოველს საშუალებას ხმარობენ, რომ შეიძინონ, გაისაკუთრონ რომელიმე გამოჩენილი გვამი, რომელიც მათ არ ეკუთვნით, ჩვენ, წინააღმდეგ ამისა, იმათაც ვიკიწუებთ და გვარგავთ, რომელთ ხსოვნა საჭირო ჩვენის წარსულის დიდების აღსადგენად. ამათთანა გვამებით საკესა ჩვენი წარსული ცხოვრება, განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნე, რომელიც ღირსია, რომ დასტოვებით გავიცნოთ, შეეისწავლოთ. ვიღოთ, მაგალითად თუ გინდ ჩვენი გაიოზ ნაცვლიშვილი, რომლის მჭევრ-მეტყველობის ნიმუშებს შემდეგ მოვიყვანთ. ჩვენ არ ვიტყვით, ვითომც ამაზედ უკეთესი და ღირსეული გვამი არ მოიპოვებოდეს მეთვრამეტე საუკუნეში; არა, ისინი მრავალნი არიან, მხოლოდ თვითოეულს იმათგანს გაცნობა უნდა, მათის ცხოვრების და მოქმედების შესწავლა არის ჩვენთვის საჭირო,

---

*) «მიმოსვლის...» წინა-სიტყვაობა. იხ. მის ნაწერებში.

მით უმეტეს, რომ ესენი ქართველები არიან, და იმ ქართველების სსენების გაქრობა, რომელნიც თავიანთ პიროვნულ თვისებით სსოვნის დიდსნი გამხდარან, ჩვენთვის სასისარულო არ უნდა იყოს.

მაგრამ, მიბძანეთ, რომლის წყაროებიდამ ამოვიღოთ ცნობები მის ცხოვრებასა და მოქმედებაზედ? რომელს გონების, ანუ კალმის საუნჯეს მივმართოთ? რომელი საქმეები ანუ წიგნთ-საცავი გადავსინჯოთ, სადაც შეგვეძლოს მის შრომის ნაყოფის პოვნა? ეს კითხვები მხოლოდ გაიოზს არ შეეხება, ესეგე შემიძლიან გავიმეორო, როდესაც შეგუდგები რომელიმე ჩვენის ისტორიულის გვამის განხილვას, შესწავლას. ამისთანა შემთხვევაში ცნობის-მოყვარე პირმა მცირედიც უნდა იკმაროს, რადგან მცირედი ცოდნა სრულს უმეტრებას მაინც აჯობებს.

I

გაიოზის სწავლა საქართველოში,

(1746—1772).

გაიოზი შთამომავლობით იყო აზნაური; ეს დაიბადა სიღნაღის მაზრაში, ს. მაღაროში. ამან დასწერა წინა-სიტყვაობა ანტონი დიდის, საქართველოს ქათალიკოზის „წყობილ-სიტყვაობისა“, რომლის ერთ ტაეპში არის გამოუვანილი შემდგომი კიდურ-წერილობა: „ანტონი სტიხობს, მოწაფე წინა-სიტყვაობს.“ ხოლო უკანასკნელი ტაეპი ამ წინა-სიტყვაობისა არის შემდგომი:

გონებას მჭვრეტსა, უვსოსა მას ნათელსა,
არსავით მხედსა, გარნა ნივთთა მხილველსა,
იხილავს ბრძენსა, სტრიხთა ტკბილ-სასმენელსა,
ორფეოს მთქმელსა, შემდგომთ-არსთ უგრძნობელსა,
სულისა მზესა, გიძღვნობ მოწაფე მთქმელსა.

(წყობ. სიტყ. გვ. XXVI).

ეს ტაეპი არის აკროსტიხად დაწერილი და ამის კიდეურწერილობა: «გაიოს». აქედან სჩანს, რომ გაიოზს სწავლა მიუღია ანტონ ქართლიკოზისაგან. მაგრამ, როდის უოფილა გაიოზი მოწაფედ ანტონისა, ამ უკანასკნელის რუსეთად განდევნამდის, თუ დაბრუნების შემდეგ? თუმცა ბლ. იოსელიანი სწერს (მიმოსული იონა რუისის მიტროპოლიტისა, 1852 წ. გვ. 21), ვითომც დიდ ანტონს თან წაეყვანოს გაიოზიც რუსეთად განდევნის დროს 1757 წ., მაგრამ ეს შეცდომაა. გაიოზის სასელი არ იპოება იმ გვამთა სიაში, რომელნიც თან ახლდენ ანტონ ქართლიკოზს პეტერბურღს მისვლის დროს. (წყობილ-სიტყვ. 1853 წ. გვ. XI—XII).

როდესაც ანტონი რუსეთს წავიდა 1756 წ., მაშინ გაიოზი ათის წლისა იყო. მაშასადამე მერკე წლიდამაც რომ დაეწყობინა სწავლა ამ ყმაწვილისთვის, მაინც ამას ათ წლოვანებამდის, ე. ი. ორის წლის განმავლობაში ისე ვერ მოამზადებდა, რომ გაიოზს საფუძველი ჰქონოდა თავის-თავი ანტონის მოწაფედ აღეარნა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანტონს აქვე დაეწყობინებინა გაიოზისთვის სწავლა, ხოლო დაბრუნების შემდეგ რუსეთიდამ, ე. ი. 1762 წ. გაეგრძელებინა ანუ დაესრულებინა დაწყობილი წინად სწავლა.

ანტონის რუსეთიდამ დაბრუნების დროს გაიოზი იყო თექვსმეტის წლისა. მაშასადამე ეს ამ დროს კარგა მომზადე-

ბული უნდა ყოფილიყო საეკლესიო წიგნებში მაინც. ამის სიმართლე იქიდგან სჩანს, რომ ანტონმა რუსეთიდამ დაბრუნების შემდეგ ეს ჩქარა აგურთხა მთავარ-დიაკვნად, სახელდობრ 1765, ე. ი. მესამე წელს რუსეთიდამ დაბრუნების შემდეგ (Дѣло архива св. Синода 1774 г. № 2330). ამ დროდგან 1772 წლამდის, გაიოზი, როგორც ქვემოდ ვიხილავთ, განუშორებლად სცხოვრებდა ქათალიკოზ ანტონთან. აი ამ სანგრძლივ ყოფნას გაიოზისას ანტონთან შეიძლებოდა ჰქონოდა მოძღვარ-მოწაფეობითი მნიშვნელობა. და მაშასადამე გაიოზს მხოლოდ ეს დრო უნდა ჰქონდეს სასეში, როდესაც თავისთავს უწოდებს მოწაფედ ანტონისა.

1772 წელს თვით მეფე ირაკლის უნდოდა წასვლა პეტერბურღს, მაგრამ შინაურმა ფრიად საჭირო საქმეებმა ნება არ მისცეს, რომ აესრულებინა თავის გულითადი სურვილი, ამისთვის თავის მაგიერ გაგზავნა პეტერბურღს თავის შვილი ლეონ და ქათალიკოზი დიდი ანტონი. ამათ გაჰყვა არსი-დიაკონი გაიოზიც. ესენი 16 მაისს 1772 წ. მიეიდნენ ასტრახანს, სადაც ნება მოუვიდათ პეტერბურღს წასვლისა, (дѣло св. Синода 1772 г. № 318). ქათალიკოზი ანტონი და მასთან გაიოზიც თითქმის ორი წელიწადი დარჩნენ პეტერბურღში. რა იყო ნამდვილი მიზეზი ამათის გაგზავნისა, ამაზედ ბევრი სინოდის საქმეებში სრულებით არაფერია; მაგრამ მაშინდელ საქმეებს თუ შევხედავთ, ესენი იყვნენ მიწვეულნი მოსალაპარაკებლად იმ საქმეზედ, რომელიც გამოაშკარავდა 1783 წ. იმ ხელ-შეკრულობაში, რომელიც დასდეს ირაკლი მეორისა და ეკატერინე მეორის ელჩებმა. ამ ხელ-შეკრულობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით ჩვენის ეკლესიისთვის, რომელსაც თითქმის თოთხმეტის საუკუნის განმავ-

ლობაში უველა მსოფლიო ეკლესიები იცნობდენ თვით-მდგომარე ეკლესიად; ესლა კი, 1783 ხელ-შეკრულობის შემდეგ, ამან დაჭკარგა ეს თვით-მდგომარეობა, დამოუკიდებლობა. ამისთანა გამოჩენილ საქმის მშვიდობიანად გათავებისთვის საჭირო იყო, რომ სეშეუფო ქალაქში მიეწვიენთ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი? მაინც, როგორც იყო, ქათალიკოზმა შეასრულა მინდობილობა და მარტში 1774 წ. უკანვე დაბრუნდა. ანტონი და გაიოზი მოსკოვს ერთად მოვიდენ. აქ გაიოზმა სთხოვა ქათალიკოზს ნება-რთვა იმაზედ, რომ ეს აქ დარჩეს მოსკოვის აკადემიაში შესასვლელად. ანტონმა ამაზედ ნება დართო გაიოზს.

II

გაიოზი მოსკოვის სასულიერო აკადემიაში.
(1774—1778).

26 მაისს 1774 წ. გაიოზმა მისცა თხოვნა იმპერატრიცა ეკატერინე ალექსის ასულს, რომ ნება მიეცეს მას მოსკოვის აკადემიაში შესვლისა. თავის თხოვნაში გაიოზი სწერს, რომ «თუმცა მე ჩემს სამშობლო ქვეყანაში შევისწავლე სხვა და სხვა საგნები ქართულს ენაზე, მაგრამ დავინახე რა რუსეთში უაღრესი შესწავლა მეცნიერებისა (безпомѣрное въ наукахъ превосходство), მოვინდომე ლათინურის (რომ ბერძნულიც შეისწავლა გაიოზმა აკადემიაში, ამის დასამტკიცებელ საბუთს მკითხველი ქვემოდ იხილავს) და რუსულ ენების შესწავლაც მოსკოვის აკადემიაში ჩემის ხარჯით.» ამ თხოვნის საბუთით,

უწმინდესი სინოდი სწერს (31 მაისს 1774 წ. № 866 სინოდის საქმე) მოსკოვის სასინოდო კანტორას, რომ ამან მოხსოს გაიოზ ბერი (არხი-დიაკონი), გამოიკითხოს, თუ რისთვის და ან ქათალიკოზის ნება-რთვით დარჩა ის მოსკოვში, თუ არა,—ან მღვდელთ-მოქმედება აღკრძალული ხომ არა აქვს, და ან რა დასარწმუნებელი საბუთი აქვს ამის შესახებ? ამ მოწერილობის აღსასრულებლად, მოსკოვის სასინოდო კანტორამ მოხსა არხი-დიაკონი გაიოზ და ზემოხსენებულ კითხვებზე ჩამოართვა ჩვენება. რადგან მხოლოდ ამ გაიოზის ჩვენებაში, ჩვენის შეხედულობით, შეიძლება ნამდვილი ბიოგრაფიული ცნობები იყოს მის შესახებ, ამისთვის სრულად მოვიყვანთ მის შინაარსს. მოსკოვის სასინოდო კანტორა უდგენს უწმ. სინოდს (28 ივლისს 1774 წ. № 2330 სინოდის არსიის საქმე) შემდგომს არხი-დიაკონ გაიოზის ჩვენებას:

«მე ვარ, სწერს გაიოზი, ოც-და-რვა (28) წლისა, ბერობა შეკვიმოსე და არხი-დიაკვნად მაკურთხა თვით ანტონ ქათალიკოზმა (დიდი ანტონი) წარსულს 1765 წელსა; ვარ აზნაურთაგანი. საქართველოში, თბილისში ყოფნის დროს, მე განუშორებლად ვიმყოფებოდა ანტონ ქათალიკოზთან 1772 წლამდის, ხოლო ამ წელს მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა, თავის საჭიროებისთვის, გამოემგზავრა რუსეთს და მეც თან წამომიყვანა და მიმიყვანა პეტერბურს. პეტერბურღიდამ მომიყვანა მოსკოვს, სადაც აქამომდე (1774) ვიმეოფები. მისს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობასთან ყოფნის დროს მე ვასრულებდი შესაფერს ჩემის ხარისხისა მღვდელთ-მოქმედებას. ხოლო აღნიშნულს წელს, მარტში, ხსენებული ქათალიკოზი უკან დაბრუნდა თავისკე ეპარქიაში, ხოლო მე, გაიოზმა, მისის უკუდაბრუნების დროს, ვსთხოვე მას, ნება მოე-

ცა ჩემთვის მოსკოვში დარჩომისა შესასწავლად აქაურს აკადემიაში ლათინურის და რუსულის ენებისა ჩემის ხარჯით. ამაზედ ქათალიკოზმა ნება დამრთო სიტყვიერად, ხოლო წერილი ამის შესახებ მე არაფერი მიმიღია. მისს ოჯოლად-უსამღვდელოებისაგან».

რომ გაიოზი დარჩა მოსკოვში ანტონ ქათალიკოზის ნება-რთვით, და რომ მას სამღთო-მოქმედება აღკრძალული არა ჰქონდა, ამის მოწმად მოიყვანა გაიოზმა მოსკოვში მცხოვრები ოჯოლად-სამღვდელო ფილიმონე, საქართველოს ეპისკოპოზი. ამის მიხედულობით უწმ. სინოდმა გადასწყვიტა, რომ მოსკოვის სასინოდო კანტორამ მოსთხოვოს, ასტრახნის ოჯოლად-სამღვდელოს შუამავლობით, ქათალიკოზს ანტონს, ცნობა იმაზედ, თუ ნამდვილად გაიოზ ბერი მისის თანხმობით დარჩა მოსკოვში სასწავლებლად და აკრძალული ხომ არ აქვს მას მღვდელთ-მოქმედება, და ამ პასუხის მიღების შემდეგ, აცნობონ უწმ. სინოდს; ხოლო ამ დრომდის (პასუხის მიღებამდის ქათალიკოზისაგან) გაიოზს მაინც ნება მიეცეს იცხოვროს სულის-წმიდის მოფენის (Богоявленскій) მონასტერში თავის სარჯით და იარჩოს სასწავლებლად მოსკოვის აკადემიაში.

ამის შესახებ მოსკოვის სასინოდო კანტორას წარეგზავნა უქაზი (дѣло архива св. Син. 1777 г. № 372. Указъ 13 Августа 1774 г.). თუმცა სინოდის საქმეებში არ შეგვხვედრია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ სინოდს თავის კითხვებზედ დამტკიცებითი პასუხი მიუვიდოდა ქათალიკოზისაგან. თუ რამდენი ხანი დარჩა გაიოზი აკადემიაში, ამაზედ ნამდვილი ცნობები არა გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ გაიოზი 25 ივნისს 1776 წელს ისევ მოსკოვის აკადემიაში იყო. ესა სჩანს

მისგან გადმოთარგმნილ და აღნიშნულ რიცხვს (25 ივნისს 1776 წ.) გათავებულ წიგნიდამ, სახელად „მიმოსვლა“ ბარონ-დე-პოლიტინისა, რომელიც არის მოხსენებული ქვემოდ გაიოზის ნაწერთა შორის № 5. უნდა ვითქროთ, რომ გაიოზმა შესრულა კურსი მოსკოვის აკადემიაში და მაშასადამე შეისწავლა ენები: სლავიანურ-რუსული, ბერძნული, ლათინური და სხვა საგნები, რომელთაც ასწავლიდენ აკადემიაში. რომ გაიოზს ბერძნულიც შეუსწავლია აკადემიაში, ესა სჩანს იონა რუისის მიტროპოლიტის „მიმოსელიდამ“ ანუ მგზავრობიდამ. თავის მგზავრობის დროს იონა იყო კონსტანტინოპოლშიაც. აქ მან გაიცნო ორი პატრიარქი—კონსტანტინოპოლისა პროკოპიოს და იერუსალიმისა—აბრამიოს. ამათ მისცეს იონას წერილები მეფესთან და ქათალიკოზთან. «მიბოძეს, სწერს იონა თავის «მიმოსელაში» წიგნები საქართველოს მეფე, კათოლიკოზთანა კურთხევისა, და წარეგზავნე საქართველოში, რომელიცა თარგმნა კიევის მიტროპოლიტმან გაბრიელ, და ჩვენმა გაიოს პენძელმან (აქედამ სჩანს, რომ გაიოზი პენძაშიაც (Пенза) ყოფილა არქიელად, როგორც ამას ვიხილავთ ქვევით), პულოს, (ე. ი. შვილმან) საქართველოსამან» (მიმოსვლა, იონა რუისის მიტროპოლიტისა, 1852 წ. გვ. 20—21.)

III

გაიოზი თელავის სემინარიის რექტორად.

(1782—1783).

თუ როდის დაბრუნდა გაიოზი მოსკოვიდამ საქართველოში, სწორედ არ ვიცით. მაინც საეჭვებელი არ არის, რომ

ის ოფიხ წელიწადზედ მეტი დარჩომილიუო მოსკოვის აკვდა-
მიაში. ეს კი უეჭველია, რომ გაიოზი 1782 წ. უკვე იუო სა-
ქართველოში, სადაც იმან ჩქარა მიიღო არხიმანდრიტობა თვით
ქათალიკოზ ანტონი დიდისაგან. თუმცა ბლ. იოსელიანი სწერს
(მიმოსვლა, იონა რუისის მიტროპ. გვ. 21), რომ გაიოზმა
არხიმანდრიტობა მიიღო რუსეთიდამ დაბრუნების შემდეგ 1773
წელსაო, მაგრამ ეს შეცდომა არის. ამ წელს გაიოზი და ან-
ტონი ისევ რუსეთში იუვნენ. ეს შეიძლებოდა უოფილიუო
1782 წელს, როდესაც გაიოზი საქართველოში იუო 28 მაისს
1782 წელს, შაბათ დღეს, გაიოზი თელავში იუო და თავის-
თავს ისენიებს არხიმანდრიტად. ამ დღეს (28 მაისს) უნდა
გაეხსნა თელავში სემინარია და კიდეც გახსნა. ეურო დავუგ-
დოთ ახლა თვით გაიოზს, თუ როგორ მოხდა აღნიშნულ
სემინარიის გახსნა თელავში:

«მოქმედება დღესასწაულობითი დაწყებასა ზედა ახლისა
სემინარიისა ქალაქსა შინა თელავს, თოგესა მაისსა 28, დღე-
სა, შაბათსა, წელსა 1782, დროსა ყოველად უბრწყინვალესისა
და უკეთილმსახურესისა მეფისა ირაკლი მეორისა ყოველისა
საქართველოისა, მამათ-მთავრობასა უწმიდესისა და უნეტარეს-
სისა პატრიარხისა, და სემინარიისა ამის სრულისა დირექტო-
რისა და პროტექტორისა და აქაურთა გნოსისთა დიდასკალო-
ისა მეფის ძის ანტონისა, რომელსაცა მონებრის ერთგულო-
ბით მიართმევს ამათ უსამღვდელოესთა პირთა მხსვე სემინა-
რიის რექტორე არხიმანდრიტი გაიოზ.

«ესამსა პირველსა დღისასა, უწინარეს საღმრთოსა ლი-
ტურღიისა, იქმნა კურთხევა წელისა თვით სემინარიასა შინა
რექტორის მიერ სამღვდელობითა კრებულითა, და შემდგომად
სრულ-ყოფისა, იკკურა სრულიად სემინარიანი წმიდისა წელი-

ცა, და მერმე თვითეულად სემინარისტნი. ამის შემდგომად წარვიდა რეკტორი წმიდასა შინა ეკლესიასა სემინარისტებითურთ მოქმედებად სადმრთოისა ლიტურგიისა. სოლო შემდგომად თქმისა დიაკონის მიერ: «შიშითა ღვთისათა... თქვა სიტყვა (გაიოზმა) კრძალულებით მიღებისათვის წმიდისა საიდუმლოის ზიარებად განმზადებულთადმი სემინარისტთა (ეს სიტყვა არ იყო იმ დედანში, რომლიდამაც იბეჭდება ადწერა თელავის სემინარიის გახსნისა და მაშინ ნათქვამნი ქადაგებანი) ლოცვითურთ: «მრწამს უფალო და აღვიარებ... და ესრეთ აზიარნა ყოველნი სემინარისტნი წმიდასა საიდუმლოსა, და შემდგომად სრულ-ყოფისა სადმრთოსა ლიტურგიისა იგალობავე სამადლობელი პარაკლისი. სოლო შემდგომად ეკლესიით გამოსვლისა, წარმოვიდა სემინარიად (ამ სახლებს უჩვენებენ კარისა ღვთის-მშობლის, ეხლანდელ სობოროს ჩრდილოეთით ჩხიკვაძეების სახლებში, რომელიც შამილის დატემამდე კახეთზე შესდგებოდა ორის სართულისაგან და ეკუთნოდა შიუკოვებს, ხოლო შამილის დატემის დროს კახეთზედ, ზემოთი სართული დაეაქციეს, ხოლო ქვევითი სართული იყიდეს ეხლანდელმა მეპატრონეებმა) რეკტორი სემინარისტებითურთ და აქაურითა ჩინებულთ სამღვდელოთ და საეროთა, რომელნიცა იყვნენ ადრიდგანვე მოწოდებულ, რათა მუნ დასწრებულ-იყვნეს ახალ დაწყებადსა ამას უსამღვდელოესსა საქმესა ზედა, და ესრეთ შესვლასა ზედა მათსა ითქვა ბაღობით: «მეუფეო ზეცათაო...» და მერმე დასხდენ უჩინებულესნი მოწოდებულთაგანნი შესაბამად თვის-თვისთა ადგილთა საკმეთა ზედა, და ესრეთ წარკითხულ იქმნენ: ეპისტოლე იმისის უწმიდესობისა, სემინარისტთადმი ბრძანებული, და ინსტრუკცია, რეკტორისადმი ბრძებული, და ეგრეთვე ოქმნი იმისის მე-

თოობის დიდებულობისანი სახმართათვის სემინარიისაჲ. ამის შემდგომად ითქვა სიტყვა კათედრით რექტორის მიერ: «განდიდებისათვის იმისის მეფობის დიდებულობის მზრუნველობისა და მომჭირნეობისა ყმათა თვისთა და განრჩევისათვის მეცნიერებისა და უმეცრებისა და მადლობისათვის იმისის უწმიდესობისა, ვითარცა მიზეზისა, დამფუძნებელისა და სრულმყოფელისა მეცნიერებითისა სიმრგვლისა».

ურიგო არ იქნება მოვისმინოთ თვით სიტყვაც, რომელიც არის შემდგომი:

«ოვკელივე საქმე ამით არის დიდ და კეთილ, ოდეს გამოიძიების, თუ ვინ არის მიზეზი მისი, და ანუ რაი სარგებელი გამოვალს მისგან, და ანუ თუ ვითარითა ჴვაზრითა ქმნილ არს იგი? აწინდელისა ამის შეკრებულობისა არა ღმერთი არსა მიზეზ? უსამღვდელოესი ჴვაზრი კეთილ-მსახურისა მეფისა ჩვენისა არა არსა საქმე ოვკლად უმაღლესისა არსებისა ჴვაზრი, რომელიცა დაჴნერგა ოვკლად მაღალმან სულსა შინა იმისის მეფობის დიდებულობისასა? არა მაცხოვარება არსა საროწმუნოთა და ერთგულთა ყმათა მისთა, შვილთა კახეთისათა? რომლისათვის ისარებდინ ერთგულნი შვილნი ამის ქვეყანისანი! მდგომარეობა ესე ცხოვრებისა ჩვენისა და მოლოდება განთლებისა და გამოუვანა უმეცრებითისაგან სიბნელისა არა არიანა სარგებელნი, რომელნიცა მოგვეცემიან ოვკლად მოწყალისაგან ღვთისა? და ამისთვის შეგსწირონ მსხვერპლი ქებისა ქველისმოქმედსა ღმერთსა ჩვენსა.

«და ეინაითგან მიმღებელი ქველის-მოქმედებისა თანამდებ არს რათა რაისა მიმართობდეს წადილისადმი ქველისმოქმედისა, რომლითა მიჴსწვდეს კეთილობასა მას, რომლისადმიცა ხელით-უკანებულ ჴყოფს მას, მაშა და ჩვენცა შემოკრე-

ბულთა ჴქა მიღებისათვის ქველის-მოქმედებისა ამის ყოველად უმაღლესისაგან არსებისა აღვასრულოთ თანამდებობა ჩვენი და ვეცოთ იგი რაისა მიმართად წადილისადმი ქველის-მოქმედისა, რომლითაცა სრულ იქმნას ბედნიერებაცა ჩვენი.

«ვჴსედავთ და გვესმის, თუ ვითარსა შინა განვრცელებასა და თუ ვითარსა შინა სიმრავლესა განთესილ არის სიბრძნე, რომელსა ვერცა სიშორე აღგილთა, ვერცა სხვაობა ქვეყანისა და ჴაერთა შემძლებელ არს შეცვალებად მის მიერისა. გარდამოსსმულისა ბედნიერობისა მიმღებელთა ზედა მისთა, არამედ ნიადაგ ღორძილობს, ნიადაგ უვავილოვნებს და ნიადაგ ერთებრსა სუნნელებასა განჴფენს ყოველთაგან ვითარცა დასავლეთსა შინა, ეგრეთვე აღმოსავლეთსა, ვითარცა ჩრდილოეთსა, ეგრეთვე სამხრეთისა კერძოთა შინა და ამისათვის ყოველნი სიხარულით ისმენენ სახელსა სიბრძნისასა და ამისათვის ყოველნი ბედნიერობად ჴრაცხვენ თვის ზედა შესმენასა ამის ყოველად ძვირ-ფასის გავრცელებისასა.

«აჴა წინამდებარე არს ბედნიერობა ქვეყანისა, აჴა ცხადების მზრუნველობა ღვთისა ქმნილთა თვის-თვისთა ვინადგან აღგვიდგინა მეფე და მამა ყმათა თვისთა, რომელსაცა შინა აღარ ძინს ჴაზრი თვისისა წადილისა ე. ი. რათა სამეფოი თვისი ჴყოს მოკრძალულად ყოველად მტკიცითა სიბრძნითისა ბედნიერობისა ზღუდითა, რათა ყოველი საქართველოი ესდენ ბედნიერ იყოს რაოდენცა შესაძლებელ იყოს ბედნიერობა კაცისა შეწევნითა და მომჭირნეობითა ესოდენ ძლიერისა და კეთილ-მსახურისა ხელმწიფისათა.

«ესე არს ჴაზრი მმართებელისა სოფლისა, ესევე არის ჴაზრი დამწყებელი ამის ყოველად-უყმიდესისა საქმისა სურვილითა კეთილ-მსახურის მეფისა ჩვენისათა, რათა ჩვენ ყოველნი

ვიქმნეთ განათლებულ სათლითა მეცნიერებისათა, რომლისა-თვისცა წარმოდგომილი ამას ახლად დაფუძნებულსა უსამღვდელოესსა ადგილსა ზედა წინაშე პატიოსნებისა თქვენისა ვჰფოფ ჭსუასა თუ ვითარი სხვაობა არს შორის მეცნიერებისა და უმეცრებისა და ანუ თუ ვითარსა სარგებელსა მოვიღებთ ამის ერთისაგან და მეორისაგან ვითარსა სავნებელსა უკეთუ ინებებს პატიოსნება თქვენი.

«არა საკირო არს განხილვაი ამისი თუ ვითარი სხვაობა არს შორის მეცნიერებისა და უმეცრებისა. გვნებავსა, რათა შეგეწევინეთ ნიადაგ ჭეშმარიტებისა თქმასა, გვნებავსა, რათა განვარჩიოთ საქმენი, განვისილოთ ოდენი მდგომარეობანი საქმეთანი და ვჰსცნობდეთ მათცა თუ რაი გამოვალს მათგან? ესე ოდენი და სხვანიცა ესე ვითარნი გამოვალნნ მეცნიერებისაგან.

«მეცნიერება მოიუვანს კაცსა პირველად ცნობისადმი თავისა თვისისა, თუ რა არს და ვითარი რა არს და ესრეთ ცნობა ესე თავისა თვისისა სელით უვანებულ ჰფოფს ამის ცნობისადმი, ვითარმედ ეგე ვითარივე არს კაცი, ვითარცა დასაბამი მისი და წარმომადგენელი ნიეთი ე. ი. მიწა, რომლითაცა დაამუდრებს თვის შორის ოდენსა ზვირთსა ამპარტავნებითისა ღელვისასა და მერმე მიიუვანს მას ამის გამოძიებისადმი თუ რაისათვის დაბადებულ არს იგი შემოქმედისაგან თვისისა და დადგინებულ სოფელსა ამას შინა, რომლითაცა ცნობითა განსაზღვრებს თავსა თვისსა ამას შინა, რათა სარგებელ ეყოს მოუვასთა ვიდრეცა თავსა თვისსა და ხორცთა, რათა უსნეულო აქუნდეს გონება ვიდრეცა ხორცი, რათა უმეტეს მსურველ იყოს კეთილობისა მის, რომელნიცა თვის ეუვიან ბუნებასა, ვიდრეცა რომელნიცა ტკბილ გემოვნებისადმი

მიათრევენ ვითარცა უსიტყვსა და სმისათვის ბედნიერობასა შინა არა ზუარობს და უბედურებასა შინა არა სულ-მოკლეობს, არამედ საშუალსა ზედა გზასა დაადგინებს თავსა თვისსა, ვიდრემდის მისწვდებოდეს სასურველსა კეთილსა.

«გარნა უმეცრება არა უტევებს კაცსა გამოძიებისადმი სმის ყოველისა, უმეცარი ე. ი. არ მეცნიერი თავისა თვისმცა დასაბამისა და დასასრულისა ჴკონებს თავსა თვისსა, ეგრეთ ვითარცა პირუტყვთა და ესრეთ მისა ოდენ მოსწრასეე არს ქმნად, რაცა მოეწონების საგრძნობელთა მისთა, შერაცხს მას სასარგებლოდ, რაცა დაატკბობს უღვიძოსა გულის-თქმასა მისსა, გამოეძიებს მას და შეუდგების, რაცა აღუთქვამს მას განუძლომელსა წყურვილსა სიმდიდრისა და ვეცხლის მოყვარეობისასა, რომლითაც, მწყურვალი სვამს სისხლსა ძმისასა უტკბილეს ზეციერისა ნექტარისა, სიტრფე შეურაცხიეს უფროს ჭეშმარიტებისა, მოტყუება უფროს პატიოსნებისა და უპატიოება უფროს სასუფეველის დიდებისა, ოღონდ მიიღოს სიმდიდრე არა მგამელი, რომლითაცა იყოს.

«მეცნიერება ასვამს გონებასა ძალისაებრ ცნობასა ღვთისასა და წარმოუდგენს მას უზესთაესად და შემოქმედად ყოველთა არსებათა, აცნობებს, ვითარმედ ღმერთი არს ყოველად ბრძენი, ყოველად სახიერი, მართლ-მსაჯული და ყოველისა სრულებისა მქონებელი, წარმოდგომითა ვითარმედ ყოველად ბრძენ არს ღმერთი აჩვენებს ზრუნვასა მისსა ქმნილთათვის მისთა და უფროსღა კაცისათვის, რომელიცა არს უპატიოსნესი ქმნილთაგანი, წარმოდგომითა ვითარმედ ყოველად სახიერ არს ღმერთი არწმუნებს ვითარმედ არა გვიტევებს ჩვენ განსაცდელთა შინა უკუნისამდე, გარნა ოდენ დამდაბლებულითა სულითა მოეწოდოთ მას შემწედ ჩვენდა, წარმოდგომითა ვითარმცა მართლ-

მსაჯულ არს ღმერთი დაგვარწმუნებს, ვითარმედ რაოდენცა შემძლებელ ვართ დატევნად მივიღებთ მისგან ოდენთა კეთილთა და ვითარმედ ნაცვალი კეთილობისა ჩვენისა დასაბამითგანვე მზა-უქმნიეს მას ჩვეთვის და ესრეთ სიბრძნითა და მეცნიერებითა კრება-ქმნილსა გონებასა ვითარი ექმნების პატივის-ცემა ღვთისადმი? ვითარი საწმუნოება? ვითარი მსახურება? ვითარი ჴსჯულისა მისისა მორჩილება? ოდენ ივე სრული და ოდენ ივე შესაბამი დიდებულებისა ღვთისა.

„მეცნიერი პატივ-ჴსცემს ღმერთსა არა ამისთვის, რომელ ღმერთი მართლ-მსაჯულებითა თვისითა და ჴკის შეურაცხისმოთვალთა თვისთა, არამედ ამისათვის ვითარმედ ქმნილთა შორის უმეტესსა პატივსა ღირს-ჴყო კაცი და უმეტესსაცა მოელის მერმესა მას საუკუნესა, ჴრწამს პირუთნებელად ჴმსახურებს მას სულითა და ჭეშმარიტებითა, ჴყოფს კეთილთა საქმეთა არა შიშითა მისითა, არამედ სიყვარულითა და მორჩილებითა უწმიდესისა ჴსჯულისა მისისათა და ესრეთ ოდენთა-თვის ჴმადლობს და ოდენსა შინა კეთილსა საქმესა არს მტკიცე. გარნა უმეცრება არა უტევებს ესე ვითარად ცნობასა ღვთისასა კაცისა შორის. უმეცარმან თუმცა იცის ღმერთი, გარნა ჴსჯის მისთვის ვითარცა თვიცხელისა რაისმე მსაჯულისათვის და ამით სხვასა-და-სხვასა შინა შეცთომილებასა შთაგდებს თავსა თვისსა. ნაცვლად პატივის-ცემისა ღვთისა, უმეცარსა გონებასა შინა არიან არა თუ ჴაზრნი უმსგავსონი დიდებულობისა მისისანი, არამედ საქმენიცა ოდენ ითურთ წინააღმდგომნი სრულებისა მისისანი; ნაცვლად კეთილ-მსახურებისა მეფობენ მის შორის წარმწემედელნი წვალებანი და მიუდრეკელნი დაყინებულნი უგლიმობანი; ნაცვლად მართლისა საწმუნოებისა უფლებას მის შორის ამაო და ცუდი მორწმუნეობა;

ნაცვლად სიყვარულისა ჴსჩანს მის შორის უმადლობა და დრტვინვა რომელ ვერ მიიღებს ბრძენრიგისა თხოვისა თვისისა სრულ-ყოფასა. მეცნიერება აღაშენებს სახლთა და წესიერ ჴყოფს მარიგებლობასა სახლისასა. არა არს მეცნიერისათანა მცონარება და არცა წადილი უზომო სიმდიდრისა. მეცნიერისათანა არა არს მტაცებლობა და შორს არს მისგან უბრალო განმაბნევლობა, ვინათგან მეცნიერება აჩვენებს მას, თუ რაი არს კეთილი და ანუ ბოროტი. პატიოსნება და უპატიოება ვერ დაჴსომობს, რათა უპატიოება უკეთეს შერაცხოს პატიოსნებისაგან და ბოროტი კეთილისაგან და ამისათვის ყოველსა ნივთსა ხმარებულ ჴყოფს კეთილად და ყოველსა საქმესა სარგებლად თვისსა და ქვეყანასა წინდსა მეუღლეობისასა დაიცვავს წმიდად. შვილთა აღზრდის კეთილად, მონათა დაიმორჩილებს კმაითა წყალობითა და შერისხვითა და ამის მიერ ჴყოფს სახლსა თვისსა, ვითარცა ქვეყნიერსა რომელსამე სამოთხესა.

«გარნა უმეცარი არა თუ აღაშენებს სახლსა, არამედ კარგიერსაცა წესსა სახლის მაშენობლობისასა სრულიად ვერა რაითამე მიჰსწვდების, ვინათგან უმეცარი არის მცონარ და ნაკლულევან ყოველითურთ; უმეცარი არს ძუნწ, განმაბნეველ, ულონო, დაუდგრომელ, დამჩემებელ და ამისათვის ყოველსა ნივთსა ხმარებულ-ჴყოფს ბოროტად მეუღლეობასა ანუ არა დაიცავს ანუ საფუძვლად მისა აქვს პირუტეული ოდენ ადრულებაი; შვილნი უსხენ თვინიერ კეთილ - ზრდილებისა, მაშა და არცა პატივის-მცემელნი მისნი მონანი თვინიერ სწავლულებისა, მაშა და თვინიერ ერთგულებისაცა და ესრედ სახლი უმეცარისა არა თუ არს სახლი არამედ სამყოფი ოხრებისა და ყოველისა ურიგობისა. მეცნიერება განიხილავს თვითოეულსა თანამდებობასა კაცობრივსა და არა იძულებით შეჴკრავს გულსა კაცობრივსა

რათა უბიწოდ და წმიდად დაიცვას თანამდებობაი იგი სამთავ-
როსა შინა გონებისასა, ვინაიდგან მეცნიერმან უწყის თუ ვი-
თარ შეკრულ არს კაცი კეთილისა საქმისადმი არა თუ სასყიდ-
ლისა და შესამატისათვის, არამედ თანამდებობისა თვისისა
აღსრულებისათვის და ამისათვის მსნობს მეცნიერ მთავარი და
ადვიძებს და ზრუნავს, რათა ხელის ქვეშენი ანუ უმანი თვის-
ნი მოიყვანნეს მარადის კეთილსა მდგომარეობასა შინა და
იღვწის რათა არცა ერთი მათგანი მიეცეს ვითარსამე უბედუ-
რებასა უზრუნველობით მისით. მღვიძარებს მეცნიერი მსაჯუ-
ლი განმართლებისათვის უბრალოსა და დასჯისათვის ბრალეულ-
ისა; იბრძვის მტრისადმი მეცნიერი მხედარი არა რათა ბო-
როტი უქმნას მტერთა არამედ, რათა შეეწიოს ქვეყანასა თვის-
სა და მშვიდობასა შინა ამყოფოს; წარვალს შორსა გზასა
მეცნიერი ვაჭარი არა რათა განიმრავლოს სარგებელი თვისი,
არამედ რათა მოქალაქეთა თვისთა განუმრავლოს საჭირონი და
სახმარნი ნივთნი. გარნა უმეცრება ყოველითურთ წინააღმდგომ
არს ყოველისა კეთილის თანამდებობისა. უმეცარი მთავარი
არს სასყიდლით დადგინებული და არა მემკვიდრე, უმეცარი
მსაჯული არს მოქრთამე, უმეცარი მხედარი არს მტაცებელი
და მძვრცველი, უმეცარი ვაჭარი არს განუძღომელად ვეცხლის
მოუვარე. ვინათგან ვინცა არა უწყის თანამდებობა ჩინებისა
თვისისა, მან არა უწყის განვლა სწორის გზით, არამედ ესე-
ოდენ თუ ვითარითა ღონითა განავრცოს გზა განმდიდრებისა
თვისისა, რომლისადმიცა აღძრავს მას ხორციელი წადილი და
თუ რაოდენნი ვნებანი წარმოებენ უმეცრებისაგან, ვინ ვერ
ვხედავთ.

მეცნიერობა ჭეშმარიტს ბედნიერებასა ქვეყანისასა, ვინათ-
გან ცხოველად წარმოუდგენს კაცსა, ვითარმედ სასარგებლო-

რაიმე ქვეყანისა არს სარგებელი ყოველთა კაცთა. მეცნიერება დაანახვებს კაცსა, ვითარმედ უპირველესი ხელმწიფება ესე იგი არს ძალა ხელმწიფეთა და მთავართა ღვთისა მიერ განწესებულსა მას ხელმწიფებასა მეცნიერება აჩვენებს ყოველთა კაცთა თანასწორებასა და ამით ხელმწიფესა ჭეშტს მამად ყმათა თვისთა, მონათა-შვილად საყვარელად ეფეალთა, მთავართა—კეთილის-მყოფელად ხელის ქვეშეთა — მადლობით დამორჩილებულად მთავრისადმი, ეფეალსა—მეგობრად მონათადმი, მონათა—ერთგულად მსახურად ეფეალთადმი და ესრეთ შეჭვრავს ყოველთა სიყვარულითა და ჭეშტს ვითარცა ერთითა სულითა მქცევთა ურთი-ერთისადმი სიფრთხილით და კრძალულებით და ერთისა ულონოებისა განმარეველად მეორისა და ყოველისა საზოგადოებისა მავნებელთა საქმეთა მსწრაფულ აღმომფხვრელად, რომელისათვისცა ესე ვითარსა მეცნიერსა ქვეყანასა შინა არს მშვიდობა, მეუდრეობა, განსვენება, უხვება და ყოველი ბედნიერება. გარნა არა უტევებს უმეცრება რათა კეთილ-დღეობასა შინა მოვიდეს ქვეყანა, ამისათვის ვინათგან არა შეიწყნარებს თვის შორის მეცნიერებისა ბუდესა და არცა მეცნიერთა მისცემს შესაბამსა ბატივსა. უმეცრება არა მისცემს ნებასა კაცთა, რათა განიცადოს თუ რაი არს საზოგადო ანუ საქვეყნო კეთილი, არა აგულ-ხმებს წმიდასა და უზადოსა მორჩილებასა მთავართასა, არა აცნობებს მას უზესთაესად და სასარგებლოდ ურთი-ერთსა სიყვარულსა და თანხმობასა, არამედ უმეცრება შთასთესავს გესლსა თვისა ესრეთ, რათამცა მთავარი ხელის ქვეშეთა თვისთა ჭრაცხდეს დაბადებულად მისისა ოდენ ბოროტისა გულის-თქმისა მსახურებისათვის და ხელის-ქვეშენი ჭრაცხდენ მას მტანჯველად თვისად; უმეცრება განმზადებს ყოველთა ურთი-ერთისადმი ხერხითა და ტრელობითა, რომელი

თაცა მისტატებენ ერთმანერთისა და დაუმწარებენ მოსვენებულსა სიცოცხლესა და აქვსთ ოდეს საშოვრად შური და მტერობა და ამისათვის გამოვალს უმეცრებისაგან ორგულება ხელმწიფეთა, შეოთი წინააღმდგომად მთავართა, დაუმორჩილებლობა უფალთა, ურიგობა ოვგელსა შინა სალხსა აღრეულება, მგვლელობა და ურთი-ერთისადმი ბრძოლა და უკანასკნელ სრულებით აღწუეედა ოვგლისა ქვეყანისა.

«ესე არს სხვაობა მეცნიერებისა და უმეცრებისა და ამისათვის მეცნიერება ასუამს გულსა შინა ჩვენსა ბედნიერობითსა სიცოცხლესა, ხოლო უმეცრება შორს გვეოფს ნეტარებისა მშვიდობითისა ცხოვრებისაგან.

«ოვგელი ესე სარგებლობა მეცნიერებისა არა დაფარულ არს ოვგლად ბრძნისა მხედველობისაგან კეთილ-მსახურისა მეფისა ჩვენისა ირაკლი მეორისა. ოვგელი ესე უკვალოვნება შემოკრებულ არს გუგასა შინა კეთილ-მსახურებითა განათლებულისა თვალისა მისისათა. ამას ესოდენ გრძელ - ყამობითსა გამოცდილებისა თვისისა კეთილ-მსახურებიოისა მეფობისასა ესეოდენ დაუძინებლობითისა მზრუნველობისასა ბედნიერობისათვის ყმათა თვისთასა არა შესაძლებელ იყო რა არა ეცნო კვალი იგი ბედნიერობისა, რომლისადმიცა უძღვის მეცნიერება და ამისათვის პირველად თქვენზედა განმარტა საბედნიერად დაუძინებელი იგი თვალი ოვისი, პირველად თქვენთვის ისურვა ძვირ-ფასი ესე ბედნიერებაი თქვენი, ჭნებავს რათა იყვნეთ სრულ ოვგლითა კეთილობითა მით, რომლითაცა შეამკო ბუნება სიტყვიერი შემამკობელმან და განმაშვენებელმან ოვგელთამან. ჭნებავს თქვენი არა თუ ვითარცა მონათა, არამედ ვითარცა საყვარელთა შვილთა თვისთა განშვენებად, განსვენებად და განმდიდრებად. ესრეთ გიძღვისთ თქვენ წყაროსადმი მოწყალები-

სა თვისისა, ესრედ გარდმოჴსენს თქვენზედა ხელმწიფობითსჴ მფარველობასა სიბრძნითა და მეცნიერობითა შეჴსოვილსა, შესაძლებელ არსა რათა იპოვებოდეს ვინ ესე ვითარი გულ-ქვა, რომელიცა არა ტუვე იქმნას ერთგულობითა ესე ვითარისა კეთილმოუკარისა ხელმწიფისათა.

«არა შესაძლებელ არს, (უკეთუ უმადლოებასა შინა არა ვამოფებთ გონებასა ჩვენსა) რათა არა მოხსენებულ ვეოთ აქა ღვაწლი და მოშჯირნეობა უწმიდესისა მამა-მთავრისა ჩვენისა მეფის ძის ანტონისა და საუკარელისა ძმისა კეთილ-მსჴურისა მეფისა ჩვენისა. ამან ალმომუკანმან სიბნელისაგან უმეცრებისა საქართველოისა იწყო შენობად ბედნიერობისა ამის ჩვენისა. ამან სრულ-ჴყოფა სახლი სიბრძნისა საქართველოისა ოთხლითა საჯირითა სწავლულებითა; ამან საუნჯე სწავლისა ამის განამდიდრა ქმნითა და თარგმნითა წერილთა სასიბრძნოთა; ამან გულს-მოდგინებით თვისითა ჴყო ათინად მამული თვისი, რომელიცა უწინარეს ამისა ვითარსა სიბნელესა შინა უმეცრებითსა დაფარულ იყო, თქვენვე იცით. ამის უწმიდესის პირისადმი ჴსმობს კეთილ-მსახური მეფე ჩვენი სიტუვასა მას ფილიპპე მეფისა მაკედონიისასა მიწერილსა ბრძნისადმი არისტოტელისა კვალად «ვმადლობ ღმერთსა მოძნიჭებელსა ჩემდა სკიპტრასა მეფობისასა დროსა მწყემსობისა შენისასა, ვინათ«გან ვსასოებ შენ მიერ, რათა შვილნი მორჩილთა კეთილ-მსა«ხურისა სკიპტრისა ჩემისათანი ჴყო ღირსად და სარწმუნოდ «ძოანად ჩემდა სიბრძნითა და სწავლულებითა კეთილ-მსახურებისათა».

«და ესე ვითარისა მოწყალებისათვის, ვითარი რაიმე მადლობაი ღირსი უძღვნათ კეთილ-მსახურსა ხელმწიფესა ჩვენსა, გარნა რაისაცა გულ-მოდგინებითსა მივჴსცემთ მადლობასა უო-

ველი იგი იქმნების უმცირეს შესწორებითა ქველის-შოქმედებისა მისისათა და უგეთუ ვჴსოებთ რასამე ღირსსა, იგი ესე-ოდენ იქმნების რათა გულ-სავსე ვჴყოთ მამობრივი გული მისი სრულ-ოოფითა სმის უწმიდესისა ჴაზრისა მისისათა და სმისათვის ვისწრაფოთ ცხად-ოოფად გულს-მოდგინებისა; ვისწრაფოთ და ვაჩვენოთ ვითარმედ ვითარცა ესრეთი კეთილ-მსახური მეფე ღირს არს ისე ვითარისა სამეფოსა ეგრეთვე ჩვენცა ღირსად მონებისა მისისა ცხად ვჴყოთ თავი ჩვენი. ხოლო უფროს ოოველთასა ვითხოვოთ ღვთისაგან ვითარცა მეუფისა მეუფეთასა, რათა წარმართებულ ჴყოს სათნოდ თვისად დაწყება უსამღვდელოესისა სმის საქმისა და ვეჴედრნეთვე მხურვალითა გულითა, რათა სიმრთელითა და კეთილობით დაიცვას სიგრძესა შინა დღეთასა და სიმრავლესა წელთასა კეთილ-მსახური მეფე ჩვენი უმაღლესითურთ სახლეულით მისით და კვალად რათა გარდამოუვლინოს ზეცით მაღალმან მან ნიჭნი და კურთხევანი ოოველად-წმიდისა სულისა თვისისანი უწმიდესსა მამათ-მთავარსა ჩვენსა მეფის ძეს ანტონის სეპინარიისა სმის დირეკტორს და პროტეკტორს და აქაურთა გნოსიანთა დიდსკალოსსა და ჩვენცა მშრომელთა სმას უსამღვდელოესსა პალტასა შინა, მოგვცეს ძალი სრულ-ოოფად თანამდებობისა ჩვენისა.»

«ხოლო შემდგომად სრულ-ოოფისა სიტყვისა სმის ითქვნენ საუბრით სემინარისტთაგან ურთი-ერთისადმი ჴაზრნი, სტიხით იამბიკურად ქმნილნი. უმწვერვალესსა განცვიფრებასა შინა შესრულთა სმის ესე ვითარისა ძვირ-ფასისა ბედნიერებისა თვისისა და მადლობისათვის თვისთა ოოველად-უსამღვდელოესთა მოძღვრნეთასა. და შემდგომად სმისა ითქვა სიტყვა თხოვით რექტორის მიერ იმისის მაღლის ოოველად სამღვდე-

ლოების ნეკრესის ეპისკოპოზის დოსითეოს ჩერქესისადმი, რათა, ვითარცა უწყრიბნებულესმან ბერმან ამას შეკრებულებასა შინა, ინებოს დაწყება ახლისა ამის უწმიდესის საქმისა, მიცემითა ღრამმატიკაის-ასზღვრისა აღხსნისათა მოწაფეთადმი ღრამმატიკაისათა.» აი თვით სიტყვა ანუ თხოვნა გაიოზისა ნეკრესის ეპისკოპოს დოსითეოზისადმი:

«ოკუმენად-სამღვდელოო მეუფეო!

«თქვენისა ოკუმენად-სამღვდელოებისა მაღალმან ცნობამ და დიდმან თქვენმან მეცნიერებისა სურვილმან და მას შინა ნიადაგმან მოცალეობამან განაღვიძა ჩემ შორის კანონიერებითი ესე მოსსენებაი, ვითარცა მამისადმი მოწყალისა, რომელითაცა აღძრული დავრდომით ვითხოვ თქვენის მაღლის ოკუმენად სამღვდელოებისაგან, რათა ვითარცა უსარწმუნოესმან ერთგულმან და მოსწრაფებით ბანაშემწემან ჭაზრისა კეთილ-მსახურისა მეფისა ჩვენისამან და უწმიდესისა ძმისა მისისა მამათ-მთავრისა, ვითარცა უერთგულესმან მწყემსობითისა მისისა თანამდებობითისა შეკრულებისამან და უფრო-ლა მეცნიერებითისა ოქროს საუკუნოისა შემოუვანისათვის საქართველოსა შინა უმსნესმან და უმსურვალესმან მსურველმან წარმართებისათვის სიბრძნესა შინა ღვაწლისა და შრომისა მისისამან, ჭეოთ კეთილ ნაწლეობაი ქველის-მოქმედებრი ამას შინა, რათა ღვთის-მსახურებითი კანონიერებაი ეგე თქვენი ხმარებულ-ჭეოთ სიბრძნისა მომტემელისადმი ღვთისა და გამოსთხოოთ გარდამოვლინებად სულსა მას სიბრძნისასა ახალ-ნერგთა ამათ ზედა ურმათა, რომელთაცა ინება ახლად დასხმად სემინარიასა ამას შინა ადგილსა ამას ადრიდგან ბედნიერობითა სწავლულებისათა მდიდარ ქმნისა, რომლისაცა ჯეშმარიტებასა ჭსწამებს თრიადი იგი სწავლულება ოკუმენად-სამღვდელოებისა თქვენისა და აქა შემოკრე-

ბულთა რაოდენთამე სამღვდელოთა პირთა. ხოლო ამასთანა კითხოვცა ვედრებით, რათა ინებოსვე ყოველად-სამღვდელოებამან თქვენმან წინა-წარძღოლად აღხმისათვის ენაბრგუნილებისა ამათ ურმათასა სიბრძნისადმი აღხსნითა დღეს ღრამმატიკაისა საზღვრისათა, რომლითაცა კითარცა თანამდებობითა შეკრულნი სავსებანი ამის სამღვდელოსა სემინარიისანი შეგვკრათ უერთგულესისადმი მორჩილებისა.»

«გარნა მან, დოსითეოსმან *) არა ინება ამისა ქმნად, და უბრძანაცვ რექტორსა ამისა ქმნად. მერმე ითქვა მოწაფეთაგან ლოცვა ყოველად-წმიდისადმი სულიერსა, თქმული იმისის უწმიდესობისა პატრიარქის მეფის ძის ანტონისა მოსწავლეთათვის სემინარიისათა, რომელ არს: «მიუწოდომელო ბრწყინ-

---

*) ესე დოსითეოზ ჩერქეზიშვილი იყო კახელი, კაცი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი. მეფესა ირაკლი მეორესა უნებდა ებოძნა მისთვის ქათალიკოზობა შემდგომად ანტონი პირველისა, გარნა არა ჰქმნა მეფის ძემან გიორგიმ და მიუბოძა შვილსა თვისსა ანტონს (II). იცოდა კარგად სომხური, იყო კოჭლი დაბადებითა, გარდაიცვალა 1789 წელს. მას შეუდგა ნეკრესლად «ამბროსი». (გიორგი მეფ. ცხოვრ., პლ. იოსსელ. გვ. 218.) ამის სახელი სწერებია 1737 და 1756 წელ. საქმეებზე, როგორც სწერს პლ. იოსსელიანი Путев. замѣтки по Кахетіи, стр. 117 მაშასადამე 1782 წ, ეს ღრმად მოხუცებული უნდა ყოფილიყო.

ნაწერები დოსითეოზისა: ა) პერიოტრმონია, არისტოტელისა, რომელიცა დაიკარგა და ახლად სთარგმნა სომხურიდგან. წყობ. — სიტყვ. გვერ. 253 ქათალ. კატალ. წიგნ. № 172.

ბ) დიდი რიტორება, ნათარგმნი მისგან სომხურიდამ. იმავე კატალ. № 90

გ) დავით უძველესის ფილოსოფოსის საზღვრის წიგნი, სომხურიდგან ნათარგმნი მისგანვე. იქ. № 127.

ვალებაო...» და ესრედ შემდგომად აღხსნისა საზღვრისა ღრამ-მატიკაისა ითქვა მუხლი ღვთის - მშობლისა მოწამეთაგან: «ღვთის-მშობელო ქალწულო...» მერმე ითქვაცვე სემინარისტ-თაგან კითხვა - მიგებით ჭაზრი შექმნისათვის სოფლისა და ნივთთა და სხვათა, რომელნიცა დაისწავლეს ზეპირ უწინარეს დაწყებისა ღრამმატიკაისა დასელოვნებისათვის მხედრულისა კითხვისა და წერისა. ამისა შემდგომად ითქვა სიტყვა რეკტო-რის მიერვე მუნ შემოკრებულთა ერთადმი და სემინარისტთა-დმი «განდიდებისათვის ამის უსაშღვდელოესისა საქმისა და მასშინა გულ-მოდგინებისათვის.»

ეი თვით ნამდვილი გაიოზის სიტყვაც!

«პატიოსანნო სტუმარნო!

«ჭოი, თუ ვითარისა განცვიფრებითა თანა გაძსთ სმენად ოოვლად ძვირფასისა ამის საქმისა! ოჭ, თუ ვითარისა სიხარუ-ლითა გმართებთ ხედვად ოოვლად-უსამღვდელოესისა ამის ად-გილისა, რომელსაცა შინა სათნოდ ღვთისა და სათნოდ კაც-თა აღიზრდებიან შვილნი და შვილის-შვილნი თქვენნი და მო-მავალნი ნათესავნი. ესე ვითარი უმაღლესობა საქმისა ამას არა დაგანახვებსთა ოოვლად უხვსა მოწყალებასა ღვთისასა? ესე ვი-თარი ძვირ-ფასი მოშჯირნეობა ხელმწიფისა თქვენისა და მა-მისა მოწყალებისა არა განმზადებსა ერთგულსა სულსა თქვენ-სა, რათა საკურთხეველსა ზედა გულისა თქვენისასა აღანთოთ ტეტხლი მადლობისა ღვთისადმი შეწირული ბედნიერობასა ში-ნა დღეთა სიგრძისათვის კეთილ-მსახურისა მეფისა თქვენისა და რომლითა დღეცა თქვენ შვილთა და შვილის - შვილთა და მომავალთა ნათესავთა განგრძელდეს ბედნიერობითსა და ღვთი-სა სათნოსა კეთილობასა შინა, ნამდვილ რწმუნებულ ვარ მე ამას შინა, ვითარმედ გვარობითი ეგე ერთგული და სიჩჩოთ-

განვე ამას შინა წურთიელება თქვენი უმეტეს საიმედო არს ჩვენ მიერ. და აწ თქვენდამი მოვაქცევ ოვალსა სიტყვასა ჩემსა, საყვარელნო შვილნო ჩემნო, რათა განშვენდეთ ოვალად ძვირ-ფასითა ამით სიბრძნისა სწავლულებითა, დანერგეთ ესე გონებასა და გულსა შინა თქვენსა, დაიცვეთ საუნჯე ესე დიდ-ფასი, იღვაწეთ სლვად ოვალად - დიდებულსა ამას გზასა ზედა, განაშვენეთ ადგილი ესე საღმრთო წმიდითა ქცევითა თქვენითა, თანა მოღვაწე ექმენით ოვალად დიდებულსა ამას გზასა— ჭაზრსა ხელმწიფისა ჩვენისასა, ჭეავთ თავი თქვენი სიბ-რძნისა შემკულებითა ნუგეშად მამობრივისა გულისა მისისა. ამას ოდენ მოელის თქვენგან მამა ესე მოწყალე, ამას სასოებს თქვენ მიერ ქვეყანასცა ესე თქვენი, ამას ზედა ილოცავს თქვენ-თვის უწმიდესი იგი მამათ-მთავარი ჩვენი და მე უკანასკნელი და უღირსი მონა მათი ვითხოვ გულს-მოდგინედ რათა, გარ-დამოვიდეს თქვენზედა და საქმესა ამას თქვენსა ზედა თანა შემწეობა და კურთხევა ოვალად-ძლიერისა ღვთისა აწ და სა-მარადისოდ.»

და ესრეთ დასრულებასა ზედა ითქვა გალობით დასდე-ბელი მეერგასისა დღესასწაულისა მუხლი: «ყოველისავე მომ-ცემელ არს სულიწმიდა...» და მუხლი მერვის ხმის ყვირა-ძლის მეორის წარდგომის ღვთის-მშობელისა: „შენდამი ხა-რებს... და სრულ იქმნაცა უწმიდესი საქმე ესე საადიდებელად ოვალისავე კეთილის მომცემელისა ღვთისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და უსრწნელად მშობელისა მისისა ოვალად-კურთხეულისა და მარადის ქალწულისა ღვთის-მშობელის მა-რიამისა, და საადიდებელადვე, და საქებელად, და საუსენებელად ოთვალთა შინა ყამთა უკეთილ-მსასურესისა და ღვთის საყვა-რელისა და კეთილ-მოყვარისა და დიდ-სახელისა და უძლეველი-

სა ბრძოლასა შინა მეფისა ირაკლი მეორისა, და უწმიდესისა და ყოვლად-ბრძნისა ძმისა მისისა ყოვლისა ზემოისა საქართველოისა პატრიარხისა და უნებურთა გნოსისთა დიდასკალოსისა და სემინარიათა (მხოლოდ ერთი სემინარია არა ყოფილა იმ დროს საქართველოში) დირექტორისა და პროტექტორისა მეფის ძის ანტონისა, რომელთაცა, ვითარცა უსამღვდელოესთა და უმოწყალესთა პირთა, სთხოვს უმდაბლესად მოსებრივითა ერთგულობისა სემინარიი გახეთის სამეფოისა ქალაქის თელავისა, რათა მოწყალებითი ესე ქველის-მოქმედება განაგრძელონ დაცვისათვის და საუკუნოდ გებისათვის უწმიდესისა ამის და ღვთის სათნოსა საქმისა.“

აქედან სჩანს, რომ სემინარია პირველად 1782 წელს გახსნა თელავში გაიოზმა, ანტონი მეორის, საქართველოს ქათალიკოზის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ (იგ. ანტონი I, საქართვ. ქათალიკოზი, ჩემი სტატია, «ივერია» 1879 წ. № 9, —10. გვ. 58). რომ ეს მართალია, ამაში ეჭვი არ არის. საკითხავი ეს არის, თუ ეს სასწავლებელი აღნიშნულს წელს გაიხსნა კახეთის სამეუფო ქალაქს თელავში, მაშ ამ დრომდის — 1782 წლამდის, მთელი კახეთის მცხოვრებნი სად იღებდენ სწავლა-განათლებას? დავიჯეროთ, რომ ამ დრომდის მთელ კახეთში არა ყოფილა არავითარი სასწავლებელი? ამ კითხვაზედ თვით გაიოზი გვაძლევს პასუხს. ამან თელავის სემინარიის გახსნის დროს უთხრა ქების სიტყვა ნეკრესის ეპისკოპოზს, დოსითეოზ ჩერქეზიშვილს, რომლითაც სთხოვა მას, რათა „ინებოს ღრამატიკის აღხსნა“ ურმათათვის. ამ ქების სიტყვაში, სხვათა შორის, აი რა მოახსენა დოსითეოზს: „ვითხოვ თქვენის მაღლის ყოვლად-სამღვდელოებისაგან, რათა... ღვთის-მსახურებითი ჯადნიერებაი ეგე თქვენი ხმარებულ-

ჰყოთ სიბრძნისა მოძღვარსადმი ღვთისა და გამოსთხოთ გარდამოვლინებად სულსა მას სიბრძნისასა ასლად ნერგთა ამათ ზედა ყრმათა, რომელთაცა ინება ახლად დასხმად სემინარიასა ამას შინა, ადგილსა ამას, ადრითგანვე ბედნიერობითა სწავლულებისათა მდიდარ ქმნილსა, რომლისაცა ჭეშმარიტებასა ჰსწამებს ფრიადი იგი სწავლულება ყოვლად-სამღვდელოებისა თქვენისა და აქა შემოკრებულთა რაოდენთამე სამღვდელოთა პირთა“ (ქების სიტყვა გაიოზისა დოსითეოზ ნეკრესელ ეპისკოპოზისადმი). აქედამ სჩანს, რომ თვით ქ. თელავში ყოფილა სასწავლებელი, სადაც თვით დოსითეოზს და რაოდენთამე აქ შემოკრებულთა სამღვდელოთა პირთა მიეღოთ სწავლა. თუ ასე წარჩინებულად იდღესასწაულეს დაფუძნება ანუ გახსნა სემინარიისა ქ. თელავში, 1782 წ., ეს მისთვის, რომ ამ სახელით (სემინარია) და ამ წესზედ, მართლა, ახალი სასწავლებელი იყო კახეთში. ამ სემინარიაში წყობილობა უნდა ყოფილიყო რუსეთის თანამედროვე სემინარიების წესზედ. თვით ანტონი I, საქართველოს ქათალიკოზი, შვიდი წელიწადი იყო მმართველად ვლადიმირის ეპარქიისა, ხოლო გაიოზი ახლად კურს-შესრულებული მოსკოვის აკადემიაში. ამათ ორივეს ძლიერ მოსწონდათ აქაური წესები და ამჯობინებდენ იმ დროს საქართველოში მყოფ წესებს სწავლის შესახებ; მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი მომეტებულად რუსულს ნიადაგზედ დააფუძნებდენ ამ ახალ სემინარიასაც თელავში; ამ გვარი სემინარია სრულებით უცნობი და ახალი სასწავლებელი იქმებოდა საქართველოში მყოფთა და აღზრდილთათვის. მკითხველმა ის კი არ უნდა იფიქროს, ვითომ ამ სემინარიაში საგნები რუსულად ესწავლებინოთ, ანუ რუსული ენა ყოფილიყოს ვალდებულ საგნად. თუ რომელ საგ-

ნებს და როგორ ასწავლიდენ აქ, ამას კარგი გამოკვლევა უნდა, რომელსაც უნდა მოველოდეთ ჩვენის ისტორიკოსებისაგან. მინამდის კი შეგნიშნავთ, რომ თელავის სემინარიაში ასწავლიდენ: გრამმატიკას, კატეხიზმოს, რიტორებას, ფილოსოფიას, ღვთის-მეტყველებას (იხ. ჩემი სტატია, ანტონი I, საქართვ. ქათალიკოზი, «იგერია» 1879 წ. № 9—10, გვ. 69).

ნ. მთვარელიშვილი.

ახალი წიგნები.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები, ნაწილი პირველი. თბილისი, 1881.

ამ ზათვხულის სიცხეებში, როდესაც ხალხი ჩრდილებს, ანკარა წყაროებს, და ცივ-ღვინოს უფრო ეტანება, ვიდრე მტვრიან ქალაქებს, როდესაც მოტრფიალე არშიყს გრძნობა უფრო უცხოველდება და გული უფრო მედგრად უცემს, ერთის სიტყვით, როდესაც კაცი ეტრფის

«....საკრფოთა თვალთა,
ღაწვთ ვარდთა, ბაგე ლალთა,

და როდესაც. . . . . .

«ჰსწყურს გულს მის გზისა ხლება,
ვისგანც გონება ბნდება.» —

გამოვიდა ალ. ჭავჭავაძის წვრილი ლექსთა-კრება და მით ერთი მეტად თვალ-საჩენი ამოღრმავებული ადგილი ჩვენს ლიტერატურაში ამოიკვსო ძვირ-თვასი და ბრწყინვალე თვალით.

ამ მოკლე შენიშვნაში ჩვენ არ ვაპირებთ ალ. ჭავჭავაძის სრულის ღირსებისა და მნიშვნელობის დათვასებას. «ახალ-წიგნებისათვის» გადადებული ადგილი მეტად მცირეა ამისთანა საამაბო საქმისათვის. როდისმე «ივერიის» ფურცლებზედ ვეცდებით ამ ტკბილთის აკიდებას, ეხლა კი ვერ მოკითმინეთ, ჩვენი სიხარული არ გაგვეზიარა ჩვენის მკითხველებისათვის და

ფოტოთი მაინც არ მოგვალბო გული ამ ჩინებულ პოეტზე ლაპარაკით.

ეს ახალი წიგნი არის მხოლოდ წვრილი ლექსთა-კრებული, მეორე ნაწილში, რომელსაც აგრეთვე გვპირდებიან გამომცემელნი, მოქცეული იქნება ნათარგმნი დრამატიული თხზულებანი და სხვა ნაწერებიც, თუ კიდევ გამოჩნდება სადმე.

როგორც მოლიერი წერდა თავის კომედიებს: ნუ დაჩვიწუეთ, რომ კომედია იწერება არა საკითხავად, არამედ წარმოსადგენათო, ისე ალ. ჭავჭავაძეს შეეძლო თავის ლექსების მომეტებული ნაწილზედ დაეწერა: ჩემი ლექსები იწერება სამღერლად და არა საკითხავადო. მართლაც და ბევრს ლექსებს ალ. ჭავჭავაძისას აკლიათ ძლიერება, შთაბეჭდილებასაც ვერა-ფერს ვერა სახავენ მკითხველის გულში და გრძნობაც მხოლოდ მაშინ დაეტყობათ ხოლმე, როდესაც გამომთქმელად ჰყავთ ტკბილ-ხმოვანი საზანდარი და ბანის მომცემად ჩონგურის ყლერა. რისგან მოხდა ამისთანა ნიჭიერი პოეტი დაემორჩილა ყამთა სვლას და თითქმის იგივე დარჩა «მარად და მარად»; იმავე კილოზედ და იმავე გრძნობით ამბობდა ხანში შესული პოეტი საშიგო ლექსებს, როგორც რა-და-ერთისა და ოცდა-ორის წლის ყმაწვილი კაცი? ეს მოხდა იმისგან, რომ ალ. ჭავჭავაძეს გარშემო განსხვავებული ხალხი და განსხვავებული საზოგადოება ეხვია, იმისთანა საზოგადოება და ხალხი, რომელიც ფანაუგრძნობდა და აქებდა მხოლოდ ამ გვარ ლექსებს და ამ გვარ ლექსების მთქმელთ. ლექსი ბაირონის თქმისა არ იყოს, ჯაჭვია მგრძნობიარე და აზრებით სავსე გულისთვის, მაგრამ ეს ჯაჭვი უფრო მედგრად წაუჭერს ხოლმე და უფრო უხშავს გონებას მწერალს, როდესაც ლექსისა და რითმის სიძნელეს ემატება იმისთანა წესები, რო-

გორსაც ხშირად მისდევს ალ. ჭავჭავაძე. წარმოიდგინეთ პოეტს გულში ჩაუსახავს, რომ ამა და ამდენი ლექსი უნდა ერთისა და იმავე სიტყვით დავაბოლოო, მაგრამ ისე კი, რომ ყოველს მათგანს სხვა-და-სხვა მნიშვნელობა ჰქონდესო, რაღა გრძნობა გამოითქმება თავისუფლად, რაღა სიცხოველე და ძლიერება მიეცემა ლექსსა? ან მკითხველმა რა დააშავა, რომ უნდა თავი იმტვრიოს ამ გვარ პოეტურ გამოცანაზედ?

«რა მეხშირა შენთა ისართ მალება,
მეტმან ცრემლმან ლაუვარდის ფერ მალება;
გლახ ბურობილი ამას ვაებს, ვალალებს,
ვერ განერა, ესრედ ვითაც მალ ება.»

ამ გვარის კანონებით სხვა-და-სხვა აკროსტიხებით და ანბანთ-ქებით შებოჭვილს ალ. ჭავჭავაძეს მართლაც და დიდი ნიჭი უნდა გამოეჩინა, რომ თავისი ლექსები მომავალ ჩამომავლობათათვის გარდაეცა და ქართულ ლხინის აუცილებელ სამკაულად გარდაექმნა.

როგორც მგზავრი ოღრო-ჩოღრო გზაზედ ტაატით სიარულისა და გვერდების მტვრევის შემდეგ გადის გზა-ტკეცილზედ, სამშვიდობოზედ და გაქანებულ ეტლში მჯდომარე გრძნობს თავისუფლებას, სიამოვნებას, წმინდას, უხვად მონაქრალს ჰაერს, — ისეთსავე თავისუფლებასა და სიამოვნებასა გრძნობს მკითხველი ამ ნაძალადევ ლექსების კითხვას რომ თავს დაანებებს და ჩათვალიერებს ზოგიერ გრძნობით სავსე ლექსებს ამ ავტორისას, ორიგინალურს თუ ნათარგმნს, სადაც ალ. ჭავჭავაძე მხოლოდ ლექსს უგდებს ყურსა და არა სქოლასტიკო-პოეტისაგან დადგენილს წესებს. კაცმა არ იცის, რამ უფრო უნდა გაოცვიფრდეს: ნამდვილ გრძნობათა გამოთ-

ქმამ, კაცის გულის სხვა-და-სხვაობის გამოსატვამ, ლექსის-ტკბილ-ხმოვანებამ, თუ ენის მოქნილობამ და ძლიერებამ.

«აჰა ესე ვარდ-ზამბახნი, შენთა ელფერთ მომპარსველნი,
წალკოტს ვნახენ, შვენებითა სრულ აღევსოთ ხევნარ-ველნი.
მომეგონნეს სუნნელება, აღმიხსენდენ ღაწვნი მჭევლნი,
მყის შევიპყარ და შევსული, მოგვართ შენი გამძარცველნი.
ნეტარ მას, ვინცა შენს ახლოს . . . . .

აქ გავჩერდეთ, თორემ ბევრი ამისთანა ლექსის ამოწერა მოგვინდება, რომელთ გადაწერაც კი სახალისოა, არამც თუ წაკითხვა: მაგრამ მაინც ისე პირ-შავად ვერ დავრჩებით მკითხველთან, ორიოდ სამი საუკეთესო ადგილი სხვა ლექსებიდამაც არ გავუზიაროთ, ვიდრე ამ ძვირ-თვასს წიგნს შეიძენდეს. აი რას ეუბნება პოეტი თავის საყვარელს:

«თვით უამსაცა ძილისას არა მაქვს ბედი მწყურომე;
სიზმარი მასმენს შენგან გამომხდარს ნაზსა ხმასა
განვიღვიძებ—ჩემთან ხარ, და სიამით ვჭხედ რომე
გულს შენ უწინ ჭსცემ ნათელს, ვიდრე მზე ქვეყანასა!»

ესრედ შეყვარებული პოეტი ერთ დროს სულ სხვა ფოთვილა:

«მეცა ვიყავ მოქადული,
ვიდრე ჩემად მქონდა გული:
ჭირი ველარ შემიპყრვიდა,
აშიყთ მტანჯვი სიყვარული.
თუ ვინ ვნახი ფერ-მიხდილი,
შვენებისდა მონად ქმნილი,—
ვსთქვი: თუ კაცსა ვითა შვენის,
გული ესრედ უძლურ ლბილი!»

მაგრამ, მაგრამ აი რა მოსვლია:

«მომესია სევდათ გუნდი,
შემომერტყა ბნელი ბუნდი;

ჯაჭვი დამსდვა მონებისა,
კისრად ვიღე და დავდუმდი.»

ყველა ამ ლექსებს ერთმანერთთან თითქმის განუწყვეტელი კავშირი აქვთ, თითქოს ერთსა და იმავე გრძნობას აუღაბარაკებია პოეტის ჩანგიო. ამიტომაც არ ვასახელებთ იმ ლექსებს, საიდამაც ამოვწერეთ ეს ნაწყვეტები, ალ. ჭავჭავაძის წუნი ეს არის, რომ ყველა თავის ორიგინალურს ლექსებში ერთსა და იმავე საგანზედ მღერის და ერთი და იგივე კილო გვიბეჭდავს ყურებში. სწორედ რომ ძლიერი რამ უნდა შეგვხდეს მათ შორის რომ განსაკუთრებითი ყურადღება მიიქციოს; და სწორედაც მწარე სიყვარულით გაბასრული უნდა იყოს კაცი, გულიც უიმედო ტრფობით უნდა ჰქონდეს გაგმირული, რომ ამისთანა მქუხარე სიტყვები შემოსძახოს: «ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია; მიკვირს თუ სული რად არ მხდომია!» და რადესაც ეჭვი ჰქლავს, ვაი თუ ჩემი სიყვარული ფუჭი და უიმედო იყოსო, ამით ათავებს: თუ ჩემი მკურნალი არა ხარ «რისხვამან შენმან სიცოცხლის ძაფი შემწყვიტოს, რადგან შესაწყდომია.»

მეტად ძველის ამბის მთქმელი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ამ წიგნმა ქართველებს თავიანთ წარჩინებულის პოეტის ნაწარმოები შესძინაო. დიდი ხანია რაც ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჩვენს პოეტებთ შორის პირველი ადგილთაგანი უჭირავს.

ლექსები, თქმულნი თ. ვ. ო., გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თბილისი, 1881 წ.

ოთხის პოეტის თხზულებათა კრება ექვს თვეში? ვგონებთ ეს პირველი მოვლენაა საქართველოში და ისეთი მოვ-

ლენა, რომლის წინააღმდეგაც გულ-გრილები ვეღარ იტყვიან-
დაიბეჭდენ, მაგრამ ვინა კითხულობსო! ის შემცდარია, ვინც
ამას ამბობს, რომ მის აზრის დასარღვევას სულ უბრალო
ლოგიკა კმარა: თუ დაიბეჭდენ, ალბად მოითხოვნილება უოფილა;
თუ მოთხოვნილება უოფილა, ალბად კითხულობენ და,
კიდევ დავუმატებთ, თუ კითხულობენ, ალბად ჩვენს საზოგა-
დოებაში გამოიღვიძა სურვილმა ჩვენის მწერლების გაცნობი-
სამ. ვინც ამას ვერ დაინახავს და ვერ გაარკვევს ან ბუნებით
ბრმა უნდა იუოს, ან ძალათი უნდა იბრმავებდეს თავს. ორი-
ვესთვის ლოგიკა უძლურია და ტუ�ილად შეგიწუხეთ თავი,
რომ სილოგიზმოებით მოგუეგით ლაპარაკს.

«ივერიის» მეშვიდე წიგნში, როდესაც მის. თუმანიშვილის
ლექსებზედ ვლაპარაკობდით, მას გვერდში თ. ვახტანგ ორბე-
ლიანიც ამოგუეენეთ, და ვამტკიცებდით, რომ ნ. ბარათაშვილი
მარტო არ მოღვაწეობდა ჩვენს ლიტერატურაში; მას თანა,
მგრძნობი, თანაზიარიცა ჰუავდა და სხვათა შორის თ. ვახ-
ტანგ ორბელიანი და მის. თუმანიშვილი. ამ უკანასკნელის
თხზულებებზედ კიდეც მოგილაპარაკეთ: ჩვენ მოხარული ვართ,
რომ მეორე პოეტის ვ. ორბელიანის ლექსების ერთად გამო-
ცემაც გვეღირსა.

ბოდიშს ვიხდით პატივ-ცემულ ავტორთან, რომ მისი
პირველი ასოები ვ. ო. გამოვაშკარავეთ, მაგრამ ვინ არ იცის
რომ «იმედის» ავტორი არის თ. ვ. ორბელიანი.

როგორც აღ. ჭავჭავაძის პოეზიის ძარღვი სიუვარულია,
ისე ვ. ორბელიანის ძარღვი არის წუხილი დაკარგულს ბედნიე-
რებაზედ და იმედი მომავლისა. პოეტის ერთს საუკეთესო ლექსს
მართლაც ეს სახელი ჰქვიან: «იმედი» და ამ ლექსშია ყოვე-
ლივე გამოთქმული, რაც კი რამ პოეტს უგრძნია. ასე რომ

დიდი შეცდომა არ იქნება ვთქვათ, რომ «იმედი» არის ერთად ერთი ლექსი თ. ვ. ორბელიანისა.

მამულისათვის გულ-მტკივნეულს შვილს წარმოუდგება თვალ-წინ რაღაც მოჩვენება და მას უამბობს ყოველს თავის გულის-პასუხს, უამბობს საქართველოს ბედ-შავს წარსულს და არა-სანატრელს აწმყოს და ზედ უმატებს:

«ბონება ხელობს, გაშმაგებულს აზრი მერევა,
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა,
. . . . . .
მაშინ მოუვასნო მზა ვარ გკითხოთ, მითხარით ერთი:
ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?».

რამ აიძულა ღვთის-მოსავი, და მორჩილი პოეტი და რამ წარმოათქმევინა ამისთანა ღვთის მგმობელი აზრი? მეტის-მეტმა მამულის სიყვარულმა. ავტორს ეს უკლავს გულსა, რომ თუ ღმერთი ყოველად-შემძლებელი და ქვეყანას თავის წესს ანიჭებს, საქართველოს რას ემართლებოდა, «ასე მწარედ რისთვის დაამხო.»

ჩვენს ისტორიაში ბევრს იმისთანა პირს შესვდებით, რომელთაც გულ-გრილად აეტანოთ სხეულის ტანჯვა მამულისათვის, მაგრამ ამისთანა მაგალითები კი ხშირი არ არის, რომ ღვთის მოშიშს კაცს ღმერთი ეგმოს, ერთის სიტყვით, იმავე მამულის სიყვარულის გულისთვის, თავის წარმოდგენით, სული წაეწყმიდოს. ი ჯილდოდ ამ გვარ სიყვარულისა— რას ეუბნება მოჩვენება პოეტს:

«....ღვაწლნი მამა-პაპათ არ გაქრებიან,
გწამდეს ეს შოენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან;
. . . . . .
. . . . . და თქვენი ერი,

ქრისტეს ჯვარისთვის წამებული კვლავ გამრავლდება,
თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აუკაკვდება.»

ჩვენა ვთქვით, რომ «იმედი» ერთად-ერთი ლექსია თ. ვ. ორბელიანისაო და ტუუილადაც არა ვთქვით: სხვა ორიოდ წვრილი ლექსი მხოლოდ განამარტებს «იმედში» წარმოთქმულს აზრებს— წარსულზედ წუხილს და მომავლის იმედს, მაგრამ უფრო მკრთალად და უფერულად, ვიდრე «იმედშია» და ხშირად იმავე ლექსებისა და ბუნების აღწერის განმეორებით. «იმედშია» წარსულზედ წუხილი და ამ ლექსებშიაც მეტი არ არის-რა («ძველი დანისი», «არის ადგილი»); «იმედშია» მომავლის იმედი გამოხატული და ამ ლექსებშიაც იგივე აზრია («სიზმრები», «როგორც განაბნევს ღამე ნისლს») და ამ ხუთს ლექსს გარდა ბევრიც აღარა არის-რა ვ. ო-ის ლექსთა-კრებაში. არის ორი-სამი ლექსი სიყვარულისა, ისიც თარგმანი, ან მიბაძვა და ერთი აღეგორიული: «ორი შენობა», რომლის აღეგორია მეტად ძნელი გასაგები უნდა იყოს.

ბოლოს ერთს შევნიშნავთ: რას უნდა დაბრალდეს, რომ ჩვენის პოეტის ნაწარმოები ასე მცირეა? მას უნდა დაბრალდეს რომ როდესაც ევროპაში და რუსეთში თითო თითო პოეტი ოთხსა და ხუთს ტომსა სწერს, ზოგი ჩვენები, რაც უნდა ლრმა მოხუცებულებამდე მიაწიოს, მაინც 25—30 ლექსზედ მეტს ვერა სწერენ? რას უნდა დავაბრალოთ— მწერალთა სიზარმაცეს, თუ ჩვენის ცხოვრების უფერულობას. ვგონებ უფრო უკანასკნელს.

ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართველის ტომის დასაწყისზე, თხზულება დიმიტრი ბაქრაძისა. წიგნი პირველი. თბილისი, 1881.

ჩვენი პატივ-ცემული არხეოლოგი დიმიტრი ბაქრაძე დროგამოშვებით თავს გვანებებინებს ჩვენის ენლანდელის მღელვარებით სავსე ცხოვრებისათვის და მოგვითხრობს ძალზედ ჭაღარა მორეულს ამბებს ასირიელებზედ, ბაბილონელებზედ, ფინიკიელებზედ და ავანთოზელ, გოგ-მაგომ, მესხ მოსოსებზედ.

მართალია ამ გვარ ამბების გაგონება ფრიად საინტერესოა იმათთვის, ვისაც ისტორიის პირველნდელ ნასკვის გამოხსნა უნდა, მაგრამ თუ გვინდა რომ უბრალო მკითხველმაც მათგან გამოიტანოს რამე, ისტორიკოსმა, და მეტადრე არხეოლოგმა, საკვირველი გარდმოცემის ნიჭი უნდა გამოიჩინოს, თუ არა და მკითხველს სულ თავ-ბედი დაებნევა და ველარასფერს გაიგებს, რა დამოკიდებულება აქვთ ერთმანერთში ათას სხვა-და-სხვა სალხს, რომელნიც ძველს დროში მცირე ოაზიაში იყვნენ გაბნეულნი; უდაბურ ტყესავით მოეჩვენება სხვა-და-სხვა ამონაწერი დაბადებიდამ, სტრაბონის, ჰომერისა და სხვა ძველთა მწერალთა თხზულებიდამ. ძველს დროში ერთსა და იმავე სალხს რამდენიმე სახელი ჰქონდა და ამ არევ-დარევამ ისტორიკოსებს ბევრი შემცდარი აზრი ჩაგონა.

ჩვენდა სამწუხაროდ პატივ-ცემული დიმიტრი ბაქრაძე არ შეჩვეულა იმ გარდმოცემის ხერხს, რომლის წყალობითაც მაგ. ფრანცუზები ხშირად სრულებით უინტერესო საგანს ფრიად საინტერესოდ ჰხდიან. თვითონ ამ პაწია წიგნშივე სამი-ოთხი გვერდი ლენორმანის თხზულებიდამ არის გადმოთარგმნილი, რომელსაც მკითხველი რომანსავით კითხულობს, მაგრამ ის კი

მნელი გამოსარკვევია, რა გამოდის იმ აურიცხველ ფაქტებიდამ, რომელნიც ბ. დ. ბაქრაძეს ერთი-ერთმანერთზედ დაუგროვებია.

ამ წიგნში უველაზედ შესანიშნავია ის აზრები, რომელნიც ავტორს ლენორმანის ახალ ისტორიულ ატლასიდამ ამოუკრეფია.

ლენორმანის ატლასშია ჩვიდმეტი რუკა და მეორე რუკიდამა სხვათა შორის სჩანს რომ «ჩრდილო და სამხრეთი მხარეები კავკაზიისა ჯერ დასახლებულნი არ იყვნენ. ამ დროს უჩვენებენ 2500 წლის წინად ქრისტეს შობამდე.»

მესამე რუკა შედგენილია დაბადების სიტყვაზედ და სჩანს რომ მეთექვსმეტე საუკუნეში ქრისტეს წინად მოსოხს ეპყრა შავი ზღვის პირი ჭალისის მდინარით, ვიდრე თომელამდე. თომელს ეჭირა აღმოსავლეთის ნაპირი იმავე ზღვისა და ადგილობრ მტკვარსა და არაქსს შუა. მოსოხის მოსამზღვრე თორღამ, რომლის სამფლობელოს შეადგენენ ტიგროს სათავე და არაქსის მარჯვენა ნაპირი. აქედამ სჩანს, რომ ძველად ქართველები მოსახლობდენ მოსოხისა და თომელის მეზობლად და მეთექვსმეტე საუკუნეში ქრისტეს წინად შეადგენდენ მკვიდრს ერს კავკაზიაში; მაგრამ დიუბუა დე მონპერე კი ამბობს, რომ თობალი დაბადებისა ნიშნავს ახლანდელს საქართველოსაო.

საყურადღებოა აგრეთვე ამ პატარა ბროშიურაში საკუთარ სახელების შეთანასწორება; მაგ. ყულოფი შედარებულია ჭომერის ხალიბთან; ჭალიზონის მხედრობა, რომელიც, ჭომერის სიტყვით მოვიდა ჭალიბიდამ, უნდა იყოს ალაზნის ხალხი, ე. ი. კახელები და სხვ.

ამისთანა წვრილმანი ფაქტები, რასაკვირველია, საჭიროა ჯ

იქნება სწავლულებმა კიდეც გამოიყენონ, მაგრამ ისტორიის ბრალშიურის მწერალმა ყველაფერი უნდა მიიღოს მხედველობაში და მეტადრე ესა რომ ჩვეულებრივი მკითხველი სწავლული არ არის და სალისიანად მხოლოდ მაშინ წაიკითხავს, თუ მწერლის კალამს პატარა სიტყვლე ეტყობა.

Открыта полугодовая подписка на

еженедѣльный журналъ

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(издаваемый въ г. Тифлисѣ)

Съ 1 Іюля 1881 года по 1 Января 1882 года.

Цѣна за полъ года 6 руб.

Кромѣ того можно подписаться на 3 мѣсяца,—3 руб. 20 коп., на 1 мѣс.—1 руб. 20 коп. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка во взносѣ денегъ допускается по соглашенію съ администраціею журнала.

Подписка принимается исключительно въ администраціи журнала, въ г. Тифлисѣ, близь Головинскаго пр., по Безъименному пер. въ домѣ Тамамшева.

***Издатель* А. С. Френкель.**

***Редакторъ* А. В. Степановъ**

(3—2).

ი 383
1881

ხელის-მოწერა «დროება-ივერიაზედ» მიიღება:

თბილისში, «დროება-ივერიის» რედაქციაში, (ცალკეგინის პროსპექტზედ, თ. ივ. ჯ. მუსრანსკის სახლებში, ბლუმის ქვემოდ).

ქუთაისში: «დროება-ივერიის» აგენტთან ი. ჭყონიასთან (სიღამზედ, მირიან ჭყონიას სახლში.)

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ყურნალ-გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисѣ. Въ Редакцію Дроэба-Иверіи.

ფასი:

«ივერია» ექვსის თვით («დროებასთან» ერთად)— 8 მან.
«ივერია» ექვსის თვით ცალკე — — — — — 4 მან.
«ივერია» ერთის წლით— — — — — — — 7 მან.

სულის-მომწერთ ფული ყურნალ-გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

ვისაც ყურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, უმორჩილესად ვთხოვთ მალე გვაცნობოს რედაქციაში.

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე ს. მესხი.